

საქართველოს

საეკლესიო ისტორია

ზედგენილი

მოსე ჯანაშვილის-მიერ

გამოცემა

„მწეპისი“-ს რედაქციისა

ტფილისი
ექვთიმე სულაძის სტამბა
1886 წ.

Дозволено цензурою, Тифлисъ. 5 Ноября 1885 года.



ჟოველი ქრისტიანისათვის საზოგადოდ და განსაკუთრებით სამღვდლო და საეკლესიო მოსამსახურეთათვის მიუცილებლად საჭიროა იცოდეს იმ ეკლესიის ისტორია, რომელსაც (ეკლესიას) იგი ეკუთვნის. ჩვენში, სამწუხაროდ, ღღემდის არ მოიპოვება ქართულს ენაზე იმ გვარი გამოცემა, რომლითაც შეიძლებოდა, ბევრად თუ ცოტად, შესწავლა და გაგება საქართველოს საეკლესიო ისტორიისა. აი მიზეზი, რომელმაც გვაიძულა ჩვენ მიგველო შრომა და ჩვენის საფასით გამოგვეცა ეს საეკლესიო ისტორია. სრული დაიმედებული ვართ, რომ ეს გამოცემა სასარგებლო იქნება სამღვდლო და საეკლესიო მოსამსახურეთათვის, მოსწავლეთა და ყველა ქრისტიანეთათვის.

გამომცემელი, „მწიგნობარ“-ს რედაქტორი მ. დ. ლამაშიძე.

წინასიტყვაობის გაზიარად.

აწინდელნი წყარონი, რომელნიც უოკუელს მშრომელს შეუძლიან მოიპოვოს, საკმაონი არ არიან ასახსნელად იმ კითხვისა, თუ რა გვარი იდუმალი ძალით შეპყრობილიყო მცირე ესეური ქართლელისათა, რომ აძლენი ხნის განმავლობაში, აზიის ბარბაროსებით გარემოცულმა, არა თუ დაჭკარვა დროშა ქრისტიანობისა, როგორც ეს მოსალოდნელ იყო, არამედ, ფაქიზად დაცული წარსულთა საუკუნეთ საომარზედ, ღირსეულად გადასცა იგი მე XIX საუკუნეს.

ჩვენ შეძლებისამებრ, ამ წიგნის შედგენის დროს, ვსცდილობდით, სხვათა შორის, მიგვექცია უურადლება საქართველოს საეკლესიო ისტორიის განსაკუთრებულ თვისებისათვის, რომელიც გამომისატვის ქართველთ ღრმა და თითქმის, უმაგალითო სიყვარულით ქრისტიანობისადმი და ამასთანავე სხვათა ხალხთ სარწმუნოებათა და რწმენათა პატივის ცემით. ამ თვისებით ქართველნი უოკუელს უამსა და ვითარებაში მალლა იდგნენ ყველა ხალხებზე, იყვნენ იგინი ბერძენ-რომაელნი, თუ რომეს-ურციანი ანუ მაჭმედიანნი. უმთავრესად, ეს იყო მიზეზი იმისა, რომ მრავალთა გრიგალ-ქარიშხალთა, მის დღეში შეუწვევტელთა საქართველოს ცხოვრების ოკეანესა ზედა, ქართველთ მკერდი 15

საუგუნის განმკლობაში კლდესავით აქარწყლებ-ანიაკება...

უმთავრეს წყაროდ, ამ წიგნის შესადგენად, გვქონდა, რასაკვირველია, საქართველოს მატინე (ქართლის-ცხოვრება და საქართველოს სამოთხე); მისგან ხანდის-ხან მოგვეყავს ზოგიერთი ადგილები უცვლელად; სხვა წყარონი, რომლებიდანაც აგრეთვე ვსარგებლობდით, გვიჩვენებია თავ-თავის ადგილას ტექსტში.

მ. ბ. ჯანაშვილი.

7 იანვარს 1886 წ.

ტბილისი.

ქ რ ი ს ტ ი ა ნ ო ბ ი ს

გაურცელება საქართველოში.

თ ა შ ი I.

ქრისტეს მოციქულნი.—საქართველოს მოქცევა წილად ზედა მარიამ დედასა.—ქრისტეს მედროვე საქართველოს მეფე.—ქრისტიანობის დევნა საქართველოში.

ამაღლების წინაღ ქრისტემ მიჰმართა თვის მოციქულებს უემდეგის სიტყვებით: «წარვედით და მოიმოწაფენით ყოველნი წარმართნი და ნათელს-ჰსცემდით მათ სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა»; უემდეგ გაუბედურებისა მოციქულთაგანის იუდასი, რომელმაც 30 ვეცხლად გაჰყიდა მართალი სისხლი და მერმე შეინანა და შიშთვილობა, დაშთნენ 11 მოციქულნი: სვიმონ, რომელსა ეწოდა პეტრე და ანდრია ძმა მისი, იაკობ ზებედესი და იოანე ძმა მისი, შილიპე და ბართლომე, თომა და მატეოს მეზვერე, იაკობ ალფესი და ლებეოს, რომელსა ეწოდა თადეოს, სვიმონ ძანანელი» (მათ. 10, 2, 3, და 4).

ამ მოციქულთ და აგრეთვე იუდასაც ჯერ ქრისტეს ქვეყანაზე მყოფობის დროსვე მინიჭებული ჰქონდათ ძალა ქრისტიანობის ქადაგებისა და სასწაულთ მოხდენისა: «მიჰსცა მათ ხელმწიფება სულთა ზედა არა წმიდათა, რათა განასხმიდნ მათ და განჰკურნებდნ ყოველთა სენთა და ყოველთა უძლოურებათა» (მათ. 10, 1).

მაგრამ ეს მოციქულნი ძრისტეს ამაღლებამდის და სული წმიდის მოფენამდის მხურვალე მონაწილეობას არ იღებდენ ახალი სჯულის გაერცელებაში, არამედ სულ მუდამ გარს ეხვივნენ თვის ღმერთ-მოძღვარს და მისგან განიმტკიცებოდნენ სჯულის სწავლაში. მათე დღეს ძრისტეს ამაღლების შემდეგ მათ მოეფინათ წმიდა სული «და აღივსნეს ყოველნი სულითა წმიდითა და იწყეს სიტყვად უცხოთა ენითა, ვითარცა სული იგი მასცემდა მათ სიტყვად». ამ ნაირის სასწაულის შემდეგ მოციქულთა სხვადასხვა ენაზე დაიწყეს ლაპარაკი. ამ დროს იერუსალიმში, საცა მოჰხდა სული წმიდის მოფენა, იყვნენ სხვადასხვა ტომის და ქვეყნის წარმომადგენელნი:

„პართნი და მიდნი, უფიენი და ელამიტელნი და მკვიდრნი შუა-მდინარისანი, ჰურიასტანისანი და კაპადუკიისანი, პონტოსისანი და ასიაჰსანი» (საქ. 2. 9).

„შირგვიანისანი და პამფულიისანი, ეგვიპტიისანი და ადგილისა ლიბიისანი, კვირინით კერძონი და მოსრულნი ჰრომნი, ჰურიანი და მწირნი» (საქმე 2. 10),

«ძრიტელნი და არაბიელნი, გვესმის იტყვიან-რა ჩვენითა ენითა დიდებასა ღმერთისასა» (საქმე 2. 11).

ამნაირად რომ განემტკიცნენ მოციქულნი მადლითა ღვთისათა, პეტრე გადმოდგა სახლის ბანზე, უქადაგა და განუმრტა იქ შეკრებილთა ხალხთა მათ თვალთა წინაშე მომხდარი სასწაული. ესე და იქვე 3,000 კაცმა ირწმუნა ძრისტე. ასრე სული წმიდის მოფენის დღესვე დაარსდა ეკლესია (ქრისტიანთ საზოგადოება.)

ეს იყო პირველი გამარჯვება მოციქულებისა. ამ დღიდგან ისინი განშორდნენ ერთმანერთს და გაემგზავრა

ნენ იმ ქვეყნებისაკენ, რომელთა განათლება წილად ხვდათ სული წმიდის მოფენის დღეს. — საქართველოში შამოვიდნენ მოციქულნი ანდრია და სიმეონ ძანანელი ამათ ჰქადაგეს ქრისტეს სჯული იმერეთში (კოლხიდაში) და ზემო ქართლში სამცხემდის. ხოლო მოციქულმა ბართლომემ მოიარა საქართველოს აღმოსავლეთის მხარე, რომელსაც მაშინ ერქვა ალაბანია და აქ დასთესა თესლო ჰოხიერი და მაცხოვრებელი (იხ. მოთხრობა სოფრონისა გვ. 397). აქვე უნდა მოვიხსენოთ ის ფაქტი, რომ ამ მოციქულთ გარდა საქართველოს განათლება — გაქრისტიანება სულის წმიდის მოფენის დროს ხვდა ლეთის-შშობელს. სტეფანე მთაწმინდელი ამბობს, რომ სულის წმიდის მოფენის შემდეგ მოციქულთ განიზრახეს წილის-ყრა იმის შესახებ, თუ ვის რომელი ქვეყანა წილად ხვდება, რათა ჰქადაგოს სახარება. მაშინ წმიდამან მარიამმა უთხრა მოციქულთა: ამეც მიყარეთ თქვენთან წილი: არ მინდა უწილოდ დავშთე. ლეე მეც მერგოს ქვეყანა, რომელსაც მარგუნებს უფალიო“. წილის ყრით მარიამ დედას ერგო ივერია ანუ იბერია, ესე იგი საქართველო. როდესაც ლეთის-შშობელმა დააპირა ივერიისკენ გამომგზავრება, ანგელოსი გამოეცხადა მას და უთხრა: ანუ განეშორები იერუსალიმსა; წილ-ხლომილი შენი ქვეყანა განათლდების მომავალში, შენი მეუფება განემტკიცების იქ *) (წმ. ცხოვ. 15 მარიამობისთვისა

*) მართლაც მარიამი დაშთა იერუსალიმში; დიდი ხნის შემდეგ მას გამოეცხადა მთავარ-ანგელოსი გაბრიელი და აუწყა მოახლეება მისი მიძინებისა; სიკვდილის დღისთვის, მარიამ დედის სურვილისა მებრ, უფა

ამნაირად დედასა ღეთისასა ვერ მოუხდა ჩვენ ქვეყანაში შემოსვლა, თუმცა შემდეგ არას დროს არ დაუტოვებივართ უზრუნველად და ყოველთვის აღმოუჩინია ჩვენთვის თვისი დიდებული მფარველობა და დედობრივი სიყვარული.

მოციქულები ყველანი მხნედ და გულ-მოდგინედ აღსრულებდნენ ქრისტეს დარიგებას და სწავლას. უშიშრად შედიოდნენ წარმართთა ქვეყნებში და იტანდნენ ყოველგვარ ტანჯვას და ჰქადაგებდნენ. ქრისტიანობას ბევრი მტერი ჰყენდა და პოხიერი თესლი, მოციქულთაგან დათესილი, ძვირად ჰპოულობდა იმნაირსავე პოხიერს ნიადაგსა. ქრისტიანებს წარმართთა აღმოუჩინეს საშინელი ბრძოლა. ქრისტიანების ხოცვა-ჟლეტა, ჯვარცმა, ქვით ჩაქოლვა, თავის კვეთა და სხვ. გამრავლდა. შველა მოციქულები ტანჯულ, ჯვარცმულ იქმნენ, გარდა იოანე ზებედეცი, რომელიც ღრმა მოხუცებულებათაში აღესრულა.

მართველთაც, სხვათა შორის, იმსხვერპლეს ერთი მოციქულთაგანი—სიმეონ ძანანელი, რომელიც ასაფლავიანიკოპსში (აფხაზეთში), სიმეონ ძანანელის ეკკლესიაში. აღწერია მოციქულის შესახებ ჩვენი მატრიანენი და სხ. მწე-

ღმა მოახდინა ისე, რომ ყველა მოციქულები, გარდა თომასი, შეიყარნენ იერუსალიმში და ნახეს ქალწულის მიძინება. მოციქულთა დაასაფლავეს გვაში მისი გეთსამანიის ბაღში, მაგრამ მესამე დღეს, როდესაც მოვიდა თომა მოციქული და მისი თხოვნით ახადეს საფლავი, ველარაფერის იპოვნეს-რა, გარდა ქალწულის სამოსლისა. მაშინ ღეთის-მშობელი ანგელოსებით გამოეცხადა მათ და აუწყა თავის აღდგინება მკვდრეთით.

რალნი მოგვითხრობენ, რომ მოციქული ანდრია ტრაპეზუნტიდგან შამოსულა ივერიაში, საცა პირველად უქადანია ქალაქ ღიდ-აჭარაში; შემდეგ ყოფილა იგი ძლარჯეთში, აწყვერში, სხუმში (სუხუმში), სამეგრელოში, აფხაზეთში და აქედგან გადასულა ძირიმში და ყველგან შავი ზღვის გარემოში უგრცელებია ქრისტიანობა. ბარდა ჩვენთა მატანეთა ამნაირადვე ამ მოციქულებზე მოგვითხრობენ სხვა მწერლებიც; მაგალ. ბერძნის მწერალი ნიკიფორე, ნიკიტა პაფლაგონელი და სხვანი მოციქულთა ცხოვრების აღმწერენი (პ. იოსელიანი).

აღვნიშნათ აგრეთვე იმ ფაქტს, რომ მოციქულების შემოსვლამდე საქართველოში (40 წ.) ქართველთ გვარიანად ჰქონდათ გაცნობილი ძრისტეს განხორციელება, ქადაგება, ტანჯვა, ჯვარცმა და მისი ამაღლება.

ძრისტეს მედროვე მეფე საქართველოში იყო შესანიშნავი შარსმანი ანუ აღერკი. ამან იმეფა 2 წლიდამ ძრისტეს წინ, ვიდრე 10 წ. ძრისტეს შემდეგ; როდესაც ურიანი ჯვარს-აღმდინენ მაცხოვარსა, მაშინ ყოვლის მხრიდგან ურიათა წარმომადგენლნი შეიკრიბნენ იერუსალიმში. საქართველოს ურიათაგან, რომელნიც საქართველოში დასახლდნენ ნაბუქოდონოსორის დროს, მცხეთიდამ წავიდა ყრმა მლიოზი *), რომელიც იყო ერთი ადასისათაგანი, დაყენებული ძრისტეს საფლავის დარაჯად, ავითარცა

*) თეიმ. ბატონ. ამბობს, რომ ელიოზი იყო მღვდელი და წინადაც ყოფილა იგი იერუსალიმში და ფილიპპე მოციქულის კარგი შეგობარი იყო. ამ უმად იგი პირ-და-პირ მივიდა ფილიპპესთან, რომელმაც გააცნო იგი ძრისტესა (ისტ. გვ. 437).

ჯვარს-აცვეს იგი, განიყვეს სამოსელი მისი და განიგდეს წილი, რათა აღესრულოს თქმული იგი წინასწარმეტყველისა მიერ, რომელსა იტყვის: «განიყვეს სამოსელი ჩემი მათ შორის და კვართსა ზედა განიგდეს წილი» (მათ. 27, 35); აი ეს კვართი შულისა, რომელიც ქსოვილი იყო ლეთის-მზობლისაგან, ჩვენი მატრიანების, ეკკლესიის და სხ. მოწმობით წილად ხედა ჩვენებურს ურიას მლიოზს; მან კვართი შულისა მოიტანა მცხეთაში და გადასცა დასა თვისსა სიღონიას, რომელმანც მავრა გულზე მიიკრა იგო და მყის სული განუტყევა. ამ მოვლენამ თავ-ზარი დასცა იქ მყოფთა და ყველა მცხეთელთა.

მაგრამ უფრო მით შეშინდნენ მაშინ, რომ კვართი შულისა ვერაფერი ღონის-ძიებით ველარ გამოაცალეს მკედარს სიღონიასა. მლიოზმა განიზრახა კვართიანად დის დამარხვა, მაგრამ ბევრი ეცადა და ადგილიდამ ვერ დასძრა. მოუწოდა მრავალთა ხალხთა და ვერც იმათ შესძლეს გვამის აღება. მოვიდნენ მეფის კაცნიც, მაგრამ იმათაც ვერა მოაგვარეს-რა. მაშინ ეს დიდი საკვირველება აცნობეს მეფე აღერკისა, რომელიც მოვიდა და ბევრი ეცადა, რომ ან კვართი გამოეხსნა სიღონიას გულიდამ, ან გვამი მისი შეეძრა ადგილიდამ. ბევრი ეცადა და ვერა გააწყო-რა. მაშინ სთქვა (ისტ. თეიმ. ბატ. გვ. 139:) «იქნოს არს ერთი რომელიმე ლმერთათაგანი და განგებითა ლმერთათა მოსრულ-არს სოფლად და საკვირველებაჲ ესე მის მიერი არს და; ვგონებ, ფრიად კეთილ არს ესე ქვეყანისა ამის ჩვენი-სათვის და მეფობისათვისცა ჩემისა, რომელ ნიჭი ესე მოე-

ვლინა ადგილსა ამას შორის სამოთხისა *) ამის ჩემისა...
იქვე მეფემ დააყენა ყარაულები მლიოზთან ერთად და
თვითონ შინ წავიდა. რამოდენიმე ხნის შემდეგ იყო მიწის
ძვრა, გაიპო ის ადგილი, საცა იღო გვამი: სილონიასი და
კვართიანად შთანთქა. იგი. ამ მოვლენამ უმეტესად შთა-
ბეჭდა ხალხში რწმენა იესო ქრისტეს ღმერთობაზე. შერო
საკვირველი ის იყო, რომ სწორედ იმ ადგილს, საცა
ღვთის განგებით შთანთქა გვამი სილონიასი იესოს კვართი-
თურთ, აღმოსცენდა კვიპროზის ხე. ჩვენი ეკკლესიის გაღ-
მოცემით ამ კვიპროზის ხის ტოტებს და ფოთლებს ჰქონ-
და სამკურნალო ხასიათი: ავად-მყოფნი, სნეულნი, ფრი-
ნველნი და მხეცნი ტყისანიც კი, ოდესაც შეეხებოდნენ ამ
ხის ტოტებს ანუ ფოთლებსა, მყის განიკურნებოდნენ სნე-
ულებისაგან. ამ კვიპროზს შემდეგ საუკუნოებშიაც არ
დაუკარგავს თვისი ძალა და მუდამ სასწაულები მოუხდენ-
ნია.

ასრე, ჩვენ ვხედავთ, რომ საქართველოს ერმა მოცი-
ქულების ანდრია და სიმეონ ძანანელის შემოსვლამდე
კარგად იცოდა ყველაფერი, რაც გადახდა ფარისევლთა-
მოწყალებით იესოსა.

მოციქულნი რომ შამოვიდნენ საქართველოში და
დაიწყეს ქადაგება, ბევრნი, ძალიან ბევრნი ქრისტიანდებო-
დნენ. ამხობდნენ კერპებსა და აგებდნენ ეკკლესიებსა. ეს
რომ გაიგო აღდგომის მეფემ განრისხდა უცხო ნათესავთა
ზედა მის სამეფოში თავისუფლად მოქმედებისათვის და

*) სამოთხე—მჭილი, საშვებელი: იმარხვიდეს სამოთხესა შინა
ამის საწუთროსა (ქართ. ცხ. გვ. 278).

წყრომით უბრძანა ძლარჯეთის შრისთავს, — რომელმაც ნებდართო ხალხს სჯული გამოეცვალა მის საერისთაოში. — რათა ქრისტიანობა სწრაფად აღგვილიყო იქაურობიდან. ადერკის უნდოდა შეპყრობა მოციქულებისა, მაგრამ ანდრიამ მოასწრო და დროიანათ გავიდა ყირიმში, სიმეონ ძანანელი კი, როგორც ზემოთაც ვსთქვიით, აღესრულა აფხაზეთში. ქრისტიანთა დევნა ისეთი სასტიკი და შეუბრალებელი იყო, რომ საქართველოში მალე სრულიად მოიხსობო კვალი ქრისტიანობისა (იხ. Древ. ист. Груз. გვ. 65 — 66 ს. ბარათოვისა).

თუმცა ასრე სდევნიდნენ ქრისტიანობას საქართველოში, მაგრამ აქვე მოვიყვანთ ზოგიერთ ცნობებს, რომლებიდანაც სჩანს, რომ ქრისტიანობის გავრცელება საქართველოში ძრისტეს ჯვარ-ცმიდამ მოკიდებული, ვიდრე საქართველოს განმანათლებელის მოციქულთა სწორის ნინამდის არ შეჩერებულა. მწერალნი ირინეი და ბარონიც ერთხმად ამტკიცებენ, რომ იმპერატორის ბროიანისაგან პონტი და ხერსონესში დამწყვედულ რომის ეპისკოპოსს ძლიმენტის (100 წ. ქ. შემდეგ) თვის სასწაულებით დიდი გავლენა ჰქონდა ივერიელებზე და ძოლხიდელებზეო, როელთაც მრავალგან ქრისტიანობა იწამესო. აგრეთვე რამბდენიმე ხნის შემდეგ ამისა საქართველოში გამოჩნდენ ადგილობრივნი ქრისტიანობის მწამებელნიც: პალმი, ეპისკოპოზი პონტისა და მისი შვილი ერეტიკოსი მარკიონი, რომლის მწვალელობა შეაჩვენეს მე-6 მსოფლიო კრებაზე.

II.

საუკუნოდ ქრისტიანობის დამყარება საქართველოში ეკუთვნის მოციქულთა სწორს ნინას. მსიყნ ნათესავი მთავარ მოწამის ბიორგისა, ასული ვინმე მთავრის ზაბულონისა და მეუღლისა მისისა სოსანასი, იერუსალიმის პატრიარქის იობენალის დისწულისა, ტომობით კაბადოკიელი *). მისი მშობლები იყვნენ უშვილონი და ვითარცა იოაკიმე და ანა, აბრაამი და სარა, ზაქარია და შლისაბედი ევედრებოდნენ ღმერთსა, რათა დაეხსნა იგინი ბერწობისაგან და მიეცა შვილი, რომელსაცა შესწირავდნენ შუალსა მსახურებლად. მართლაც, როდესაც მიეცათ ნინა, დედამან მისმან აღთქმისა მებრ აღზარდა იგი გლახაკთა მსახურებაში. ოდეს ნინა შეიქმნა 12 წლისა, იმის მშობლებმა განწყიდეს თვისი სარჩო-საბადებელი და გაემგზავრნენ იერუსალიმს. აქ დიდხანს აღარ ყოფილან ერთად. ზაბულონი ბერად შემდგარა და მიუშართია იორდანის მხარეს კაცთა ველოურთა გასანათლავად; სოსანა იერუსალიმის პატრიარქს დაუნიშნავს გლახაკთა დედა-კაცთა სანუგეშებლად და გასანათლებლად; მცირე წლოვანი ნინო ანუ ნინა **) კი დაშთენილა ტაძარში დვინელ ქალ ნიაფორასთან. ამასა ჰკი-

* *) წარჩინებული ჩვენი დ. ი. ჩუბინაშვილი, პროფესორად ნამყოფი, თავის სტატიისაში „ეტიმოგრაფიული განხილვა ძველთა და ახალთა კაბადოკიის ან ჭანეთის მკვიდრთა მოსახლეთა“ ამტკიცებს, ძველი მწერლების დახმარებით, რომ მთელი კაბადოკია დასახლებული იყო ქართველთა ტომისაგან, ესე იგი მეგრელთა და ჭანელთაგან. როგორც წმიდა გიორგო, ისე წმიდა ნინო და 13 წმიდანი (ამათზე შემდეგ) იყვნენ ქართველნი და როგორც ყველა კაბადოკიელებმა, ისე ამათაც იცოდნენ ქართული ენაო.

***) ნინო, ნინა, ნუნე, ნონე ერთი და იგივე სახელწოდებაა. ამ სახელით, ზოგიერთი მწერლების სიტყვით, მისირიაში (ეგვიპტე)

თხვიდა და ისწავებდა სარწმუნოებასა, ქმნილებასა ქრისტესსა და ენებასა მისსა. ხოლო ისმინა რა, რამეთუ კვართი მცხეთელთა ურიათაგან წაღებულ არს, გამოჰკითხვიდა ნინა, „სადა არს მცხეთა?“ — მიუგო ნიაფორმან: „არს ქვეყანა ჩრდილოეთისა, საწარმართო მართლეთი...“ ამის დამმარბველო ნინა გულისა შინა ჰმადლობდა ლმერთსა... ამის შემდეგ იერუსალიმში მოსულა ერთი სასახლის დედა-კაცი და გაუფრცვლებია ხმა, რომ იმპერატორის პონსტანცი ძლოარის ცოლს მღენეს ჰსურსო ქრისტიანობის მიღება. ნინას დიდის სიხარულით გამოუცხადებია თავისი სურვილი დედოფლის მოქცევისათვის და პატრიარქის ნება-ყოფლობით და კუთხევით გამგზავრებულა ახალ რომში, ანუ პონსტანტინოპოლს. აქ, დედათ მონასტერში, სცხოვრებდნენ 50-ნი მოლოზანნი და მათ შორის ვიღაც დედოფალი რიფსიმე და მისი დედა — მძუძე ზაიანე. აქ ამათთან ერთად დაუყვია 2 წელიწადი და ნათელ-უცია რიფსიმე და ზაიანესათვის და 50 სულთათვის. რიფსიმე ყოფილა მეტად მშვენიერი და წარმართ იმპერატორს დიოკლიტიანეს მოუსურვებია მისი ცოლად შერთვა. მაშინ ყველა ქალებს თავ-ზარ დასცემიათ და აქეთ იქით დაფანტულან. სხვათა შორის, წმ. ნინო რიფსიმე და ზაიანეთი გამოპარულა მცირე აზიის ქალაქ ლენში და თანამგზავრებთან ერთად დასახლებულა საწნახლის ტალავარში. მაგრამ აქაც მყუდროება ვერ მოუპოვნია. დიოკლიტიანეს ბრძანებით მიუგნია მათთვის სომხეთის მეფეს ტირდატს და იმპერა-

და სხვაგან იწოდებოდნენ მხოლოზანნი. ხოლო შემდეგში ქრისტიანობამ საკუთარ სახელად ჰქმნა. წმიდა ნინას მრავალნი მწერალნი ჰხადიან „ტყვედ“. ეგრემ ბერი ქართველი ათონელი მე X საუკუნეში დაწვრილებით განმარტებს ნინოს სახელოდებას (პ. იოსელიანი).

ტორის ცოლობის უარ-ყოფისა გამო ჩიფსიმე, ბაიანე და მრავალნი სხვანი უწვალებია და მოუკლავს, ხოლო წმ. ნინო ლეთის განგებით იქვე მიმალულა. აქ უშემწეოდ დარჩენილ წმიდანს ბევრი ულოცნია და მხურვალედ უვედრნია მარიამ დედისათვის, რათა მას მიეცა ძალა და აღმოეჩინა მფარველობა. ლეთის-მშობელიც სიხმარში გამოსცხადებია ნინოს და უთქვამს მისთვის: „გაემგზავრე ივერიაში, დაამკვიდრე იქ სახარება და მე ვიქნები შენი შემწე“. მერე მარიამ დედას ვაზის ტოტების ჯვარი გადუცია ნინასთვის და უთქვამს: „ეს იქმნება შენი შემწე და მფარველი ყოველს გაქირვებაში, ყოველი ხილული და უხილავი მტრების წინააღმდეგ. ძალითა მისითა დაამყარებ იქა სიტყვასა ძისა ჩემისასა, შულისა ჩვენი სა იესო ქრისტესა“*) მკის წმიდანს გამოღვიძებია და თავის ხელში უნახავს სწორეთ ის ჯვარი, რომელიც ძილში მყოფობის დროს მისცა მას დედამან ლეთისამან. ნინოს მეტად გახარებია ამ სასწაულისაგან, შეუკრავს ეს ჯვარი თავისი თმებით და გამოემგზავრებულა საქართველოსკენ. ბევრი უვლია იმას და მოსულა (ქრბანთამდე. სადაცა „დაუზამთრია, გარემოცული დიდის ქირით“ ბაზაფხულზე ისევ გასდგომია გზას და ბაფხულს მისულა შანაერის ტბამდის ჯავახეთში. აქ

*) ზოგნი უარ ჰყოფენ ვაზის ჯვრის მიცემას ნინასთვის და ამბობენ: „ხმა ესმა (ნინას) ზეგარდამო, რომელ ეტყოდა: „ვითარმედ ესრეთ იყოს შენიცა წარყვანება სასუფეველად წინაშე ღვთისა, უამსა მას; ოდეს ეგვი ეკლა, რომელ არს გარემო შენსა, ყოველნივე იქმნეს ვარდის ფურცელ სუნნელი, არამედ აღსდევ და ვიდოდე ჩრდილოდ ვერძო, სადა იგი ფრიად არს სამკალი და მუშაკი ყოვლად არა“ (ქართ. ცხოვრ.)

მეთევზეებს მისთვის მიუციათ საჭმელი და უსწავლებიათ მცხეთის გზა. მალე ნინო მტკვრის პირ-პირ მოსულა ქალაქ შრზნისამდის და აქედგან ღმერთების თაყვანის მცემლებთან და ვაჭრებთან ერთად გამგზავრებულია მცხეთას და აქ შესდგომია წარმართ ქართველთა მოქცევას და ჭეშმარიტების ნათელით ხალხის განათელის საქმეს. მაგრამ, მინამ ვიტყოდეთ იმაზედ, თუ როგორ შეუდგა ის ამ მეტად მძიმე მოვალეობის აღსრულებას, თვალი უნდა გადაეფლოთ საზოგადოდ ხალხოსნობის და კერძოდ საქართველოს სარწმუნოებრივ მდგომარეობას და აგრეთვე ქრისტიანობის დამკვიდრებას და გამარჯვებას მსოფლიოში, ვიღრე წმ. ნინოს მოღვაწეობამდის ჩვენ ქვეყანაში.

ხალხნი გამრავლდნენ, განიზნენ მთელს მსოფლიოში, განუსაკუთრდათ მათ ენანი და დაუწყეს მსახურება მზესა, მთვარესა, ვარსკვლავთა, ცხოველთა, წყალსა და სხვ., მაგრამ ესეც არ იკმარეს: ოქრო ვეცხლისაგან ჩამოასხეს სახენი (კერპნი) თვისთა ღმერთთა, დასდგეს იგინი ტაძრებში *) და დაუწყეს მათ ვედრება ანუ მსახურება და მოუტანდნენ ხოლმე შესაწირავად, სხვათა შორის, ძეთა კაცთასა. მართველნიც, როგორც ნოეს-შვილის შვილის შვილთაგან წარმომდგარნი, არ იყვნენ მოკლებულნი კერპთ მსახურებასა. ძველის დროიდგან იგინი დასახლდნენ არა-

*) იხ. დაბადება XI, 1—9. ბაბილონის გოდოლის აშენება, ენების შერევა ანუ იათუტის, სიმის და ქამის ჩამომავალთა ჩრდილოეთისკენ, დასავლეთისკენ და სამხრეთისკენ გადასახლება და მრავალთა განსაკუთრებულთა ენათა და ტომთა წარმოდგომა ეკუთვნის 3247—2712 წწ. ქრისტეს დაბადების უწინარეს.

რატის და ძავეკასიონის მთების შუა; დაიწყეს მეურნეობა, მუშაკობა და თაყვანის ცემა მრავალთა ღმერთთა. პირველად იგინი თაყვანსა სცემდნენ ქართველთ წინაპარის ქართლოსის საფლავსა, რომელიც იყო არმაზში, მცხეთის ახლო გორაზე, შემდეგ აქვე სხვა და სხვა ღროს და აგრეთვე მრავალთა მალალთა მთების წვეროვებზე დასდგეს კერპნი და ესაუდნენ მათ. უპირველესნი ღმერთნი ქართველთა იყვნენ: ახმაზი, ზადენი, ბოჩი, ბაი, ზაცი, პნიანი და ლანიანი. ბატონიშვილი თეიმურაზ თავის ისტორიაში (გვერ. 51) ასრე აღწერს კერპსა ბოჩოსა: „ესხნეს შვიდნი ხელნი, რომლითაცა ხელმწიფებდა თვითეულითა ხელითა, თვითეულითა უმაღლესთა მათ ყოველთა სხვათა მწვერვალთაგან შვიდთა მწვერვალთა კავკასიისათა და თვითეულსა ხელსა მისსა აქვნდა თვითთა ფერი ხელმწიფება: მოფენად სარტყებლობისა, წყალობისა გინა რისხვისა“.

აქრებებს, როგორც ყველგან, ისე ჩვენში, ჰყვანდათ თვისნი მსახურნი ანუ მღვდელნი, რომელთაცა იცნობდნენ ქურუმებად. ჟოველნი კერპთ მოარწმუნენი მოუტანდნენ ხოლმე თავის ღმერთებს მსხვერპლად: სუნნელოვან ყვავილებსა, რძესა, მაწონსა, ნალებსა, თაფლსა, კარაქსა, ყველსა, ოქროსა, ვეცხლსა და სხვ. ყოველი შემოწირული კერპთათვის ქურუმთ უნდა გაეყოთ სამ ნაწილად: პირველი ნაწილი ერგებოდა ქურუმთა; მეორე ნაწილს დასდებდნენ ხოლმე ერთ სასტუმრო ოთახში და ყოველნი ღარიბ-ღატაკნი მლოცველნი მივიდოდნენ, შეექცოდნენ, იშვებდნენ, იღებდნენ და მერმე მიიქცოდნენ სახლთა თვისთა; მესამე ნაწილს დაურბგებდნენ ხოლმე ტყვეთა, პყრობილთა და დაერღობილთა. ხოლო ყველა ის, რაც

იყო ძვირფასეული (ოქრო, ვეცხლი, ზედი და სხვ.),
ეკუთვნოდა ტაძარსა და ეკრავინ დაისაკუთრებდა. *)

ამნაირად ყოველს ხალხს ჰყვანდა თვისნი ნივთიერნი
ღმერთნი და აქენდათ თვისი კერპთ-მსახურება, ბომონ-
ნი და ჰყავდათ ქურუმნი. შველასზე უფრო ბევრი ღმერთი
ნი ჰყვანდათ ბერძენთ, მისირელთ, რომაელთ და სხვათა
და სხვათა. ზოგი თაყვანსა სცემდა კატასა (მისირელნი),
ლორსა, ზოგი თხასა და სხვა. ამ მღვდმარეობაში იყო
სარწმუნოება ყველა ხალხებში, ვიდრე ძრისტეს მოსვლამ-
დე. ხალხო ძრისტეს სწავლამ მოახდინა დიდი რელიგიუ-
რი ცვლილება ხალხოსნობის რწმენაში. მრავალგან შეიგ-
ნეს მისი კაცის არსების გამაცოცხლებელი და გამაფაქიზე-
ბელი სარწმუნოება, დათრგუნეს ბომონნი, კერპნი და მათ
ადგილს აღუშენეს ტაძრები ერთ-არსსა ღმერთსა ჩვენსა.
მაგრამ ქრისტიანობის საბოლოო გამარჯვება წარმართო-
ბაზე იწყობა IV საუკუნის დასაწყისიდან. 313 წელს რომ-
ის მძლავრმა იმპერატორმა კონსტანტინემ ნება დართო
თვისთა ქვემეგრდომთა უშიშრად ელვიარებიანთ ძრისტე
ღმერთი. ამნაირმა ქრისტიანობის წარსაჩლებამ იმპერატო-
რის მხრით ქრისტიანთა წრენი, საზოგადოებანი და ტა-

*) იხილე „ისტ. დაარს ივერიისა, ე. ი. გიორგისა, რომელ
არს სრულიად საქართ. ქმნილი საქართ. მეათცამ. მეფ. გიორგის
ძის თეიმურაზისაგან. გამოც. ს.-პეტერბურგში. 1848 წელსა. თუმცა
თეიმურაზი არ ჩხსენიებს იმას, რომ ქართველებს შესაწირავად მოჰყ-
ვანდათ თვისნი ჩვილნი ყრმანიცა და პირიქით უარ ჰყოფს ამ გვარს
მსხვერპლს, მაგრამ სხვა მწერალნი დარწმუნებით ამბობენ, რომ, ვი-
თომ, ქართველებს მართლდაც სცოდნოდესთ ყრმების შეწირვა ღმერ-
თათვის და რომ მეფე რევს 200 წლებში ქრისტესით აღუკრძალავს ეს
უგუნური ჩვეულება.

ძარნი განამრავლა; მაგრამ ქრისტიანობა უმეტესად განმტკიცდა ხალხობაში მაშინ, როდესაც პოსტანტინეს დედამ, მოციქულოთა სწორმა მღვანემ იპოგენა სწორეთ ის ჯვარი რომელზედაც შემსჭვალული იყო მაცხოვარი ჩვენნი. მალე მთელს საბერძნეთს, მცირე აზიას, რომს და გარემოთა ხმელთა-შუა ზღვისათა მოედო ქრისტიანობა. შველგან ითრგუნებოდნენ კერპნი და მენდებოდნენ ეკლესიანი და ტაძარნი.*) ამის შემდეგ საქართველოს ერსაც დიდხანს აღარ დაუყვია ურწმუნოებაში: სულ ხუთი წელიწადი, ესე იგი 313 წ. 318 წლამდე. სწორეთ ამ დროს საქართველოს მეფედ იყო ძირიანი.

265 წელში ქრისტეს აქეთ შარნაოზიანთა — ნებროთიანთა და არშაკუნიანთა უკანასკნელ წარმომადგენელთა ასთაგური მოკვდა. მას დარჩა მხოლოდ ერთი ასული: მანუკიან სპასალარმა ყველა ქართველ ერისთევებს და წარჩინებულთ მოუყარა თავი მცხეთაში სათათბიროდ იმის; შესახებ, თუ ვინ დასვან მეფედ საქართველოსა. ამ კრებას მანუკიანმა მოახსენა: „მოიკლა სპარსთაგან დიდი მეფე სომხეთისა; დაპყრობილ იქმნა: პართია, სირია, მიდია და იმ-

*) ქრისტიანობის გამარჯვებისათვის არა მცირე ღვაწლი მიუძღვით შემდეგთა გამოჩენილთა მეორე და მესამე საუკუნეებში შქადაგობელთა, რომელთაც ღირსეულად განაგრძეს მოციქულებისაგან დაწყებული საქმე: რომის ეპისკოპოს კლიმენტოსს, შეპურობილს, ტროიანესაგან კიმერიის ბოსფორში. ამან შაგის ზღვის პირებზე ააშენა 70 ეკლესიანი, ამათგან ერთი კოლხიდაში; ანტიოქიის ეპისკოპოსს იუსტინე სამარიელს; პოლოკარპს, სმირნის ეპისკოპოსს, ირინეს, ლიონის ეპისკოპოსს; კიპრიანს კართაგენისას და სხ. (ისტ. საქართველ. თავ. ბარათოვისა, ნაწილი II და III გვერ. 7).

ლია რომი; სპარსთა მეფის განზრახვა არის შთანთქმას მთელი ჩვენი ქვეყანა, დარჩენილი ობლად და არავინ არის ჩვენში იმისი წინააღმდეგომი; გამოვთხოვოთ სპარსთა მეფეს საკუთარი ვაჭი ჩვენ მეფედ და შევეხვეწოთ, რომ შერთოს იმას ცოლად ასული ასფაგურისა იმ პირობით, რომ იმისმა შეიღმა აღიაროს სჯული ჩვენი და აღიაროს ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობა...“ მოხსენებული მეფე სპარსთა იყო მასრე ანუ ხოსრო სასანიდი, რომელიც ისის იყო ასულიყო სპარსეთის ტახტზე. მასრემ წამოიყვანა საქართველოში თვისი ვაჭი, 7 წლის მირიანი, ნაშობი მხეველისა, შერთო ცოლად ასული ასფაგურ მეფისა, დაუმორჩილა მას საქართველო, რანი, მოვაკანი; ჰერეთი, სომხეთი და ყოველნი მთიულნი ქავკასიისანი და უბრძანა მირიანს და იმის ლალას მირიანოზს, რათა ებრძოლონ ხაზართა. მირიანს უბრძანა ყოფილიყო ორსავე სჯულსაზედა: „მამათა ჩვენთა ცეცხლს მსახურებასა და თქვენთა (ქართველთა) კერპათასა“ დაუტოვა თვისსა ძესა 40,000 მხედარი და წარვიდა სპარსეთად.

მცირე წლოვანმა მეფემ დიდად შეიყვარა ქართველნი, ისწავლა ქართული ენა, ზნე, ჩვეულებანი, „შეამყო კერპნი და ბომონნი და კეთილად იპყრა ქურუმნი“. 15-ტი წლისას მოუკვდა მეუღლე და „მოიყვანა მეორე ცოლი საბერძნეთით — პონტიით, ასული შლიოტორისა ნანა. • —

პი ამ მდგომარეობაში იყო საქართველო, როდესაც მცხეთაში, როგორც უკვე ვსთქვით, შემოვიდა წმ. ნინო*)

1) ეჭვს გარეშეა ის ფაქტი რომ წმ. ნინო ყმაწვილობითვე იყო ქრისტიანობის დიდი მორწმუნე, მით უმეტეს, რომ მისი სამშობლო იყო

იმ დღეს, რა დღესაც ნინო შემოვიდა მცხეთაში, იყო არ-
მაზის და ზადენის დღეობა (6 აგვისტოს). მეფე, დედოფა-
ლი ნანა, ერთი მრავალი, ჩაცმულნი ფერად-ფერადად, აღი-
ოდნენ არმაზის გორაზე ღმერთების თაყვანის საცემლად.
წმ. ნინაც ავიდა და ნახა მდგომარე კაცი ერთი სპილენ-
ძისა, რომელსა „ეცვა ტანსა მისსა ჯაჭვი, ოქროისა და
თავსა მისა ჩაფხუტი ოქროისა, სამხრენი და თვალნი მის-
ნი იყვნეს ზურმუხტისა და ბიფრიტისანი და ეპყრა ხმალი ხე-
ლსა მისსა ელვარე და ბრწყინვალე... და კვალად მარჯვენ-
ით მისსა სხვა კერპი, სახითა კაცისათა მდგომარე, სახე-
ლი მისი ზაც და მარცხენით მისსა უდგა კაცი ვეცხლისა
და სახელი მისი ზაიმ.“ შევლანი თაყვანსა სცემდენ ამ
ღმერთებსა. ამის მხილველი ნინო შეძრწუნდა და შეევედრა
ღმერთსა, რათა სასწაულებრივ განებნია გუნდი ესე უმე-
ცართა. მელრება წმიდანისა შესმენილ იქმნა. ასტყდა საში-
ნელი ქარიშხალი, ქუხილი, მოვიდა საშინელი წვიმა; ხალ-
ხი სწრაფად გაიფანტა ქალაქისკენ და სოფლებისკენ; სეტ-
ყვამ შემუსრა კერპნი, რომელნიც შთაიბნიენენ კლდეთა

კაპადოკია, რომელშიაც პირველ საუკუნეში ქრისტეს შობიდან იყვნენ
მრავალნი ქრისტიანენი; მესამე და მეოთხე საუკუნეებში კი აქ არ იშოვე-
ბოდა არც ერთი კერპთ-მსახური. ამ დროს აქ იყო 50 საეპისკოპოსო სა-
უდარი ანუ ეპარქია: კესარიისა, ნისიისა, თერმისა, ტიანისა, ციბისტრისა,
ნაზიანზისა, მელიტინესი და კომანისა და სხ. ჩინებულნი მღვდელ-მთავა-
რნი ამ ადგილისანი იყვნენ: წმ. გრიგოლი, ბასილი კესარიელი,
გრიგოლ ნისელი და სხ. მრავალნი სახელ განთქმულნი და ჩინებულნი
მწერალნი (იხ. ვალინის ისტ. კაპადოკიისა, სტრაბონი, წიგნი 12. §
3 სტრატიაში დ. ი. ჩუბინაშვილისა, ეტნოგრაფი. განხილვა ძველთა და
ახალთა კაპადოკიის ან ტანუთის მკვიდრთა მახასიათებელი

ნაპრალობა მათ შინა. მეორე დღეს რომ წარმართთა ველარ იხილეს თვისნი ღმერთნი, მიზნად უბედურებისა სცნეს რომელიმე ღმერთი, განრისხებული მათზე.

მესამე დღეს წავიდა ნინო მცხეთაში; აქ მეფის ბაღის ახლოს გაიკეთა მაყელის ქოხი, შიგ დაასვენა ვაზის ჯვარი, დაიწყო ლოცვა და ქადაგება. პირველად მან მოაქცია ძრისტეს სჯულზე მეფის მებაღე ცოლით, ურიის მღვდელი აბიათარი და ასული მისი სიღონია და სხვანი ექესნი კაცნი; აგრეთვე განუკურნა მეფეს დიდი ხნის სნეული მეუღლე-ნანა. ამ ნაირად ქადაგებდა ნინო ძრისტეს სჯულსა 3 წლის განმავლობაში და ბოლოს 318 წელსა მისმა სწავლა-ქადაგებამ მირიანიც შეიპყრო და მანაც ისურვა ქრისტიანობის მიღება. წმ. ნინოს რჩევით მეფემ იმპერატორს პოსტანტინეს აცნობა თვისი გარდაწყვეტილება და სთხოვა მღვდლები და ეპისკოპოსი. იმპერატორი და დედა მისი მღენე აღიესნენ სინარულითა დიდითა და „წარმოუვლინა ჯვარი და ხატი მაცხოვრისა, იოანე ეპისკოპოსი, მღვდელნორნი და დიაკონი სამი, ფიცარი ფერხისა უფლია და სამსჯვალი და მოუგზავნა ეკლესიის მაშენებელი მრავალნი“. რამწამს სამღვდლო პირთა მოაწიეს მცხეთას, მეფე მირიანმა შეჰყარა თვისნი ქვეშევრდომნი და მტკვარში მოინათლა. შრიათაგან გაინათლნენ მხოლოდ 50 პირნი, ჩამომკალნი ავაზაკის ბარაბასი, რომელთაც ამის გამო მეფემ უბოძა დაჰა ციხე-დიდი.

მეფის ბაღში მცხეთაში იდგა დიდი კვიპაროზის ანუ ნაძვის ხე. მეფემ ნინოს რწმევით მოჰკვეთა ეს ნაძვი და მისი ტოტები იხმარა ეკლესიის სვეტებად. ეკლესიის აშენების დროს მოხდა სასწაული: ნაძვის ექვსი სვეტი რომ დასდგეს ეკლესიისათვის, მაშინ მეშვიდე სვეტად ნაძვის ღერი უნდა დაედგათ, მაგრამ ვერას გზით ვერ შესძლეს მისი ადგილიდამ დაძრა, ვიდრე ციდამ ანგელოზები არ ჩამოვიდნენ და არ მოაგვარეს საქმე. ამავ დროს ნინომ ადგილობრივ გაიგო, რომ კვართი უფლისა ჰმარხია მცხეთაში; შემოხსენებულმა სასწაულმა კიდევ ყველას აფიქრებინა, რომ კვართი უეჭველად უნდა ყოფილიყო მოკვეთილ ნაძვის ხის ქვეშ. ¹⁾ მართლაც ნაძვს სდიოდა მიწონი და ჰკურნებდაცა სნეულთა. ასრე ააშენეს პირველი ტაძარი საქართველოში. ღაძსდა მაშინ სამწყსო, ანუ ეკლესია უფლისა

1) არც ერთგან ისტორიაში ჩვენ არ აღმოგვიკითხავს, თუ რომელი მეფის, ან რა დროს პონილ და მიწიდამ ამოღებულ იქმნა ისეთი დიდი საუნჯე ეკლესიისათვის, როგორც არის კვართი უფლისა იესო ქრისტესი. მხოლოდ ყველანი დარწმუნებულნი არიან (იხ. სვინაქსარი 10 ივნისისა), რომ კვართი პონის შემდეგ, სულ მედამ ინახებოდა მცხეთის სამთავრო ტაძარში და ხან იდო გვადრუცში, ხან ჯვარში (კვართზე დაწვრილებითი ცნობები თავის ადგილას იქნება).

ჩვენისა და დაწესდა სასულიერო წოდება, რომელიც პირველ დროში სულ მთლად შესდგებოდა ბერძენთაგან. მცხეთის ტაძარი, აღშენებული მაცხოვრის სახსრად, ხსენებული სვეტის გამო დღესაც იწოდება სვეტი-ცხოველად. თქმულება არის, რომ იმ მეშვიდე სვეტს, რომელიც ახლაც იმყოფება მცხეთის ტაძარში, სულ მუდამ სდიოდა მარონიო.

ნაძვის ხილამ კიდევ გააკეთეს სხვა ჯვრებაც, რომელთაგან ერთი დასდგეს მცხეთის პირ-და-პირ, არაგვის გაღმა გორაზე, იქ, სადაც ეხლა ჯვრის ეკკლესიაა; ¹⁾ მეორე — უჯარმაში, ²⁾ მესამე — თხოთის გორაზე ³⁾ და მეოთხე სოფ. ბოდბეში.

¹⁾ ეს ეკკლესია ლეკთაგან გაიხრდა 1787 წ. და აწ ჰვიეს ცალიერად პირის-პირ მცხეთისა, არაგვის მდინარის გაღმა გორაზე. ეკკლესია იწოდება აგრეთვე ჯაჭვის ეკკლესიად, თქმულება არის, რომელ ჯვარის ტაძრიდამ მცხეთის სობოროზე მალლა ჰვარში გაბმეღნი იყო ჯაჭვი. ჯვრის ტაძარში მცხოვრები წმ. ხერი ამ ჯაჭვე გადადიოდა მცხეთაში საზრდოს გადმოსატანად. ერთხელ გადამავალმა ბერმა გულში ცოფვა გაივლო, ჯაჭვი გაუწყდა და თვითც ჩამოვარდა აღელვებულ მდინარის ზვირთებში.

²⁾ უჯარმა ამ დროს დიდი ჭა მრავალ მცხოვრებლებიანი ქალაქი იყო. ეხლა უბრალო სოფელია. მდებარებს გარეთ-კახეთში (კუხეთში).

³⁾ თხოთი ის ადგილია, საცა მეფე მირიანმა გადასწყვიტა გაქრისტიანება და განათვლა. ამ ადგილას, როგორც გადმოგვცემს ლეგენდა, მირიანი ნადირობდა. ამან მოვლო სანახები მუხრანისა და აღვიდა მთასა ზედა თხოთისასა მალაღსა, რათამცა მოიხილა კასპად და უფლის ციხედ. განვიდა თხემსა მთისასა, დაუხეღდა მათ ზედა მზე და იქმნა ვითარცა ღამე ბნელი უკუნი. მეფემ ბევრი ევედრა თავის ღმერთებსა, მაგრამ ამაოდ: უკელა არ საიღამ იყო. მაშინ სთქვა მან: აღმერთო ნინოსო, განმინათლე ბნელი ესე და აღვიარო სახელი შე-

შემდეგ ამისა მეფე და ნინო შეუდგნენ ზრუნვას ქრისტიანობის გასაერთოებლად სამეფოს. შორეულ კუთხეებშიაც, როგორც სჩანს საეკლესიო მატრიანთაგან, შართალელნი, შხოველნი, ბუდამაყრელნი და სხვანი მითრულნი არ განათლულან მცხეთაში მეფესთან და სხვა ქართველებთან ერთად. აი ამათ მოსაქცევად და კავკასიონის ბნელს ღელე-ყურეში ქრისტიანობის დასანერგავად გამგზავრებულა იგივე წმიდანი.

„აწ უკვე, საყვარელნო ჩემნო, ივლტოდეთ კერპთ-მსახურებისაგან“ (ძორინთ. მკისტ. წმ. მოც. პავლესი თ. 10. 14). მოღის თქვენი კერპების დასამხოზად საკვირველი: დედა-კაცი ესე ნინო. მართლაც ნინო ეპისკოპოსით იოანეთი, მეფით, ერთი მრისთავით და სხვ. წავიდა ჭორობანსა, მოუწოდა შართალელთა, შხოველთა, ბუდა-მაყრელთა და უქადაგა „წვარი ქრისტიანეთა, ქვმმარიტი, მიმყვანებელი ცხოვრებად საუკუნოდ“. მაგრამ შხოველთა და ზოგიერთ სხვა მთიულთ არ მოუნდომნიათ ქრისტიანობის მიღება და როდესაც მეფეს ამის გამო დაუმზია მათი კერპები, მაშინ იგინი გადასახლებულან ოსეთში: ნინო და მისი ამაღლა წამოსულა მრწო ოიანეთში, უქადაგნია მათთვის ქრისტიანობა და მათაც მიუღიათ. აქედგან ნინოს მოუსურვებია გამგზავრება ჩანს, მოსაქცევად მეფის მირიანის სიძის შეროზისა, მაგრამ ოდესც მიუწვენია სოფ. ბოდბემდის, დაუძლურებულა და ამიტომ იქვე დაშთენი-

ნი, აღვმართო ძეღი ჯვარისა და თაყვანი ვსცე მას და აღვაშენო სახლი საღოცველად ჩემდა და ვიყო მორჩილ ნინასა სჯულსა ზედა რომთასა“. ასრევ მოჰხდა. (თეიმურ. გვ. 258).

ლა და იქიდგან დაუწყეია ქადაგება სჯულისა შრიტესისა და წარმართი ხალხი ძახეთ-ჰერეთისა უნათლია ნათლითა ჰუმბარითა „და ყოველთა მოსეს მიერ ნათელ-იღეს ღრუბლითა მით და ზღვითა“ (ძორ. მკისტ. წმ. მოც. პავ. 10, 2). მაგრამ დიდ-ხანს აღარ გაგრძელდა ესე მოღვაწეობისა წმიდისა ამის ნეტარისა დედისა ჩვენისა ნინასი. იგი ძრიელ დასნეულდა. მაშინ მოვიდენ მისა მეფის ძე რევი¹⁾ და მეუღლე მისი სალომე, აგრეთვე ეპისკოპოსი იოანე და ყველამ მოინდომეს „წარმოყვანებად წმიდისა ნინოსი მცხეთად, ხოლო წმიდა ნინო არა ერჩიდა. მაშინ წარვიდა თვით მეფე და სიმრავლე ერისა ძლიერისა და მივიდეს მისთანა და შეჰკრიბა სიმრავლე ერთა და ჰხედვიდა ყოველი იგი ერი პირსა ნინოსა, ვითარცა ზეცისა ანგელოზისა და მოსწყევდდიან ფესესა სამოსლისა მისისასა, მიიღებდეს და ემთხვეოდეს სარწმუნოებით. და იძულებით ევედრებოდეს ყოველნი დედობულნი გარემოს მსხლომნი, რომელთა მოზდიოდეს ცრემლნი თვალთაგან მათდა განშორებისათვის მოძღვრისა მის და მოღვაწისა და სწეულთა მკურნალისა ხელოვანისა“ (ბატონიშ. სიემ. ისტ. გვ. 270).

უკანასკნელ წაძებში თვისის სოფლად ცხოვრებისა; წმიდასა ნინოს, თხოვნისა მეზრ დედოფლისა სალომე, შჯარმელისა და ჰეროჟ ავრისევანელისა უამბნია თვისი წარსული თავგარდასავალი ანუ, უკეთ ვსატყვათ, თვისი ბიოგრაფია. „იწყო სიტყვად წმ. ნინომ და იგინი (სალომე

¹⁾ რევი იყო ძე მირიანისა. მას ცოლად ჰყვანდა სალომე, რომელმაც აღწერა წმ. ნინას ცხოვრება და თავ გარდასავალი. რევი სცხოვრებდა უჯარმაში და განაგებდა კახეთსა და მის მიდამოსა.

შჯარმელი და ჰეროჟ აგრივანელი) სწერდეს და წარმო-
უთხრა ყოველი, რომელი ზემოთ დავსწერეთ ცხოვრება
მის წმიდანისა და ნეტარისა“ (იქვე გვ. 271). შემდეგ
ეპისკოპოსმა იოანემ შესწირა უსისხლო მსხვერპლი და
აზიარა წმ. ნინო ხორცსა და სისხლსა ძრისტესსა. წმიდამან
ნინომ ღრმა მოხუცებულებაში (67 წ.) განუტევა სული
თვისი დასაბამითგან სოფლისა 5834 წ., 329 წ. ძრისტე-
სით, ქართლად მოსვლით მისითვე 25 წელსა. წმიდა გვა-
ში მისი, მისივე ანდერძის ძალით, დამარხეს იქვე ბოდბეში,
იქ, საცა ეხლა წმ. ნინას ეკკლესიაა, რომელიც ამ ბოლო
ღრომდის იყო სამიტროპოლიტო ტაძრად. ¹⁾

შემდგომად ნინოს დასაფლავებისა, მეფე მირიანს მო-
უვლია ჰერეთი, ქართლი და მთელი თვისი სამეფო, თით-
ქმის ყველგან განუმტკიცებია ხალხი სარწმუნოებასა ზედა
სამებისა ერთ არსებისა ლეთისასა.

* ტქმულება არის, მერე საფუძვლიანი, რომელ ესე
მირიან წასულიყოს პოსტანტინოპოლს და ეხილოს დიდი
იმპერატორი რომისა და საბერძნეთისა პოსტანტინე, რომ-
შელსაც დიდის პატივის ცემით მიუღია მეფე. აქედ-
გან მირიანი გამგზავრებულა იერუსალიმად და უშოვნია

1) პირველი ქვის ტაძარი ნინას საფლავზე ააგო მირიანის ძემ
პაქარმა. ეს ტაძარი განახლებულ იქმნა მიტროპოლიტის იოანესაგან
(1837 წ.) აქაური მიტროპოლიტის სამწყსო იყო ქიზიყი კონდოლამდის და
ესენივე (მიტროპოლიტნი) გვირგვინოსან ჰყოფდენ ხოლმე კახეთის მეფეთა
(Жизн. Гр. Св. Ил. Иос. გვ. 47, შევიშვა 29). წმ. ნინო მოცი-
ქელთა სწორად აღვიარებულ იქმნა ჩვენი ეკკლესიისაგან და მის დღე-
ობად დაინიშნა 14 იანვარი, დღე აღსრულებისა მისისავე. საგალობელი
კი შეუდგინეს მე IV საუკ. გასულს.

ქართველთა ჯვარის მონასტრის ადგილი. ეს ის ადგილია, „სადაცა ლოთმან, ძმის-წულმან აბრაამისამან, დანერგა სამი მუგუზი ერთად და სასწაულოთა აღიზარდნეს იგინი ერთხელ, რომლითა დარწმუნებულ იქმნა ლოთ, რომელ მიეტყევების მას ცოდვანი მისნი. ჯვარის მონასტრის ტრაპეზი სდგას ძირსა ზედა ლოთის ხისასა. ძირი იგი ხისა მის აქამომდე იხილვების ქვეშე წმიდისა ტრაპეზისა“. — მირიან მეფის დროსვე დაწყებულია იერუსალიმში ქართველთა ჯვარის ეკლესია. პირველად იგი ყოფილა მცირე, შემდეგ მეფეებს გაუდიდებიათ, გაუმშვენიერებიათ და უჩუქებიათ მისთვის დიდი მამულები საქართველოში.

როდესაც მირიანი დაბრუნდა საქართველოში და სცნო თვისი უფროსი ძის რევის, ძახეთის მმართველის, გარდაცვალება, მან ეს მხარეც შეუტერთა თვისსა სამეფოს და მალე თვითონაც აღესრულა (342 წელს.)²⁾ ბამეფდა ალქანტინესთან მზევლად მყოფი მეფის ძე ბაქარი.

2) მირიანს დიდას, ჰრჩეულს სხვას ვისმე დავითს, ამაღ ვითარმედ, იყვნეს უმძლეს უმზნესნი, მეფენი პირველ სხვა და სხვათაგანს უბოძა, მაგრა არა სთნდეს მონად თვისად უფალსა. ემესაბამვის შესხმა მიცემად ქებით.

სხვა სავლე იქმნა, მირიან რჩეულ წმინდა, გვემული სიპრით განგებით შთაჭრილ-ცხენით. ამით ტყვისაგან, თავისუფალ ტყვეობის, მცნობელი და მსწრაფლად განღვიძებული ღვთისად, კერპთ მმუსრი ქრისტეს აღმმართები ჯვარის.

ესე არს პირველ და დასაბამ მეფეთა, კეთილ-მსახურთა, ვინ მოიმაღლა ნიჭად, ქრისტეს სახელის და მის შორისებათ.

ბაქარს მამაზე მცირე ღვაწლი არ მიუძღვის ჩვენს ხალხის წინაშე. იგი მხურვალედ შეუდგა ქრისტიანობის გავრცელების საქმეს და აგრეთვე ხალხის განათლებისას. მან საბერძნეთიდან გამოიწერა განათლებულნი პირნი და თავის სამეფოს ყოველი კუთხისკენ გაგზავნა იგინი საქადაგებლად ქრისტიანობისა. მის ღროს მოიქცნენ წარმართობიდან ხევსურნი, აფხაზნი და მრავალნი სხვა მთიულნი. ქრისტიანობის მკვიდრად დასამყარებლად ამავე მეფემ ააშენა მრავალი ტაძრები და დააწესა საეპისკოპოსო კათედრანი სხვა-და-სხვა ადგილას, მაგ. წილკანში, საცა ააგო წილკნის ღვთისმშობლის მშვენიერი ეკლესია და აგრეთვე სხვაგან. ბაქარმავე ეკლესიებში შემოიღო ქართული წირვა-ლოცვა და გალობაცა, მიმსგავსებული ბერძნულის ხმისა. ბაქარი ყოველ გვარ ღონისძიებას ხმარობდა, რათა ქართული ეკლესია დაეყენებინა სამშობლო ნიადაგზე. ამიტომ იგი ცდილობდა, რომ ხალხში გავრცელებინა განათლება და ამნაირად მოემზადებინა მამულისა და ეკლესიისათვის მოსამსახურე პირნი. ამის მიზნით მან მრავალგან დააარსა სკოლები, საცა სჯულისა და სხვა საგანთა გარდა ასწავლიდნენ აგრეთვე ბერძნულ და ასირიულ ენათა. ჩვენს ენაზე გადმოათარგმნინა ბევრი სამღვთო წიგნები. მაგრამ სიკედილმა აღარ დააცალა ბრძენსა და განათლებულსა ამა

წინამძღვარ ექმნა, ღვთისა მიმართ ქართველთა,
ხოლო გვირგვინი მიიღო მოციქულთა.

(იხ. წუობილ სიტყვაობა. მუხ. 549, 550 და 551)

მირიან ჳმარნია მცხეთის ტაძარში, მისი სახე კი გამოხატულია იერუსალიმის ქართველთა ჟვარის მიწასტრის კედელზე.

მეფეს განგრობა ჩინებულისა სამსახურისა მამულისათვის.
იგი აღესრულა 364 წელს.

იმავე წელს მეფობა მიიღო მისმა შვილმა მირდატ III, რომელიც აგრეთვე მუყაითად შეუდგა ქრისტიანობის საქმეს. მის დროს სამწყსოს განაგებდა მთავარ-ეპისკოპოსი იაკობი. შემდეგ იობი. მირდატმა მოაქცია კლარჯეთის და ჯავახეთის მცხოვრებნი ქართველნი და მკვიდრად დანერგა იქ ქრისტიანობა. იმერეთში ააგო მშვენიერი ხონის სობორი, რომელსაც განუწესა ეპისკოპოსი. აგრეთვე სხვა-და-სხვა ადგილას ააშენებინა მრავალი ეკლესიები. მის მეფობის განმავლობაში (364—379 წ.) საქართველოს ეკლესია სტკბებოდა მშვიდობიანობითა და წარმატებაში იწეოდა.

ქრისტიანობის და ამასთანავე საქართველოს მშვი-
 დობიანობა ცოტათი შეფერხდა მირდატის ძის მარაზ-ბაქა-
 რის დროს (379.—394 წ.) სპარსელნი, რომელთაც დიდად
 არ ესიამოვნებოდათ ქრისტიანობის გავრცელება საქართვე-
 ლოში, შამოვიდნენ ჩვენ ქვეყანაში, აიღეს არანი, სომხი-
 თი და დადგნენ იქ, საცა ობილისია; აქ გორაზე, წინააღ-
 მდეგ ქართველთა, ააგეს «შურის ციხე» და დაუწყეს ქრი-
 სტიანებს დევნა და წვალება. მარაზ-ბაქარი იძულებული
 შეიქმნა შერიგებოდა მტერს და დაეთმო მისთვის არანი,
 აღმოსავლეთი ნაწილი საქართველოსა და ეძლია ხარკი.
 ბერძენთა იმპერატორმა არ მოუწონა ვარაზ ბაქარს ამნაი-
 რი სამარცხენო საქციელი და აუჯანყა ქლარჯეთი ბასი-
 ნამდის და იქ მმართველად დასვა საერომათი. ამავე დროს
 სპარსელთაც გამოუცხადეს ომი ქართველებსა; ამის მიზე-
 ზად შეიქმნა ქართველთ ეპისკოპოსი ავდი, რომელმაც თა-
 ვის სამწყსოში—სპარსეთში გადასწვა წარმართთა ტაძარი.
 სპარსელთ ჯარებმა დაიწყეს რბევა საქართველოს განაპირა
 მხარეებისა. (იხ. Нумизм. факт. груз. цар. гг. 52,
 წიგ. თ. მ. ბარათაევისა). ამ ომების დასრულებამდის
 მოკვდა ჩვენი მეფე და გამეფდა თირდატი, რომელმაც ცდი-
 ლობდა დაემშვიდებინა თვისი სამეფო. მთავარ-ეპისკოპო-

სის ილიას შემწეობით მშვიდობიანობა დამყარებულ იქმნა: სპარსელთ დანიარჩუნეს რანი და მოვაკანი, ბერძენთ ძლარჯეთი ¹⁾. ბამეფებულმა შარსმანმა (405—408 წ.) დაიწყო დანგრეული ეკლესიების განახლება და ახლების აგება, მაგრამ მალე მოკვდა და ივერიის ტახტსა ზედა აღვიდა მტერი ქრისტიანობისა და უზნეო მეფე მირდატი IV (408—410 წ.) აშაწყარ-ჰყო სჯული თვისის ხალხისა და მოინდომა წვალება ქრისტიანებისა, მაგრამ სპარსელებმა აღარ აცალეს. ხარკის მიუცემლობისა გამო ქართველებზე განძინებულნი მტერნი შემოვიდნენ საქართველოში, აღაოხრეს იგი, დაამხეს ყველა ეკლესიები და მათ წილ დასდგეს კერპნი. ხალხი სამღვდელი პირებითურთ, შეიხიზნა მთებში და კახეთის ხევში. ოვით მეფე დაატყვევეს, გაგზავნეს ბაღდადში და იქვე მოკვდა. საქართველო, უმეფოდ დაშთენილი, ჩაფარდა საშინელ მდგომარეობაში, მშველე-

1) ბერძენთ იმპერატორმა თეოდოსი მცირემ ჩვენ მეფეს მძევლად გამოსთხოვა შვილი მურვანოს (12 წლისა), რომელმაც მცირედთა უბოთა დაისწავლა ყოველივე წერილი, ენა ბერძნული და ყოველივე სწავლულეა საეკლესიო და საფილოსოფოსო და აგრეთვე ენა ასურებრივი. პეტრე (მონაზონობის სახელი) იყო, ამბობს მიხეილ სირიელი, ძე საქართველოს მეფისა, მძევლად შემოყვანილი კოსტანტინეპოლში და, როდესაც აქ იმან შეისწავლა საღმთო წერილი, შეუდგა მკაცრ მონაზონების ცხოვრებას და სახელ-განითქვა დიდად; პეტრემ თავის სურვილის წინააღმდეგ, მიიღო მღვდელ-მონაზონობა და შეიქმნა არხი-ეპისკოპოსი პალესტინისა. იმის საკათედრო ადგილი იყო გაზი და ისე იყო იგი განვითარებული, რომ არავის შეეძლო იმასთან ბაასობა. ამ წმინდა კაცს ჰყვანდა მოწაფედ განსწავლულთაგანი მონაზონი იოანი, რომელმაც სწერა მრავალი. პეტრეს მიმოუვლია პალესტინა და აქ აუშენებია რამოდენიმე მონასტერი, სასნეულო და სასტუმრო. გარდა-

ლი ჩვენი ქვეყნისა გამოჩნდა ძე პირდატისა არჩილი. მამეფებისვე უმაღლ (410—434) გონიერმა ამა მეფემ შეირთო ცოლად ბერძენთა ხელმწიფას ასული მარიამი, ¹⁾ რათა უნებელად ყოფილიყო ბერძენთაგან. შემდეგ შეუდგა სარწმუნოების აღდგენას. იმან განდევნა ცეცხლ-თაყენის მცემელნი; დაამხო კერპნი და ბომონნი და ხელ-ახლა ააგო ტაძრები; სხვათა შორის წმ. სტეფანესი ქ. მცხეთაში. მანდევნილნი ქურუმნი საჩივრით მიიქცნენ წინაშე არანის და აღირბეყანის მმართველის ბარზაბოდისა და სთხოვეს შველა და აღასჯა არჩილისა. დიდძალის სპარსთა ჯარით ეს საშინელი მტერი შემოვიდა საქართველოში, მაგრამ ძალოვანის ჩვენი მეფის არჩილისაგან იძლია და განდევნილი იქმნა არანადის, რომლის მტხოვრებთაგან მრავალნი შეიპყრო არჩილმა, ტყვე ჰყო და დიდის აღაფით უკმოიქცა და იღვესასწაულა თვისი გამარჯვება. და ეს გამარჯვება მტერთა ზედა მიაწერა ძალსა შირისტესსა.

ამავე დროს საქართველოს მთავარ-ეპისკოპოსად იყო სპარსელი მობიდანნი, რომელიც მხოლოდ გარეგნობით ქრისტიანობდა, თორემ ნამდვილად კი იყო მტერი ამ

ცვლილა ბრწყინვალე მოღვაწეობით სახელ განთქმული ნწ წლისა ზენონ იმპერატორის დროს (474—491) და დაფუძულა დიდითა დიდებითა მონასტერსა ქართველთასა იერუსალიმს. ვრცელი ბიოგრაფია მისი აღუწერია სირიულად იმისავე მოწაფეს ზაქარია ქართველს და ქართულად უთარგმნია მღვდელს მაკარის (იხ. ისტ. ვახუშტისა, გვერდ. 80—81, შენიშვნა დ. ზ. ბაქრაძისა.)

¹⁾ მარიამი და მისი რძალი სანდუხტა (გაქრისტიანებული) მეტად ღვთისნიერნი იყვნენ. მათ თხოვნით და შემწეობით პირველად გადმოიღეს ქართულად სახარება, სამოციქულო და სხვა წიგნები.

სჯულისა. ეს ცრუ მღვდელ-მთავარი უარ-ჰყოფდა ზოგიერთ ქრისტიანულ წესებს და შემოჰქონდა არიოზის ¹⁾ მწვალებლობა, რომელიც იმპერატორის მალენტის მფარველობით ედებოდა მთელს აღმოსავლეთს. ზარდა ამისა ღირსეულ და ზედ-მიწევნით ქრისტიანობის მცოდნე მღვდლებს და ეპისკოპოსებს სცვლიდა და მათ მაგიერ ამწესებდა თავის სწავლის მალვიარებელ პირებს. თუმცა დიდის სიფრთხილით ურევდა ღვარძლსა ნიკეის მსოფლიო კრებისაგან აღვიარებულ და დამტკიცებულ ქრისტიანებრივს წესებში, მაგრამ მაინც ვერ გაღურჩა მეფის არჩილის სამართალს. არჩილის ბრძანებით მოჰხდა კრება ეპისკოპოსებისა მცხეთაში. ამ კრებაზე დაესწრნენ ეპისკოპოსნი: წილკნისა, მცხეთისა, ნეკრესისა, რუისისა, ხონისა და სხ. კრებამ მობიდანის სწავლა იცნო წინააღმდეგად ქრისტიანებრივის სწავლისა, განაყენა მთავარ-ეპისკოპოსობიდან მობიდანი და განაძევა სამშობლოდამ. ამ დროს კოსტანტინოპოლის საპატრიარქო ტახტზე იჯდა არიოზის მწვალებლობის მომხრე ნესტორი, რომელსაც მობიდანისთვის შეეძლო მცხეთის კათედრა დაებრუნებინა, თუ მესამე მსოფლიო კრებას შეესწი ²⁾ ბოლო არ მოელო ნესტორისა, მისის

¹⁾ არიოზი იყო ალექსანდრიის მღვდელი ეგვიპტეში. ის იესო ქრისტეზე ამბობდა, რომ იყო დრო, როდესაც იგი არ იყო, რომ იგი ჭეშმარიტი ღმერთი არ არის, არ არის თანაარსი ღვთისა, რომ იგი, შობილი კი არა, ქმნილია მამისაგან. პირველმა მსოფლიო კრებამ შეაჩვენა სწავლა არიოზისა (325 წ.) და შეადგინა სიმბოლო სარწმუნოებისა.

²⁾ ეს კრება მოხდა 431 წ. წინააღმდეგ კოსტანტინოპოლის პატრიარქის ნესტორისა, რომელიც უარ ჰყოფდა იესოს ღმერთ-კაცობას.

სწავლისა და მოაზრეთათვის. ამავე კრებაზე განხილულ იქმნენ საქართველოს ეკლესიის საქმენი და არჩილს მოუწონეს მისი მოქმედება წინააღმდეგ მობიდანისა და სასარგებლოდ შირსტეს ეკლესიისა.

შემდეგ ამისა არჩილი მოკვდა (434 წ.). ზამეფლა მისი შვილი მირდატი მე V, რომელსაც ცოლად ჰყვანდა არანის მმართველის ასული სარანდუხტ, ქმრის ხელში გაქრისტიანებული. ამ მოყვრობის ძალით სპარსელნი მეგობრულად იყენენ ქართველებთან, მაგრამ როდესაც სპარსეთის ტახტზე აღვიდა თანატიკოსი იეზდიგერდი II, მაშინ საზოგადოდ ქრისტიანებს და კერძოდ ქართველებს დაუდგათ საშინელი ღრე. ტახტსა ზედა აღსვლასავე იეზდიგერდი მიესია ბერძენთ ქვეყნებს, აიკლო და აღაოხრა ისინი და სრულიად დაამარცხა მათი ჯარები, მეძრე არანის და აღირბეჟანის მმართველს ბარზებოდს უბრძანა დაეყრო საქართველო და სომეხეთი, დაემხო ქრისტიანობა ამ ქვეყნებში, დაემკვიდრებინა ყველგან ქურუმნი და ზოროასტრის სჯულის მასწავლებლნი. შორს-მხედველი იეზდიგერდი ამ ბრძანების გამოცხადებამდის იწვევდა ქართველთა და სომეხთა მხედრობას ხორასანში წინააღმდეგ თვისის მტრებისა. ამ ნაირის მოქმედებით იმას უნდოდა: 1, ქართველთა და სომეხთა ვერ აღმოეჩინათ წინააღმდეგობა ზოროასტრის სჯუ-

ბას და ქალწულსა მარიამს უწოდდა ქრისტეს მშობელად და არა ღვთის-მშობელად. კრებაზედ გადასწუვიტეს: «ვადვიარებთ ერთსა ქრისტესა, ძესა ღვთისასა, განკაცებულსა და უთესლოდ მშობელსა მისსა წმ. ქალწულსა მარიამს ჭეშმარიტად ღვთის-მშობელად» (Практич. Канониз. გვ. 40).

ლისათვის; 2, უცხო ნათესავთა მხედრობით დაემარცხებინათ თვისი ქვეყნის მტრები. ამ სჯულისა და ქვეყნის საშიშროების დროს მოკვდა მირდატი V, რომელსაც დარჩა 7 წლის ძე ვახტანგი.

V.

მახტანგ ზორგ-ასლან მეფეს დიდი ღვაწლი მიუძღვის ქრისტიანობის წინაშე. 7 წლისა იყო, რომ მას მოუყვდა მამა მირდატ მე V. მახტანგს ჯერ ზრდიდა ქართლის მისთავი და სპასალარი ჯარისა საურმაგი და ამის სიკვდილის შემდეგ მთავარ-ეპისკოპოსი მიხელი და ახალი სპასალარი ჯუანშერ. მანათლებული მღვდელმ-თავარი ობოლს ასწავლიდა ღვთის მეტყველებას და თავის ტკბილი დარიგებებით ღრმად უწერგავდა გულში ქრისტიანობის და ქართველი ერის სიღვაწესს.

15 წლისა მახტანგი შეიქნა 454 წ. და იკურთხა სამეფო გვირგვინი. ნიჭიერი და ისევ ნორჩი მეფე მეტად შორს მხედველი გამოჩნდა. მის ქვეყნის მტრები ამ დროს იყვნენ: სპარსელნი, რომელთაც უნდოდათ ქრისტიანობის მოსპობა საქართველოში; ბერძენნი, რომელთაც წინა მეფეების დროს დაეპყროთ, თითქმის, მთელი იმერეთი; ოსნი, რომელთაც მახტანგის მცირე-წლოვანობის დროს აღაოხრეს მთელი ქართლი, დაატყვევეს მეფის და ხვარამზე და სხვანი და დიდის დავლით გავიდნენ საქართველოდან. მეფეს ყველასთან ერთ-და-იგივე დროს ბრძოლა არ შეეძლო, ამიტომ სპარსელთა და ბერძენთა

მეგობრობა გამოუცხადა ¹⁾ და შევიდა მთებში, გაიმარჯვა ოსებზე, ჩერქესებზე, ჯიქებზე და დიდძალის ალაფით აფხაზეთიდან დაბრუნდა მცხეთას. მისი გამარჯვება ილღესა-სწაულა და სპარსეთის შაჰს მორმუხდს დიდი საჩუქრები (უფროსი ქურუმის ბინქარის ხელით) გაუგზავნა და სთხოვა ცოლად ასული ბალედუხტა. შაჰს დიდად ესიამოვნა დამოყვრება მძლავრ მეფესთან და გამოუგზავნა მახტანგს ასული თვისი მისი გამდელი რაჟდენითურთ. მეფემ ილღესა-სწაულა ქოზწილი და შეუდგა სამეფოს და სჯულის საქმეების წარმართვას.

მახტანგმა ახლა მეორე მტრის—ბერძენთა დასჯა მოინდომა. ამიტომ მან შეაგროვა დიდი ჯარი, მოიშველა სპარსთა მხედრობის ერთი ნაწილი და რანის მმართველთა შაზგენი ანუ მასკენი, შევიდა ალარჯეთში და პონტის ქვეყნებში, რომელნიც ეწყრათ ბერძენთა; ყველა ეს ადგილები დაიმორჩილა ვიდრე ქალაქ ნაზიანზინამდის. სპარსელთ უნდოდათ ქრისტიანთ ტაძრების და ეკკლესიების დანგრევა, მაგრამ ვახტანგმა დაუშალა. მძმი ესე დასრულდა ზავით, რომლის ძალით მახტანგს დაუბრუნდა სამეფარელო, ძლარჯეთი და აფხაზეთი.

¹⁾ მეგობრული განწყობლება. ამ სახელმწიფოებთან გამოცხადდა ვახტანგის სიტყვაში, რომელიც წარმოსთქვა ტახტზე ასვლის დღეს წინაშე დიდძალის შეკრებილებისა. როდესაც ყველანა, ამ კრებაზედ დამსწრენი, თუბზე იდგნენ და ნება არა ჰქონდათ დამფლობისა, ვახტანგმა გვერდით დაიხვა ქურუმთა უფროსი ბინქარი და მთავარ-ეპისკოპოსი მისქილი, ერთი, როგორც წარმომადგენელი ზორაასტრისა და მეორე (ბერძენი); როგორც ქრისტესი.

ღაბრუნდა მცხეთას მახტანგი და დაიწყო ეკლესიების შენება და მღვდლების გამწვანება. თვისაგანვე დაარსებულს თფილისში ააგო მეტეხის ლეთის-მწობლი ეკლესია. ¹⁾ შემდეგ განდევნა ქურუმნი და ცეცხლ-თაყვანის მცემელნიც. მათი უფროსი ქურუმი ბინქარი შეპკრობილ იქმნა და ბომონნი კი პირქვე დაცემულ. შემდეგ ბრძანება გამოსცა, რათა არაფის ამიერიდგან საქართველოში აღარ შეეძლოს აღვიარება ზოროასტრის სჯულისა. სწორედ ამავე დროს მას მოუკვდა ცოლი ბალენდუხტა და დაინიშნა იმპერატორის ლეონის ასულ მლენეზე. სპარსელნი განძინდნენ ვახტანგის მოქმედებისა გამო და შაჰას შირუხის წინამძღოლობით დიდი ჯარი წამოვიდა საქართველოზე, დაიპყრო ყველა სამხრეთი ნაწილები მისი, შევიდა ქართლში და შემოერტყა სატახტო ქალაქ მცხეთას, რომელშიაც გამაგრებულ იყო მეფე. სიხე არმაზი კი ეჭირა გაქრისტიანებულს რაჟდენსა და გულადად ებრძოდა მტრებს. მაგრამ მალე რაჟდენი შეპკრობილ იქმნა და შირუხის წინაშე წარდგენილ. ბანძინებულმა შაჰმა უბრძანა რაჟდენს, რათა უარ-ყო ქრისტიანობა და თაყვანი ეცა ზოროასტრისათვის. რაჟდენი მტკიცედ იდგა თავის სჯულზე, რის-გამო სცემდნ მას

¹⁾ თუმცა ჩვენი მატიანენი მოგვითხრობენ, რომ ვახტანგმა თფილისში ააგო სიონის მიძინების ტაძარი, მეტეხისა და სხვანიო, მაგრამ ეს დასაჯერებელი არ არის. ვახტანგმა მარტო სპიძრველი ჩაჰყარა და შენება კი გაგრძელდა და შემდეგ მეფეებმა დაასრულეს. მაგ. სიონის სობორი დაუსრულებელი იყო დაჩის მეფობაში (499—514 წ.), გურამისაში და დასრულებულ იქმნა მხოლოდ მეფობასა შინა ადარნასისა (619—639).

ცხვარ-პირში, წიშველს ათრეედენ და მერმე შებორკილი
 საპრობილეში ჩაადგეს. რამდენიმე ხნის შემდეგ რაჟდენი
 წაიყვანეს ქ. შრომში და იქაურ სპარსელთ ჯარის უფროსს
 მისცეს, რომელმაც ქრისტეს მსგავსად ჯვარს აკვა და ჯვარ-
 ცმულს მცველნი მხედარნი შურდულებს ესროდნენ
 და ისრებს ასობდენ. რაჟდენმა სული განუტევა და ლამე
 იქაურმა ქრისტაანებმა დასაფლავეს იქვე.

როდესაც ვასტანგმა მტრებთან ბრძოლა გაათავა და გან-
 დენა იგინი საქართველოდგან, მასშინ მოსძებნა ტყაში რა-
 ჟდენისა, წრომიდამ გადაიტანა დიდს მისივანვე ჯგებულს ნაქო-
 'ხის ტაძარში. რაჟდენის წამების აღსრულებას ჩვენი ეპეკესის
 დღესასწაულობს 3 აგვისტოს. მისი საგალობელი გვაუწყებს:
 „დიდება ახლის ნერგის ეპეკესიისათ, ჭეშმარიტად ნათობო-
 სარწმუნოებისათ, ზირველ მოწამეო რაჟდენ; შენ მიერ ისარის
 წყობა ქართველთა ეპეკესიისა მოღვაწეთა ისწავეს“.

ნაქოზის სამწყურს განაგებდა ეპისკოპოსი 1810 წლამ-
 დის, მას ეჭვემდებარებოდენ მცხოვრებნი ქსნიდამ ვაკასიის და
 იმერეთის მთებამდე: ქართლენი, ოსნი, დვალეთები, გლო-
 ლენი. იოანე ეპისკოპოსის დროს 1799 წ. ნაქოზიდან და-
 იკარგა ძვირფასი საუნჯე საქართველოს ეპეკესიისა აწმ. ჟვან-
 რა ცხოველს-მყოფელის ხისა, რომლის სიგრძე ოთხი გოჯი
 იყო. ამ ჟვარს ჭჭონდა წარწერა, რომელიც ჭმოშობდა, რომ
 იგი მოტანილ იქნა იერუსალიმიდან ვასტანგისაგან. ეს ის
 ცხოველ-მყოფელი სუა, რომელსედაც მოგვიტოსრობენ აღმოსავ-
 ლეთის საღსნი და მწერალნი (პ. იოსელიანი).

ამავე ხანებს ეკუთვნის წამება შუშანიკისა. ეს იყო ქარ-
 თველთა მყოფის ასული და იგი ჭეკანდა ცოლად რანის მმართველს
 ვასტანგს ანუ ვასკანს. ქმარი შუშანიკისა მეტად ზორბოტი იყო

და ქუროთ ნებაც მი'ცა გაერტყელებინათ ცენსლ-თაყვანის-მცემ-
ლობა და სჯული ქრისტესა დაეთრგუნათ. შუშანიკა გულის
ტვივილით უფურება უღეთო მოქმედებსა თავის ქმრისას, რომ-
ელმაც უკვე შეირთო მეორე ცოლი (სპარსეთის შაჰის ასული)
ცენსლ-თაყვანის-მცემელი ამიტომ შუშანიკა გადასახლდა ტაძარ-
ში და იქ ევედრებოდა უფალსა, მაგრამ ცენსლ-თაყვანის მცე-
მელმა ვასკენმა თავის ძმა ჯოჯაბი გაგზავნა შუშანიკის მოსა-
ყვანად. სასარებით და წმ. ნაწილებით შუშანიკი გამოეცხდა
ქმარს, რომლისაგან გვემულ, ცემულ, თვალ-გამოთხრილ.
თავ-გატყვილ და საზურობილში ჩაგდებულ იქმნა; აქ მას ნუ-
გეშას სცემდნენ ეპისკოპოსი და დიაკონი. მაგრამ ვასკენი აქაც
მოვიდა, ჰგვიკმა ეპისკოპოსი, სცემს დიაკონსა, თრეკა დაუწყო
თავის მეუღლესა და წაათრია სასახლეში. მაგრამ ხელ ახლას
იგი ჩააგდებისა საზურობილში, შებოროტდა და საკმელსაც არ
აძლევდა. ამ ყოფაში მან განატარა ექვსი წელიწადი. წმიდან
შუშანიკმა დიდ ხანს ველარ იცოცხლა, აღესრულა იგი 458
წელს და დაასაფლავეს იმ კვლესიაში, სადა ევედრებოდა ღმე-
რთსა. ვასტანგი რომ განთავისუფლდა გარეშე ომებისაგან, წა-
ვიდა რანში, ვასკენი დაიჭირა და ჩამოასრინო, სოლო წმ. გვა-
ში წამებულისა გადმოასვენა და დაასვენა წორტაგში, მაგრამ
120 წლის შემდეგ, როდესაც ქართველთა და სომხთ კვლე-
სია გაიყო, მამან საქართველოს კათოლიკოსმა შუშანიკის გვამი
გადმოიტანა თბილისში და დაასაფლავა მეტეხის კვლესიის კვედე-
რში. დღეობა 28 აგვისტოსა...

როდესაც შირაუზი საქართველოს ერთის შეტყეით გა-
ოხრებას უპირებდა და მეფე მახტანგი მეტად გაჭირებულ
მდგომარეობაში იყო, საბერძნეთიდან მოვიდა საქართვე-
ლოში 80,000 მამველი ჯარი. იმპერატორის ბრძანების

ძალით მახტანგის განკარგულებაში უნდა ყოფილიყო როგორც 80,000 ბერძენთ ჯარი, ისე ყველა ადგილები შარნულამ (არზრუმი), ლამდიდამ მელიტიანემდის. მა რომ გაიგო შირუშმა, მახტანგთან შერიგება მოინდომა იმ პირობით, თუ ცეცხლ თაყვანის-მცემელთ მეფე შეუშვებდა საქართველოში. მახტანგმა ყოველ-გვარი პირობა უარჰყო. მაშინ შირუშმა გამოუგზავნა ძვირფასი გვირგვინი და მრავალი სიმდიდრე. ეს ჰნიშნავდა ზავის სურვილსა. მახტანგმაც გაუგზავნა საჩუქრები და ინახულა შირუში. ჩამოვარდა მშვიდობიანობა, რომლის ძალით საქართველო სრულიად დამოუკიდებელ სამეფოდ აღიარებულ იქმნა. შირუშმა შეირთო მახტანგის და და სთხოვა შემწეობა წინააღმდეგ ჩინელთა და ინდიელთა.

მანამ გაემგზავრებოდა მისაშველებლად შირუშია, მახტანგმა მეფედ აქურთხა მცირე წლოვანი შვილი თვისი ღაჩი ანუ ღარჩილი და თვითონ 10,000 კაცით წავიდა იერუსალიმს, საცა თაყვანი სცა ქრისტეს საფლავსა და წმიდა ადგილებსა, მემრე იქიდგან გაემგზავრა სპარსეთს და ინდოეთს და აქ მრავალჯერ გაიმარჯვეს მტრებზე და დიდის ალაფით წამოვიდნენ და თანაც წამოიღეს აბრეშუმის ქვის თესლი.

დაბრუნების შემდეგ მან საქართველოს ეკუთვნისა სრულიად განათავისუფლა გარეშე დამოკიდებულებისაგან. აქამდის საქართველოს მთავარ-ეპისკოპოსებს ამწებდნენ ანტიოქიიდან. მახტანგის თხოვნით იმპერატორმა ლეონმა, მეფის სიმამრმა, უბრძანა ანტიოქიის პატრიარქს ეკურთხებინა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქად პეტრე. ამნაირად მეფის სურვილისამებრ საქართველოს

ეკლესია შეიქმნა დამოუკიდებელი და მიენიჭა მას „ავტო-
კეფალობა“ ანუ თვით-მმართველობა (488 წელს).

საქართველოს მატანეს სიტყვით, ამ დრომდის ბერძენთ სამღვ-
დლოებს ჰქმნისდა საქართველოს ეკლესიას და ძალიან ცუდად:
ისინი მეტად გეტხლ-მოყვარენი და ანგაანნი იყვნენ;
ეკლესიის საქმეებს უფრო არ უგდებდენ, რის-გამო ვასტანგის
უცხოებაში მყოფობის დროს ეკლესიის საქმენი ცუდად მიდი-
ოდნენ. თვითმცხეთის მთავარ-ეპისკოპოსი მიხეილი (ბერძენი) თან-
და-თან უფრო ცუდად იქცეოდა. ამის გამო მეფემ შეიპყრო იგი და
წარუზაუნა კოსტანტინოპოლს და იქაურს პატრიარქს გენნადის
კაუგ ზაუნა მიხეილის ავ-კაცობის დასამტკიცებელი საბუთებიც. გენ-
ნადამ დიკსება ჩამოჰხადა მიხეილსა და მონასტერში შეამ-
წყვლია.

სხვათა შორის, მიხეილს ბრალად ისიც ედებოდა; რომ
მეფე ვასტანგზე და მის ჯარზე, რომდესაც იყვნენ სპარსეთში
და ინდუსტანში, მოაჭორა, ქრისტიან სჯულს უღალატე-
სო. გარდა ამისა მეფე მსჯედობით რომ შემოვიდა მცხეთაში (რვა
წლის უცხოებაში მყოფობის შემდეგ), მიხეილი არ მიეგება მას,
როგორც მეფეს. ხოლო რომდესაც მეფე მივიდა მასთან ლოცვა-კურ-
თხევის მისაღებად ჰქონ სული მეფესა და პირში მიატყა ქოში და
ჩაუმტკრია ერთი გბილი. გამამტყუნებელ საბუთებთან ერთად მე-
ფეს ეს გბილიც კაუგ ზაუნა კოსტანტინოპოლის, პატრიარქი-
სათვის...

პეტრე პატრიარქი სრულიად საქართველოისა და 13-ნი მამა-
ნი, გამოთხოვილნი პანტანგისაგან, დიდის ამალით ჩამოვიდნენ
საქართველოში და თანაც საბერძნეთიდან მოიყვანეს მეფის
საცოლო მღვინე. მეფე დიდის სიხარულით მიეგება ამ ძვირ-
ფას სტუმრებს, იქორწინა, იღვესასწაულა და შეუდგა ეკ-

კლესიის შორიგება-დამკვიდრებას. მირიანის ტაძრის მაგიერ იმავე ადგილას მცხეთაში ააგო მშვენიერი ქვით-კირის ეკლესია, რომელიც გახდა ავტოკეფალიად ანუ სამთავროდ; ზოგიერთ მოსულთ ეპისკოპოსთათვის დააწესა ახალი ეპარქიები და ზოგნი კი განაწესა ძველების წარსამართავად: „ხოლო მეფემან კათოლიკოსი პეტრე დაადგინა მცხეთას და სამოელ მუნვე ზემო-ეკლესიასა მთავარ-ეპისკოპოსად; ხოლო სხვანი ეპისკოპოსნი დასწნა: 1-ლი ძლარჯეთს, 2-ე მრუშეთს, 3-ე ზუნას, 4-ე მანგლისს, 5-ე ბოლნისს, 6-ე რუსთავს, 7-ე ნინო-წმინდას, 8-ე ჭერემს, 9-ე ჩელებს, 10-ე ხორნაბუჯს, 11-ე აგარანს, 12-ე ნიქოზს წმ. რაფლენის საფლავსა.

ამ მონასტრებ და ეკლესიებთან ერთად მეფემ გაასწავლია სკოლები ყრმათა სასწავლებლად.

ასრე წარმატებით მიიღოდა ქრისტიანობის საქმე საქართველოში, როდესაც სპარსეთის ახალი შაჰი შოჰადი შემოვიდა საქართველოში ქრისტიანობის დასამხობად. შახტანგმა გაამაგრა ცხე-ქალაქი და მამაცურად დაუხვტა მტერს, მაგრამ სიმრავლისაგან მათისა იძლია და სასიკვდილოდ დაჭრილ იქმნა ¹⁾ (499 წ.).

1) ვახტანგ მეფე-ლომი, სიკისკას სიჩაუქით, დამცემი ოსთა, გოლიათთა ჯვართა მზე განმანათლი სამეფოსა თვისისა, მღვდელ-მთავრობითთა, საყდარი მკაზმე მაყეო, რის ტესთოვის შორის ცხოველ ნიადგ მომგე.

ვახტანგ სინდთა და სხვა-და-და სხვა ბარბაროზთა ზედ განმხედრი, დამცემი კოსტანტინებრ. ირიან დიდის შესაბამ დის-წიელობის,

სპარსელთ აღაზრეს ქეყანა და წაიღნენ წინააღმდეგ ბერძენთა, ხოლო ღაჩიმ (მასტანგის ძემ) დაიწყო განახლება დანგრეულის და გააზრებულის ტაძრებისა, ციხეებისა, ქალაქებისა, ხალხის გამხნეება და ქრისტიანობის გავრცელება მთიულეთში, ბუღაღაში და სხვაგან მთებში.

IV

ქრისტეს მოყვარე, ქრისტეს მიერ მშეთობი, მონარხისა შემადგენი, ბრძენ სიმხნით.

მფლობი კოლხიდიო, ვიდრე ირკანიაშდე, მფლობი აზიურ სარმატიისა ყოვლის ბრძენი, მხნე მეფე, განმსჯი მართლიად მარად, არ მოთნე ვისდა ყოლ; არცა თვალ-მღები, სისხლითა ზიარ, ნამდვილ სატრთიალომას.

წყობილ-სიტყვაობაში, მეხ. 553, 554 და 555. შეფის ვანტანგის სახე გამოხატულია იერუსალიმის ჯვარის მონასტრის კედელზე ავრეთვე მარცხოთის ვკაღესიისა.

VI

ღაჩის შემდეგ 514 წ.—542 წ. იმეფეს ბაკურ II და შარსმან V-მ. ამავე დროს საკათოლიკოსო ტახტზედ ისხდნენ ერთი მეორის შემდეგ სამოელი, შავ-ფეჩაგ და ჩიგირმან. ამათ დროს დიდი ბრძოლა ასტყდა სპარსთა და ბიზანტიელთ შორის ლაზიკის დასაკუთრებაზე. სპარსთა მეფე ხოსრო ანუშირვან (531 — 579) დიდის ჯარით შამოვიდა საქართველოში, გადავიდა იმერეთში და აიღო ციხენი, რომლებშიაც იდგნენ ბერძენთ ჯარნი: პეტრა, ბიჭინტა ღიოსკური, და ბერძენიც განდევნა. მაგრამ ბერძენთ იმპერატორმა დიდი ჯარი მოაშველა ქართველებს, რომელთაც ამოჰკლიტდეს 12,000 სპარსელნი და სრულიად განდევნეს საქართველოდგან. ამნაირად სპარსთა წადილი, რომ ჩვენ ქვეყანაში აღმოვეხებრათ ქრისტიანობა და მის წილ დაენერგათ ცეცხლ-თაყვანის მცემლობა, გაცრუედა.

მძლავრის იმპერატორის იუსტიანიანეს მფარველობაში საქართველო თავისუფალი შეიქმნა და ქრისტიანობა უფროსად დაინერგა საქართველოში. (იმერეთ, სამეგრელო, აჭარა—ლაზისტანი) იუსტიანიანეს, ვავლენის ქვეშ იყვნენ რადგან უმეტესი ნაწილი ამ ქვეყნებისა ეპყრო მას და აქ ავრცელებდა ქრისტიან-

ნობას. მან ალაშენა დიდებული ბიჭვინტის ტაძარი და რამდენიმე სხვა ეკლესიანი სამეგრელოში (ამ ამბებზე დაწერილებით მოგვითხრობენ სტეფანე ბიზანტიელი და პროკოპი, მწიგნობართ უხუცესი იუსტინიანეს სარდლისა ჟელოსარისა).

იუსტინიანესავე დროს, შემდეგ შარსმან მე V-სა, მეფობდა შარსმან მე VI, კაცი კეთილ-გონიერი და ლეთის-მოყვარე. ამან ბევრი იხრუნა ქრისტიანობისათვის და მრავალი ტაძრები ააგო. იგი ეცადა აგრეთვე, რომ საქართველოს ეკლესია სრულიად გაენთავისუფლებინა გარეშე ეკლესიათა გავლენისაგან. იმპერატორის ნება-ყოფლობით დაწესდა დანიშნენ საქართველოს კათოლიკოსთა ქართველთაგან (549—ქართლ. ცხოვ.) და არღარა მოყვანა საბერძნეთიდან. ამია გარდა ღირს შესანიშნავია ის ფაქტი, რომ შარსმანისავე დროს ¹⁾ მოვიდნენ საქართველოში 13 მამანი შუა-მდინარის ქვეყნიდან (კაპადოკიიდან). აი მათი სახელები: ა, იოანე, ბ, ლავით, გ, სტეფანე, დ, იოსებ, ე, ზენონ, ვ, ანტონი, ზ, ისე, ც, მათე, თ, შიო, ი, ისიდო-

¹⁾ ქართ.—ცხოვ. თქმით მოსვლა 13-თა წმ. მამათა ეკუთვნის ჯარსმან VI დროს (555—670), ხოლო ამის წინააღმდეგ ზოგიერთი მწერალთა მოჰყავთ შემდეგი საბუთები: 1, თუ ეს 13 მამანი იყვნენ ოწაფენი სვიმეონ მეწვეტასა (სვიმეონ იშკა 390 წ. და გარდაცვალა 460 წ.), მაშინ მთელი საუკ. შემდეგ ვეღარ მოვიდოდნენ საქართველოში; 2, წმ. ანტონის მარტო-მყოფის ტაძრის აშენებას აწერენ (სიგელა იმამყული ხანისა და დასა მისისა მარიამისა) მამა ანტონს და ვახტანგ გორგასლანს. აშასაღამე მამათა მოსვლას ჰკონებენ ვახტანგ მეფის დროს (446—499) ჩვენი წყაროების მიხედვით-ვი ვახტანგის დროს მოსულნი მამანი სულ სხვა შირნი ყოფილან და არა ზემოთ ხსენებულნი.

რე, ია, აბიბოს, იბ, მიხეილ (მიქელ), ივ, პიროს. მეთო-
თხმეტე იყო იოანეს დიაკონი ილია.

მს მამანი, მოწაფენი სვიმეონ მესვეტისა, იყვნენ ქარ-
თველნი ¹⁾ და კეთილად მიღებულ იქმნენ ქართველთაგან.
ღაიწყეს მოღვაწეობა, ქადაგება და ქრისტიანობის მოფენა
ქართლ-კახეთში.

მოგვეყავს რაოდენიმე ცნობანი მათზე:

ა) იოანე წინამძღვარი ყველა მამათა დაესახლა მკხე-
თის ახლოს ზედაძენის მთაზედ, საცა დაანგრია და პირ-
ქვე დასცა სამლოცველონი კერპთ-მსახურთანი და მაღალ-
ნიჭიერი თვისითა ქადაგებითა და მადლიანისა სწავლითა
და სამწაულებითა მოიზიდა მთელი გარემო მოსახლე ქრი-
სტიანეთ ყურადღება. იოანემ ჯყო აქა მონასტერი და
ეკკლესია სადგურად თვისად და დაფლოულ არს მუნვე.

„ღედა-ქალაქი ქართველთა წმინდა იქმნა სწავლითა
შენითა, წმ. მამაო იოანე, მამათა თვალო და აღიწიე
მთად ზედაძენლისა, რომელიცა სთნდა სულსა შენსა, არქვ

1) „მოვიდნენ 13 მამანი შუა-მდინარიდამ. მიეგება ევლავიოს
კათოლიკოსი და მოიკითხა ასურულითა ენითა; ხოლო მათ ქართულ
ვახუხ-უგეხ“ (ქართ. ცხოვ.). ბ. ჩუბინაშვილი მეცნიერულს გა-
მოკვლევებზე ამყარებს, რომ კაპადოკია (ჭანეთი) სულ მთლად ძველი
დროიდგანვე იყო დასახლებული ქართველებით. ამ ქვეყნის გეოგრა-
ფიულნი სახელწოდებანი ხშირად ეხლაც ქართულნი არიან, ხალ-
ხის ზნე-ჩვეულება, ყოფა-ქცევა, შინაგანი ცხოვრება, მართებლობა და
თვით-კერპთ-მსახურებაც ჰქონდათ ისრეთი, როგორც ძველს საქართვე-
ლოს მოსახლეთა ანუ ქართველთა. (სტრაბონი, წიგნი XV, გვ. 188).
თვით სტრაბონი მისივე თქმით ყოფილა კაპადოკიელი და არა გვაქვს
საფუძველი, რომ მის მოწმობას კაპადოკიელების ქართველობაზე არ

მოწაფეთა შენთა წარვედით და განამტკიცებდით ძრისტეს სამწყსოთა, რამეთუ ახალ ნერგ არს ქვეყანა ესე ქართლისა“ . ღლეობა წმიდანის 7 მაისსა.

ბ) აბიბოს გამწესებულ იქმნა ნეკრესის საეპისკოპოსო კათედრაზე. ნეკრესი მღებარებს ერთსა მწვერვალსა ზედა დიდი კავკასიონის წიაღსა შინა. „4 მეფის ფარნაჯოჲ მისაგან აღშენებული ქალაქი იყო (ნეკრესი); შემდგომად მეფემან ორდატ აღაშენა ეკლესია დიდ-შენი, გუნბანთიანი, აქა დაადგრა წმიდა აბიბოს, 13 მამათაგანი და იქმნა იგი ეპისკოპოზ, მწყემსი გაღმა-მხრისა დიდოთურთ; ამან (აბიბოს) მოაქციენა უმრავლესნი მთიულნი, ესეც ეწამა სპარსთაგან, ვითარცა მოგვითბრობს მეტაფრასი და დაფლული არს სამთავროს“ (გეოგრ. მახუმ. გვ. 314). ქუროუმთა უფროსის სურვილისამებრ აბიბოსი საიდუმლოდ შეპურობილ, ქვით ცემულ, ნადირთა და ფრინველთა საწიწქნავად გადაგდებულ იქმნა სოფ. რეხში (30 ვ. მანძილზე ქ. ბორჯომად). ზემი აბიბოსი დასაფლავებულ იქმნა იქვე რეხის ახლო მონასტერში, მაგრამ შემდეგში მეფე სტეფანოზისაგან ამოღებულ და მცხეთის სამთავრო ტაძარში დასაფლავებულ იქმნა. საქართველოს ეკლესია მის სახსოვრად დღესასწაულობს 29 ნოემბერსა.

დავერწმუნოთ. თვით წმ. გიორგი და ნათესავი მისი წმ. ნინო ქართველები—კაპადოკიელები იყვნენ და იცოდნენ ქართული ენაც. ეჭვი არ არის, რომ 13 წ. მამანი შუა-მდინარიდამ (კაპადოკიიდამ) შემოსულნი საქართველოს შუა-გულში, იყვნენ აგრეთვე ქართველნი და კათოლიკოზის პირველ მოკითხვაზედვე ქართულის ენით დაიწყეს მეტყველება. (იხ. ეტნოგ. განხ. ძველ. და ახალ. კავ. ან ჭან. მკვიდ. მოსახლეთა დ. ი. ნუბ.).

გ) „იმავე მარტყოფის წყალს ერთვის ხევი, გამომდინარე აუხნეთის მთიდგან. ამ ხევისა ზელა არს სამხრით ეკლესია ლეთაებისა, გუნბათიანი, ღიდ-შენი, გარ ზღუდე-გოდლოსან, მზგავსი ციხისა; კეთილს მშვენიერს ადგილს; აქ დაადგრა 13 მამათაგანი ანტონი და ჰყო მონასტრად ესე; ხოლო თვით მცირედ განშორებით ქვაბსა შინა მყოფობდა მარტოდ და მით ეწოდა ადგილსა ამას მარტო-მყოფი და ან მარტყოფი“ (გეოგრ. მახ. გვ. 304). როდესაც 13 მამანი ჩამოვიდნენ საქართველოში, წმიდა ანტონი რამდენიმეცხნის შემდეგ გაემგზავრა ქრისტიანობის საქადაგებლად. იგი მოვიდა მარტყოფს და აქ გაიკეთა სენაკი და მოღვაწეობდა. იგი იკვებებოდა ირმის რძით და არც არაფერს ზედა, თუ სად იყო ანტონი. ზოლოს მონადირეთ მიაგნეს მას. აწ აქვე ერთსა მთის მწვერვალსა ზელა აღმართულია სვეტი მოსაგონებლად მისის დაყუდებისა. იდღესასწაულების სახსენებელი მისი 19 იანვარსა და 16 აგვისტოსა.

დ) ლავითი დასახლდა მარეჯის კლდეგან გორაზე, საცა გამოჰკვეთა მრავალი სენაკები და დაარსა ღიდი ლავრა, ისე ღიდი, რომ იგი იტევდა 600 მოღვაწეთა. აქვე გამოჩნდნენ მოსასწაულენი, სხვათა შორის, მოწაფენი ლავითისა ლუკიანე და ლოდო. ლეობა ლავითისა არის მეშვიდე კვირას პასექის შემდგომ.

ე) ისე ანუ ისე, რომელსაც მიეცა წილკნის საეპისკოპოსო კათედრა. იგი ახდენდა სასწაულებსაც; სხვათა შორის, იესეს აწერენ სასწაულებრივ წყლის გაყვანას არაგვიდამ მინდვრების სარწყავად. „ტყვილიანიდამ ისე წილ-

კნელმან, 13 მამათაგან, წარმოიღო ყავარჯნის თრევით რუ, რომელსა მოსდევდა უმუკოდ წვალი და მოიღო წილკანს და დის დღემდე. ლაფლოულ არს მუნვე. “

ვ) „შტორის ხეცს ხეით, ალაზნის დასავლით, არს ალავერდი, კახეთის მთის კალთის ველსა ჰგედა ზღუდე-პალატებიანი, გუნბათებიანი: ალაშენა 13 მამათაგანმან წმიდამან იოსებ, და ჰყო მონასტერი წმიდის ბიორგისა, და ლაფლოულ არს მუნვე“ (გეოგრ. მახ. 318). იოსები მეტად ბეჯითი იყო ქრისტიანობის გავრცელების საქმეში და მან ამის გარდა ალაშენა მრავალი ეკკლესიები კახეთში. წმიდანის დღეობა 14 ენკენისთვეს არის.

ზ) „სარკინეთო არს მცხეთის დასავლით. არიან ქვანთნი გამოკვეთილნი კლდისაგან მრავალნი და კლდე ესე არს ვითარცა ნაშენი ქვით-კირისა; არს აქა მონასტერი დიდი, გუნბათიანი, და მღვიმე მას შინა, რომელსა შინა სცხოვრებდა წმიდა შიო 13 მამათაგანი; აწ არს მღვიმესა შინა საფლავი წმიდის შიოსი, სასწაულთ-მოქმედი, რომლისა გარემოს მისა ვერ ძკადრებს მხეცნი შექმად პირ-უწყეთა მონასტრისასა. არს აქ ეკკლესია დიდი, უგუნბათო, კეთილ-ნაშენი, ხოლო იტყვიან ძველად, იდგა ხუთი ათასი მონაზანნი ამხ ადგილთა შინა“ (გეოგ. მახუშ. გვ. 212). შიო ახდენდა სასწაულებსა და სცხოვრებდა პირველად მარტოდ მარტო და იკვებებოდა მტრეფისაგან მოტანილ საკვებათ. მის აღსრულების შემდეგ მისნი ძვალნი ახდენდენ აგრეთვე სასწაულებსა, რის გამო დღეობას (ყველიერის ხუთშაბათსა) მისნი ძვალნი თვითონვე აღმოვიდოდენ ხოლმე საფლავიდამ. საქართველოს აოხრების დროს შაჰ აბაზის მხედრებმა წმიდანი ესე ძვალნი წაიღეს

სპარსეთში, რომელიც იმ წელიწადს აოხრებულ იქმნა საშინელი ჭირისაგან და მიზეზად ამისა სცნეს ძვალნი ში-
ოსნი, რომელნიც უკანვე საქართველოში მოიტანეს.

ვ) „არს რეხულას აღმოსავლით სამთავისი, ეკლესია
დიდი, გუნბათიანი, დიდ-შენიერად შენებული. ზის ეპის-
კოპოსი, მწყემსი მსნისა და რეხულას ხეობისა. ქმნული
არს 13 მამათაგანისა. ისიდორესაგან და დაფლული არს
თვი მუნვე“ (გეოგ. მახ. გვ. 242). სამთავისი გორის მაზრ.

თ) „ასპს ზეით წლევის მთაში არს მონასტერი, მა-
მებას; სტეფან-წმიდისა, მათესაგან (მადეოზ) 13 მამათა-
განის ქმნული. დაფლულია წმიდა მათე მუნ. იტყვიან ამის
წაწილის აღმოსვლასა, ვითარცა წმიდისა შიოსას“ (გეოგ.
მახუშტისა). მამება გორის მაზრაშია.

ი) „ხორნა-ბუჯის ჩრდილოთ არს ხირსას მონასტე-
რი, რომელი ჰყო 13 მამათაგანმა წმ. სტეფანემ, დიდ-კე-
თილ-შენი. დაფლულ არს მუნვე წმ. სტეფანე“ (გვერდ.
310.) ხირსა ძიზიუშია.

კ) „იყალთოს ხევზედ, კახეთის მთის კალთას, არს
იყალთოს მონასტერი კეთილ-შენი, გუნბათიანი, ქმნული
13 მამათაგანის წმიდის ზენონისა, და დაფლულ არს მუნ-
ვე, და წმ. არსენიცა, რომელი იყო ქვეყნით პაჩი“ (გვ.
318). იყალთო თელავის მაზრაშია.

ლ) „მტკვრის ჩრდილოთ, ამ მდინარის აღმოსავლით,

4) ისიდორესი, მათესი, სტეფანესი, ზენონისა და მიხეილის შე-
სახებ ცნობანი მრავალთა აღრეულობათა, სპარსთა და ოსმალთ შემო-
ტევისა და ქვეყნის ცარცვის დროს დაკარგულან.

არს ბრეტს მონასტერი უგუნბათო, რომელი ქმნა პიროს 13 მამათაგანმა და დაფლულ არს იგიცა მუნვე» (გვ. 260).

მ) მეცამეტე მამა მიხეილი დაესახლა შლუმბოში. «არს შლუმბოს მონასტერი, უგუნბათო, დიდი, დიდ-შენი, მიქელ 13 მამათაგანის ქმნული და დაფლული არს მიქელ მუნვე» (გეოგ. მახ. გვ. 266).

ამ მოღვაწეთა წყალობით და სხვა ქართველთა მწყემსთა და მეფეთა მცადინეობით საქართველოში ვერ მოიღგეს ფეხი ვერც შერყეულმა მოგვობამ და ვერც სხვა მწვალებლობამ, რომელიც ივერიის გარემო მღებარე ქვეყნებში წარმატებით ვრცელდებოდა და მკვიდრდებოდა, როგორც მაგ. სომხეთში, ალბანიაში და სხვაგან. ამ ხანებში საქართველოს ქათოლიკოსად აღმორჩეულ იქმნა მეტად განათლებული გვამი პირიონი, რომელმაც სომხეთის ქათოლიკოსის მოსეს წინააღმდეგ იხმარა ყოველი მეცადინეობა და საქართველოში არ შამოუშვა მისი და სომხეთის ~~გარყენილი~~ ეკლესიის სწავლა. საქართველოში მძლავრმა მწყემსებმა დაუწყეს ბრძოლა აგრეთვე ალბანიის (მლისენი, წუქეთი—საინგილო ანუ ზაქათალის მაზრა და ნუხის მაზრის ნაწილი ქ. ნუხამდის) მწვალებლებსა ანუ მწვალებლობას. ეს მწვალებლობა შესდგებოდა შემდეგი სწავლით: არს ორი არსებ: ერთი კეთილი, მამა იესო ქრისტესი, დასაბამი ახლის აღთქმისა; მეორე ბოროტი, დასაბამი ძველის აღთქმისა; საუკუნე საუკუნოა; ძემან უფლისამან ხორცნი შეისხნა უათა შინა; საიდუმლონი ნამეტანი და უკანონო არიან, გარდა ერთისა—ნათლის-ღებისა; ჯოჯოხეთი ცარიელი სიტყვაა და ტყუილია და სხვა.

ძართველთა მწყემსნი და მეფენი წინ აღუდგნენ ამ სწავლას და ნება არ მისცეს, რომ ფეხი მოედგა ხალხში.

ამ მდგომარეობაში რომ იყო საქართველო, არა ბისტანში კიდევ დამკვიდრებულ იყო სწავლა ახალის მოციქულისა — მაჰმადისა, რომელიც ასწავლიდა: „არს ერთი ღმერთი და ყველაზე უდიდესი მოციქული მისი მაჰმადი.“ მსევე მაჰმადი თავისებურად ასწავლიდა სამოთხე-ჯოჯობეთზედა და ვალად სდებდა ყველა მისთა მორწმუნეთა. ბრძოლას წინააღმდეგ ქრისტიანეთა, რომელთაც უწოდდა გიაურებად — ბილწებად, ღორებად.

ეს სწავლა მაჰმადისა მალე დროში ზღვასავით გადაერდა მთელს მცირე აზიაში, სპარსეთში, მისირში და სხ., მოედო ქვეყნებს და დაუწყო ბრძოლა ქრისტიანობასაც და მოგვობასაც...

საქართველოც არ ასცდა მაჰმადიანობასთან ბრძოლასა.

730—740 წლებში აბულ-ძაზიმი ანუ მურვან-ყრუ დიდის ჯარით შემოვიდა იმერეთში, დაანგრია ეკლესიანი, დაჰსწვა და გააოხრა ქალაქ-სოფელნი, აწვალა ხალხი, ბერ-მონაზონნი, დასწვა მღვდელნი და სხ. მოკლულ და წვალებულ იქმნენ აგრეთვე ორნი ძმანი, თავადნი არგვეთისანი — ღვით და პოსტანტინე. გვამნი მათნი ჩაჰყარეს მდინარე რიონში, მაგრამ წყალმა მოიტეივტევა და ნაპირას გამოჰყარა და კეთილ-მორწმუნე ქრისტიანეთ იპოვნეს წმიდანი გვამნი მათნი, ჩასდეს ხის კუბოში და დასდევს შესანიშნავს მოწამეთის მონასტერში. აქვე ასვენია გვამი მათი ეხლაც. დღეობაზე (ზოკლომბერს) მრავალი მორწმუნენი მიდიან

სავედრებელად მათდა არათუ მარტო იმერეთილამ, არამედ შორეულ ქვეყნებილამაც. «აქა (მოწამეთის ხევზე) არს მონასტერი უგუნბათო, შვენიერი, კეთილს ადგილს; სხენან აქა ტაგრუცთა შინა მოწამენი ქრისტესნი ღვით და პოსტანტინე, მღებარენი აწცა ხორცითაჲვე, რომელნი აწამა მურვან ყრუმ.»

სწორეთ ამ დროს სრულიად საქართველოს ანუ ივერიის მეფედ იყენენ მირი და არჩილი II. მირი მოკვდა და საქართველოს მეფედ დაშთა ძმა მისი არჩილი. 744 წ. არაბნი ჯუმჯუმ აზიმის წინამძღოლო ზბით შემოვიდნენ საქართველოში და დაიწყეს ქვეყნის გაოხრება და ქრისტიანების წვალება. არჩილი ხალხის სახსნელად თვითონ პირადად წავიდა ჯუმჯუმ აზიმთან და გამოუცხადა სრულიადი მორჩილება. აზიმი დასთანხმდა, რომ ხალხს არას უზამდა, მხოლოდ სთხოვა, მეფეს ეღვიარებინა მაჰმადი. არჩილი უარზედ იდგა და ეწრა ღონისძიებით ვერ დაითანხმეს მეფე შეეცვალა სარწმუნოება, რის გამო იგი აწვალეს და მოჰკლეს. არჩილი ეკლესიისაგან შერაცხილ იქმნა წმიდათა შორის; დღეობა 21 ივნისსა. ზვამი მეფისა გადმოიტანეს და დაასაფლავეს ს. ნოკორნაში. «ამას ქვეით ერთვის არაგვს ნოკორნის ხევი, გამომდინარ-მომდინარი მისვე მთისა; ამის თავს არს ნოკორნა, მონასტერი გუნბათიანი, კეთილ-შენი, დიდი. ეს ალაშენა მეფემან არჩილ და ჰყო მონასტრად; შემდგომად წამებისა მისისა ცოლმან მისმან დაფლა წმიდა გვამი მისი მუნ» (გეოგრა. მახუშტ. გვ. 298).

ქართველთა მეფეთაგან წამებული ქრისტესთვის პირველი იყო მეფე არჩილი II.

თ ა ვ ი V II

გამეფება ბაგრატიონთა. წამება ესტატე მცხეთელისა.
აბოსი. გაძლიერება ქადაგებისა საქართველოში.
სარკინოზნი იპყრობენ მრავალს ქვეყნებს. საქართვე-
ლოს ერთობა ირღვევა.

აღბეჭდილოთ თავის ისტორიის შესავსებლად ჩვენ აქ
კიდევ დაუბრუნდებით წარსულს დროს და მოვიყვანთ შე-
მდეგ ცნობებს.

ბამეფება საქართველოში ბაგრატიდებისა ანუ ბაგრა-
ტიონებისა მოჰხდა 588 წელს ძრისტესით. მათი გენიალო-
გია წარმომდინარეობს წინასწარ-მეტყველის ღვეთისაგან,
მეფისა შრიასტანისა¹⁾. პირველი ბაგრატიდი—ბურამი გო-
ნიერად შეუდგა ხალხს წარმართვას და ეკკლესიის სამსა-
ხურს. სხვათა შორის მან განაგრძო შენება თბილისის სიონის.

¹⁾ საქართველოს მეფედ იუსტინე II-მ საბერძნეთის იმპერატორმა,
588 წ. დანიშნა გურამ I. ეს იყო ძე ბაგრატიისა, ძისა გურამისა და
ვ. გორგ-ასლანის ასულისა, ძისა სოლომონისა, რომელიც იყო მე 58
შთამომავალი მეფის დავითისა. ამ ნააუქსაობისა გამო ბაგრატიონთ საქ-

სობოროსი 1) და აგრეთვე მცხეთის გაღმა გორაზე აღაშენა ჯერის ანუ, როგორც ეხლა უწოდებენ, ჯაჭვის ეკლესია. ამ მეფის 3 წლის მეფობის დასასრულს, როდესაც ჯერ საქართველოში მკვიდრად იყვნენ სპარსელნი თვისი ცეცხლ-თაყვანის მცემლებითურთ, იწამა შრისტესთვის მსტატე მცხეთელი. ეს ჩამომავლობით იყო სპარსელი: «მე სოფლისა სპარსეთისა ვიყავ არბუკეთისა, ქალაქისა ბანრაკილისა ვიყავ, მამა ჩემი მოგვი იყო და მეცა მოგვობასა მასწავებდა და მე მოგვობა არა თავს ვიდევი, რამეთუ ბანრაკს ქალაქსა ქრისტიანენი უფროს არიან და ეპისკოპოზნი და მღვდელნი და მათგანთა ყოველსა ზედა მივიწიე, რამეთუ უფროს არს ყოველსა ჰსჯულსა ქრისტიანობა, ვიდრე უღვთოება და აწ მე შრისტე მრწამს და შრისტეს მსახურებასა შინა ვარ», ასრე ეუბნებოდა სპარსთა ჯარის უფროსთა ესე მსტატე, რომელიც სპარსეთით მოსულიყო საქართველოში და ეწამა სჯული შრისტესი. ამნაირმა სიტყვა-პასუხმა გააბრაზა სპარსელთ წარმომადგენელნი (მარზაპანნი) და მსტატეს, ბევრის წვალების შემდეგ, «მიყენეს ხელნი მისნი მის ზედა და ჰსაცეს მახელითა პატიოსანსა ქედსა მისსა და წარჰკვეთეს თავი მისი 589 წელსა 29 ივლისსა» ქალაქ თბილის-

გვარეულო ლერბზე გამოხატულია შურდუღი (მოსაგონებლად იმისა, რომ დავიძმა ამით მოჰკლა გოლიათი), აგრეთვე ქნარი, სასწორი, და კვართი, რომელიც შემოტანილ იქმნა საქართველოში. ლერბის გარეშემო წარწერაა დავიძის ფსალმუნისა: «ეფუცა უფალი დავიძის ჭეშმარიტებითა, და არა შეურაცხ-ჰყოს იგი: ნაყოფისაგან მუცლისა შენსა დაკსვა საყდართა შენთა» (ფს. 131, მ. 11.)

სა. გემამი მატატესი წაასვენეს მცხეთას და დაასაფლავეს საქათოლოკოსო ეკკლესიასა მცხეთისასა ¹⁾).

ჩვენ აქ ვიტყვი, რომელ თუმცა-ღა მრავალნი მტერნი ქრისტეს ეკკლესიისანი ჩვენს ხალხს სდევნიდნენ, უქაღოდნენ სრულიად ამოკლეთას და ქრისტიანობის დამხობას, აღსასრულებელად ღვეითის წინასწარმეტყველებისა: «ჩემთვის ცუნდრუკებდეს ყოველნი მტერნი ჩემნი, ჩემთვის: ჰხრახვიდეს ბოროტსა» (ფსალ. 40 7), მაგრამ საქართველოში ქრისტიანობას ისეთი ძლიერი წარმომადგენელი ანუ მქადაგებელი ჰყვანდა, რომელ არა-თუ მტრები ამხობდნენ ქრისტიანობას, არამედ უფრო მტკიცდებოდა და უმეტეს ვრცელდებოდა იესოს სწავლა ხალხში და უფრო დიდ მანძილზე გადადიოდა ქადაგების ასპარეზი ქართველთა მოღვაწეთა. მართველნი მქადაგებელი არა თუ ჰკარგავდნენ ცხოვართა თვისთა სამწყსოისათა, აქ ამედ ძლიერის და თბილის თვისის სიტყვიით და სწავლით თვისათა სამწყსოთა აძლიერებდნენ და ამრავლებდნენ უცხო თესლთა გაქრისტიანებით. ეს ახალნი ცხოვარნი ისეთ მოკრძალოულ-მოშიშნი შეიქნებოდნენ ხოლმე, რომელ სიხარულით თავს სდებ-

1) მისდა სურვილსა ზეცად აჰყავს ევსტათი დედა ქალაქსა მცხეთას, მსუფვეი ღირსად. ტანჯვით განცდილი, ხოლო ქედსა იხრმაღავს. მცხეთას დედას სძღობს, თავსა გვამის განკურძვით. მტვერს ტფილისს აბნევს, სულსა აქრისტესხელებს.

დენ ქრისტესთვის, თუ საჭირო შეიქნებოდა. ამ გვარ პირთ
ეკუთვნის წმიდა აბოცა ¹⁾.

«მსე ნაშობი იყო აპრაამიანი, ძეთაგან ისმაელისათა,
ტომისაგან სარკინოზისა (არაბი).» მს აბო თერამეტი წლი-
სა იყო და ბაღდადის ქალაქილამ ქართლის ერისთავს ნერ-
სეს წამოჰყვა საქართველოდ (786—794 წ). «იყო იგი
ხელოვან კეთილად შემზავებელი სუნელთა მათ საცხებელ —
თა და სწავლულ იყო მწიგნობრობითა სარკინოზთათა,
ძეთა ისმაელისთა, ძეთა ამრაამისთა, ნაშობთა აგარის-
თა». საქართველოში მას დაუწყეს ქადაგება და სწავლება.
«იწყო ზედა მიწენად და სწავლად წმიდათა საღმრთოთა
წიგნთა ძველისა და ახლისა სჯულისათა... მარადის ისმენს
წმიდათა სახარებათაგან და საკითხავთა საწინასწარმეტყვე-
ლოთა და მოციქულთასა და მრავალთაგან სჯულის მე-
ცნიერთა იკითხავნ და ისწავებნ».

ასეთი ძალა ჰქონდა სამღვდელოებას ამ დროს, თუ-
მცა, უნდა ვსთქვათ, რომ საქართველო დამოკიდებული
იყო სარკინოზთაგან, რომელნიც სდევნიდნენ არა თუ გა-
ქრისტეანებულთა თვისთა თესლთა, არამედ ნამდვილ ქრი-
სტეანებსაც.

როდესაც სარკინოზნი აპირობდნენ ქართლის ერისთა-
ვის ნერსეს მოკვლას, მაშინ იგი ოსეთის კარებილამ
აბოთურთ «შევიდა ქვეყანასა ჩრდილოასასა, ზადა იგი არს

1) მოთხრობა წმიდა აბოზე დაწერილია საბას ძის მიერ ბრძანე-
ბითა ქრისტეს მიერ სამოელ ქართლისა ქათოლიკოზისა, რომელიცა
დაწამედროვე იყო წმიდისა აბოსი.

სადგური და საზანაქო ძეთა მაგოგესთა, რომელ არიან ხა-
ზარნი.» ხაზარეთის ქვეყანაში ზოგიერთგან იყვნენ ეკლე-
სიანი და აქ აბო მოინათლა ქრისტეანებრივად და მერმე
ნერსესთან ერთად წავიდა აფხაზეთში და იქ აბომ თვისის
ლოცვითა, მარხვითა და ღვთის დიდებითა განაკვირვა ყო-
ველნი ქრისტეანენი. ამასობაში საქართველოში მყოფმა
სარკინოზთა ამირმა მაჰდი მუმლმა აპატივა ნერსეს და მო-
იწვია ქართლადღე. მას მოჰყვა აბოცა, რომელიცა შეი-
პყრეს და მოიყვანეს თბილისს და სთხოვეს დაეტევა სჯუ-
ლი ძრისტესი, ხოლო მან არა ინება, „მაშინ უბრძანა
(ამირა მსაჯულმა) ხელით და ფერხით შეეკრა მისი ბორ-
კილითა რკინისათა და ეგრეთ შთააგდეს იგი საპყრობილე-
სა.“ მერც დიდი ხნის მწყედევამ, ვერც სხვა გვარმა დას-
ჯამ ვერა შესდრკეს. რწმენა აბოსი, რომელიც ბოლოს
აწამეს სარკინოზთა, მოჰყვეთეს თავი და ავლაბრის ხილთან,
,,ალაგსა საგოდებელსა,“ დაასხეს მისსა პატიოსანსა გვამსა
ნათი და დასწვეს სრულიად ¹⁾).

ამავე ხანებში ძლიერება არაბთა ანუ სარკინოზთა
აღვიდა უმაღლეს წერტილამდე, რის გამოც მთელი მცირე-
აზიის ქვეყნები, ჩრდილოეთი აფრიკა და მსპანია დაპყრო-
ბილ იქმნა მათგან. ამავე დროებში საქართველოს ერთო-

1) სხვა მტვიფრი მტვერსა, ტრფალისაში აბო, რომელს
ქართლს განამშვენებს, ტფილისსა ემშენებს.
ქედსა იხრმალავს, ცეცხლით გაიბრგმედავს.
მტვერსა იემბანებს, ანგელოსთგან აღმოზავლით
და ულამსა ნათელსა განიშერმებს.
ნიკოლოზ ტფილელი.

ბა დაირღვა: იმერეთი, სემეგრელო, ზურია, სვანეთი და
— აფხაზეთი შეერთდნენ და დააარსეს საკუთარი სამეფო
აფხაზეთისა. 790 წელს ერთმა თავადმა—ზრიგოლმა სცნო
თავი თვისი დამოუკიდებელ მმართველად ანუ ქორიკოზად
ქახეთისა. შართლი, სომხითი და სამცხე დაშთნენ სამეფოდ
საქართველოსა.

მტერნი იპყრობენ საქართველოს. ხატთა ბრძო-
ლა. ეკლესია იყოფება ორ ეკლესიად. აღმო-
ჩენა «ივერიის ღვთის-მშობლის ხატისა» დაფუძნება
ქართველთ მონასტრისა ათონს.

მეფედ, უკეთ ესთქვათ, კუროპალატად ამ უკანასკნე-
ლი ქვეყნისა იყო აშოტი, რომელიც სცდილობდა გაენ-
თავისუფლებინა საქართველო არაბთაგან. რამდენიმეჯერ
კიდევ გაიმარჯვა მათზე, მაგრამ ბოლოს მაინც დამარცხე-
ბულ იქმნა მტერთაგან (826 წ.); აშოტი არაბთა დაჰკლეს
არტანუჯის წმ. მოციქულთ პეტრე და პავლეს ტაძრის
საკურთხეველზე ¹⁾

საქართველო განყოფამ და განაწილებამ ძლიერ დაა-
სუსტა. აფხაზთა მეფენი, რომელთაც ჰყავდათ საკუთარი
ქათოლიკოზი, ხშირად ეწინააღმდეგებოდნენ საქართველოს
მეფეთ და მით მრავალთა მტერთა აძლევდნენ შე-
ძლებას, რომ უფრო ადვილად გაეოხრებინათ საქართველო
და პირქვე დაეცათ ეკლესია.

ამავე დროს ქოსტანტინეპოლში გაცხარებუ-
ლი ბრძოლა იყო ხატთ თაყვანის მცემელ და ხატთ
უფარ-მყოფელთ შორის. ხატთა ბრძოლა ანუ უარ ყოფა

¹⁾ არტანუჯი—ქალაქი მცირე და ციხე მაგარი, კეთილ-შენი. ესალა-
შენა გორგასლან, შემდგომად შემუსრა ყრუმ, მერმე ალაშენა და განაანლა
აშოტ-კურატპალატმან და ალაგო ციხესა შინა ეკლესია პეტრე-პავლესი.
მოჰკლეს მას შინავე და დაფლეს მუნვე (გეოგრ. ვახუშტ. გვ. 116).

დაიწყო იმპერატორის ლევ III ისაეროს დროს (717—741 წ.). ხატთა თაყვანის-ცემა მოაგონებს ხალხს ნიშ-კერპების თაყვანის-ცემასაო და ამიტომ ლევ მესამემ აღკრ-ძალა ხატების თაყვანის-ცემა და ბრძანა ეკკლესიებიდამ მათი გამოტანა. იმპერატორის განკარგულებას წინ-აღუ-დგა კოსტანტინეოლის პატრიარქი, უმეტესი ნაწილი სა-მღვდლოებისა და ხალხისა. მაგრამ იმპერატორმა საშინე-ლი დევნა დაუწყო ყველა უარ მყოფელთა მისის ედიკ-ტისა (გარდაწყვეტილებისა). ამისა გამო იმპერიაში ხალხი გაიყო ორ დასად: ხატების მოსარჩლე-მადვიარებელთა და ხატების მღვდელ-უარ-მყოფელთა. ხატთა ბრძოლა გაგრ-ძელდა ლევ III მოადგილეების დროსაც და მხოლოდ 842 წ. მსოფლიო კრებაზე აღდგენილ იქმნა თაყვანის-ცემა ხატთა.

ეს დრო შესანიშნავი არის აგრეთვე მით, რომ აშ ხანში ქრისტეს ეკკლესია სრულიად გაიყო ორ ურთიერ-თისაგან დამოუკიდებელ ეკკლესიად — აღმოსავლეთის ბი-ზანტიისა და დასავლეთის რომისა.

რომის პაპებმა უარ-ჰყვეს ხატ-მბრძოლთ ბიზანტიის იმ-პერატორთ ედიქტი. შეაჩვენეს იგინი (ლევ III), გამოაცხა-დეს თვისი დამოუკიდებლობა ბიზანტიის უფლებათაგან (იუსტინიანე დიდის დროიდან (527—565) სამფლობე-ლონი დამხობილის რომის იმპერიისა პოლიტიკურის და სარწმუნოებრივის მხრით ექვემდებარებოდა აღმოსავლე-თის ბიზანტიის იმპერატორთა). ასრეთი გამბედაობა და უშიშროება პაპთა მიეწერება იმ გარემოებას, რომ მათი უფლება (მოადგილეობა და ქრისტეს წარმომადგენლო-ბა) დასაელეთ ცეროპიის სახელმწიფოებში უკვე მკვიდრად

იყო დამყარებული. ხატთა პატივის აღდგინების შემდეგაც ბრძოლა ამ ორთა ეკლესიათა შორის მაინც არ დასცხრა, რადგან დასავლეთის ეკლესიამ პირველის მსოფლიო კრებისაგან აღვიარებულ სარწმუნოების სიმბოლოში ჩაუმატა, რომ წმიდა სული გამოვალს ძისაგანაცაო. შეველა ამას მიემატა ის გარემოებაც, რომ იმპერატორმა მიხეილ III სხვა-და-სხვა მიზეზების გამო დაამხო ტახტიდამ ქოსტანტინეპოლის პატრიარქი ეგნატე და მის მაგიერ ტახტზე აღიყვანა შოტი. პაპა ნიკოლოზ I-მა უკანონოდ სცნო ასრეთი მოქმედება იმპერატორისა და მოითხოვა ტახტზე აყვანა იმავე ეგნატესი. მაგრამ თხოვნა რომ არ შეუსრულეს, მაშინ რომში მიიწვია კრება და ამ კრებაზე შეაჩვენა შოტი, რომელმაც თავის მხრით შეაჩვენა პაპი. ამნაირად მოისპო დამოკიდებულობა აღმოსავლეთის მართლ-მადიდებლობის და დასავლეთის კათოლიკე ეკლესიათა შორის. ეს დამოუკიდებლობა უფრო განმტკიცდა მე XI საუკუნეში. ამ საუკუნეში პაპა ლევ IX-მ პატრიარქს მიხეილს მოსთხოვა სრულიად დამორჩილებოდა რომის ტახტს. პატრიარქმა, რასაკვირველია, უარ-ჰყო ასრეთი თხოვნა. მაშინ ლევ IX-ის ლეგატთა (მოციქულთა), გამოგზავნილთა ქოსტანტინეპოლში, სოფის ეკლესიის ტაძრის საკურთხეველზე საჯაროდ დასდევს პაპის ბუღლი, რომელშიაც ეწერა შეჩვენება მთელის საბერძნეთის ეკლესიისა (1054 წელს). საბერძნეთის სამღვდლოებამ ეს ბუღლი დასწვა და თავის მხრით შეაჩვენა ფრანგთა (ლათინთა) ეკლესია. მის შემდეგ ყოველივე ურთი-ერთშორებრივი დამოკიდებულება ამ ეკლესიებ შორის მოისპოა. (Отеч. истор. С. Рождеств. гв. 27—29).

ბერი ბაბრიელ ქართველი, რომელიც ამ ხანებში მყუდროებაში სცხოვრებდა ათონის მთაზედ, ღირსი იქმნა აღმოცენდა ზღვიდამ ხატთ მღვინელთა შიშისა გამო ზღვაში ჩაგდებულნი სასწაულთ-მოქმედი ლეთის-მშობლის ივერიის ხატი. მალე დროში მთელს ქვეყანაში განითქვა სახელი ამ ხატი-სა, როგორც სასწაულთ-მოქმედისა. სოფლის ღელვისაგან მო მრავალნი ქართველნი წავიდნენ ათონში, შეიმოსნენ ბერ-მონაზონად, აღაშენეს დიდი მონასტერი და მის კარის ბჭეში დაასვენეს ხსენებული ხატი, რომლისაგან მონასტერსაც ეწოდა „მონასტერი ათონის ივერიის ლეთის-მშობლისა.“

პირველი ქართველი, რომელმაც დაუტყვევა ყოველივე ღიდება და შვება საწუთოთა ამათ, განეშორა და წარვიდა და ფარვით ლაგრასა დიდებულსა“ (ათონს), იყო წარჩინებული თავადი ტაოსი ¹⁾ იოანე, მხნე, ახოვანი, განთქმული წყობათა შინა, მაღალი და მშვენიერი სიკეთითა; „სიყრმიტგან თვისით განსწავლულ-იყო თავისუფლისა ხელოვნებათა და გონიერ გონებითა და გულის-ხმის-ყოფითა, მეცნიერი ენისა მღლინთასა და სხვათაცა ენათა ზედ-მიწევნილობით

¹⁾ ტაო და კლარჯეთი ეწოდება საქართველოს ნაწილს, რომელიც მდებარეობს მდინარე ჭოროხის ხეობაში, ესე იგი შჰანის და ისპირის წყალზე. ეხლა ტაოს შეადგენენ ტრაპეზუნტის, არზრუმის ვილაეტნი და ოლთისის მხარე; თითქმის მთლად აქაური მცხოვრებლები გამაჰმადიანებულინი არიან. კვალი ქრისტიანობისა და ქართველობისა კი ძლიერად ეტყობა აქაურობას: ნანგრევები ძველთა ტაძართა, ქალაქთა, ციხეთა, ადგილთა სახელწოდებანი და სხ. გვიმტკიცებენ, რომ წინად აქ უცხოვრიათ და უმეშჰანიათ ქართველთა. ჯერ ეხლაც არზრუმის ნაწილს ჰქვიათ ქართული სახელები, მაგ. «ქართველთ ქუჩა», «საქართველოს სასტუმრო», «საქართველოს შეიდანია».

სწავლული და აღსაესე სიბრძნითა და შიშითა ლეთისათა“. ესე იოანე ლაფრაში მონაზნად ეკურთხა და „ოდეს განცხადნა მუნ და განითქვა მუნით ამბავნი მისნი ყოველსა კერძოსა, ნეტარი იოანე განეშორა ადგილისა მისგან და მიიწია მთასა წმიდასა ულუმბოსა ¹⁾ და მუნ აღიწია ერთი მონასტერი, რომელსაცა შინა იყოფოდა ფრიადისა და მრავლისა მოღვაწეებითა.»

ჟამსა მას, ოდეს „მისცნა ზემოსა კერძოსა ყოველნი მახლობელნი ადგილნი ბერძენთა მეფემან (რომანოზ) ღვით კურატპალატსა თვისისაგან საქეთოსა გარეშე საზღვართა ივერიისათა, რათამცა ეგოს მეფე ღვით მტკიცედ პირობასა ზედა ბერძენთასა და არა შეერთდნენ მტერთა ქართველნი“, მაშინ იოანე, პოსტანტინეპოლეს ჩამოსული, «არღარა მიიქცა ულუმბად, არამედ წარვიდა მთასა წმიდასა» და თან წაიყვანა მხველად მყოფი შვილი თვისი მეთემი. — შემდეგ ამისა მოდიან მთა-წმიდად მრავალნი ქართველნი, სხვათა შორის, მთავარი სიორნიკე, წმ. ბაბრიელ მღვდელ-მონაზონი (ზემოთ-ხსენებული) და სხვანი მრავალნი.» სიორნიკემ აქ მიიღო «სახე მონაზნობისა». ღვითი მეფობდა 876—881 წ. და ამ წლებიდან ქართველ მოღვაწეთ მოიღგეს ფეხი ზემოხსენებულ წმიდა ადგილებში.

¹⁾ ულუმბო ანუ ოლიმპი, საცა ქართველებს ჰქონდათ თვისი მონასტერი. აქ მოვიდა იოანე და, სხვათა შორის, მას ჩაბარდა მწყევლა მონასტრის კარაულთა.

ქართველნი კოსტანტინეპოლს იხსნიან განსაცდელისაგან. ქართველნი ათონზე და სხ. აშენებენ მრავალს ტაძრებს. მთარგმნელნი სამღვთო და საფილოსოფოსო წიგნებისა: იოანე, ევთვიმი, არსენი და სხვ.

როდესაც რომანოზ II აღესრულა ¹⁾ და „დაშთაღედლოფალი თეოფანა ორთა თანა ძეთა თვისთა ვასილი და კოსტანტინესა, განუდგა მთავარი ვარდა სკლეროსი, რომელმაც დაიპყრა ყოველნი ადგილნი და თეოფანა ყრმებითურთ შეამწყვდია ქალაქსა შინა სასაყდროსა (კოსტანტინეპოლეს), მაშინ დედოფალი განიზრახვიდა, რომელ გარდა ღვით კურატპალატისა შემწე ჩვენი სხვა არავინ არს, და იძულებულ იყვნეს წარგზავნად კაცისა თხოვნად შეწყენისა“. ამასობაში დედოფალმა გაიგო, რომ მთაწმიდას იმყოფებიან შემონაზონებულნი შესანიშნავნი მხედარნი საქართველოსანი: იოანე და თორნიკე ²⁾; „მისწერა წერილნი და სთხოვა და დიდად ევეღრა, რათა მათ დაეხსნათ საბერძნეთი სკლეროსისაგან“. მაშინ თორნიკემ „განძარცვა საერო და შეიმოსა სამხედრო“, მერმე წარმოემართა საქართველოდ, აცნობა მეფესა—და „მან მოსცა

¹⁾ იმპერატორი რომანოზ გარდაიცვალა 875 წელსა, მას დაშთნენ მცირეწლოვანნი ძენი ვასილი და კოსტანტინე.

²⁾ თორნიკე იყო ზემო ქართლელი, ქსნის ერისთავთაგან. ამ გამოჩენილ პირზე სწერენ ჩვენი მატიანენიც და აგრეთვე ბერძენთა და რუსთა მწერალნიც.

თორნიკეს ათორმეტი ათასი მხედარი ყოვლითა სიმხნითა და ძლიერებითა სრულნი და გამოცდილნი გულოვანნი“; ამ ჯარით „წარემართა თორნიკე მტერთა ზედა და მეოტყენა იგინი, აღილა დიდ-დიდნი ქალაქნი და ციხენი მტკიცენი; დილისა სიმხნითა თვისითა შემუსრნა, აოტა სკლეაროსი და ვიდრე სპარსეთამდე მეოტად წარაქცია ¹⁾. მსრეთნი სახელოვანნი საქმენი ჰქმნეს მაშინ ქართველთა, რომელ ყოველნი გარემონი მტერნი ძრწოდეს მათგან“. შემდეგ მათიანე განაგრძობს, რომ რაც რამ ნატყენავი იშოვნა თორნიკემ ბრძოლის ველზე ყველა დედოფალმა მისცა თორნიკესა და იოანეს და აგრეთვე ყოველნი განდგომილნი მთავარნი საბერძნეთისანი „მოიღებდენ თვისთა სიმდიდრეთა და მისცემდენ მათ და ესენი ევედრნეს დედოფალსა და განტყევბულ იქმნეს“. შემდგომად „დილისა ნიჭითა მიიქცნეს მთა წმიდადვე და შეიმოსა კვალად თორნიკე მონაზონებასა.“

ძართველთა ამ ალაფით დაუწყევიათ აღშენება მთაწმიდაზე მონასტრისა: ჰქმნეს ტაძარნი პატიოსანნი და ფრიადისა შენებულებითა განშევენებული და შეამკვეს ხატთა მიერ პატიოსანთა და ჯვართა და ყოველთა სამკაულთა სრულ-ჰყენეს იგი და შემოუკრიბეს მას გარემონი მონასტრისა მის და დაუუნჯნეს მამულნი და ეგრეთვე სათაფ-

1) თორნიკე შეებრძოლა სკლეეროსსა, მცირე აზიაში, მდინარე ლალისის სეოპაში. ეს ბრძოლა აღუწერიათ როგორც ჩვენთა მწერალთა, ისე ფრანგთა, სომეხთა. ამავე ბრძოლაზე მოგვითხრობს სათარის მონასტრის წარწერა. მტერზე გამარჯვების შემდეგ თორნიკე ჯერ წარმოემართა საქართველოდ თვის ბუნებრივ მეფის თაყვანის საცემლად და მერმე წავიდა საბერძნეთს.

წოდ თეთრნი და ალაესეს შინაგანი მონასტრისა სრულიად ქართველთა მონაზონებითა და უქმნეს დასაყუდებელნი და აღიღეს სიგელნი მეფეთაგან ოქროს ბეჭდითა დაბეჭდილნი, რათა უფლებდენ იგინი იკუროისა მონასტრისა ზედა საუკუნოდ უოკლითა შესავლითა და გასავლითა მისითურთ და კერეინ უძლესთ უფლებად მათ ზედა გინა შეჭინებულად და ჰქმნეს შენებულგბანი, რომელნიცა ვიდრე მოდღეინდელად ღლედ-მდე ჰვიან და იწყეს თარგმანება წიგნთა სამღვთოთა და მრავალნი წიგნნი გადმოთარგმნეს ქართულსა ზედა ენასა“ (მოთხრ. ივერ. მონასტრ.).

ეს მთარგმნელნი და მოღვაწენი, გარდა იოანესი და თორნიკესი, იყვნენ:

ა) იოანეს ძე მეთეიმი; ამის შრომანი არიან: 1, თარგმანება იოანეს თავისა სასარებისა; 2, სწავლანი წმ. მამისა ჩუენისა დიდისა ვასილისნი; 3, მისივე თარგმანება ფსალმუნთა; 4, წიგნი წმიდის კლემენტისა; 5, წიგნი წმიდისა მკაცრისა; 6, მკსიმეს სწავლანი (აღმსარებისა); 7, წიგნი წმიდის ისაკიას (ასურისტანელისა), რომელსა შინა არიან სსვანიცა მამათა გამორჩეულთა სწავლანი; 8, წიგნი წმ. დოროთეისა; 9, წამება და სასწაულნი წმ. მთავარ-მოწამისა დიმიტრისნი (თესლონიკელისა); 10, ცხოვრება და წამება წმ. სტეფანე ასლისა; 11, ცხოვრება და წამება წმ. კლემენტო, რომთა ჰაზინსა; 12, წამება წმ. კლიმი ანკურელისა; 13, ცხოვრება წმ. გრიგოლ ღვთის-მეტყველისა. 14, ცხოვრება წმინდ. დიდისა ვასილისა მთავარ-ეპისკოპოსისა; 15, წამება წმ. აკუესამესი; 16, ცხოვრება წმ. ბაგრატისი; 17, წამება წმ. შინა, ერმთგენი და ეგერათისა; 18 წმ. გრიგოლ ნოსელისა თქმული შესხმა, მამისა თვისისა დიდისა ვასილისა და ქალწულ-

ებისათვის, და წმიდის მამა ჩუენის თარგმანი, და წმიდათა მარსუთათვის, და წმ. მოსე წინასწარმეტყველის ცხოვრების თარგმანი; 19, იოანე მახარებელის ხილვა და ხილვის ასსნა; 20, თარგმანი იოანე კრიტელისა; 21, თქმული იოანე დამასკელისა ორისა ბუნებისათჳს ქრისტესსა, 22 წმ. ღუთის-მშობლის შობისათვის; 23, ცხოვრება დიდისა ათანასისა ალექსანდრიელისა; 24, წამება წმ. სამთა ყრმათა: ალოიონ, თილადელთოს და კვპრიანესი; 25, ცხოვრება წმ. ონოფრი მძოვარისა დიდისა; 26 სწავლანი წმ. მამისა ზოსიმესნი საწმუნოებისთვის; 27, სწავლანი წმ. მამისა ეფრემისნი საწმუნოებისათვის; 28, სჯნაქსარი საწელიწადო, უძრესი; 29, მიმოსვლა და ქადაგება წმ. იოანე მახარებლისანი; 30, სქემას გუთსეკა, ბერძული; 31, მონაზონისა გუთსეკა; 32, ჭკუელის კანონი წმ. იოანე მმარხველისა და მეექვსისა კრებისა; 33, ბეგლის წერა მართლისა საწმუნოებისა; 34, სწავლანი წმ. მარტიარისანი; 35, წამება წმ. თეობონასი (მონაზონისა). 36, წამება წმ. ანთიმოსი; 37, წამება წმ. მოწ. ელასისა და ორთა მონაზონთა; 38 წამება წმ. თეოდორე სტრატელატისა, თეოდორე ჰერგელისა ეესტრატითურთ, და წმ. ეესტათესი და შვილთა მისთა; 39, სწავლანი წმ. კასიანესნი; 40, წიგნი დიალოგონი; 41, წმ. მთავარ-ანგელოზთა სასწავლანი; 42 ცხოვრება წმ. ნიკოლაოზისა, საკურველ-მოქმედისა; 43, წიგნი ღუთის-მეტყველისა გრიგორისი; 44, მაქსიმეს რვათა გულის სიტყვათა; 45, ვასილის თქმული კაენის შვილთა შურის გებათათჳს; 46, შუადამენი ბერძულნი; 47, ლოცვანი ბერძულნი და სს.

ბ) არსენი ნინო-წმინდელ ეპისკოპოსი. წმ. მამა არსენი მონაზონად აღკვეცილ იყო იერუსალიმს. მოიწვიეს იგი საქართველოდ და მისცეს ეპისკოპოსობა ნინო-წმიდისა. შემდეგ რაოდენისამე დროისა წარვიდა მთად-წმიდად

და გარდაიცვალა. იქვე ასაულავია. მისი შრომანი: 1, ღვთის-მეტყველება იოანე დამასკელისა, 2, წიგნი გრიგოლ ნოსელისა, 3, მეტაფრასნი და საგალობელნი წმიდათა.

გ) იოანე ბრძელის ძე, რომლის შრომანი არიან: 1, დაწლებვა მსჯელობათა საწმინთებისა და სიტყვა საწკინთათა მოქცევასათვის საწმინთებისადმი ქრისტესსა, 2, შვიდთა მსოფლიოთა კრებათათვის, 3, ისტორია ეკლესიური თეოდორიტიკისი, ანა. სრული, 4, საგალობელი კანონი ივერიისა ჰოტიატისა, ანუ კანონი ღვთის-მშობლისა.

აგრეთვე განთქმულნი იყვნენ: ღირსი იოანე ხახულელი, ოქროპირად სახელდებული, ნეტარი ბერი ბრიგოლ, ახალი აბრაამ სტუმრის მოყვარე და სხვანი მათნი ნობაძენი, რომელნიც ამავე დროს მოღვაწეობდნენ: ულუმბოს, შავს-მთას ანტიოქიის მახლობლად, იერუსალიმა, სინას და რასაკვირველია, ათონსაც. ათონზე განსაკუთრებით ბრწყინებდნენ: დიდო ათანასე, რომელსაც ლაერა ავშენებინა და სასწაულებსაც იქმოდა; შავი ბრიგოლ, ზაქარია მირდატისძე, არსენი — კვიპრელის ჰოჯიკის მეგანძურთ უხუცესი; ზიორგი — ნათესავი მეთეიმისა; სვიმეონ და ბაბრიელ, რომელნიც მეთეიმეს შემდეგ ივერიის მონასტერს განაგებდნენ; თეოდანე ხუცესი, რომელიც იყო „ფრიად სწავლული და ხელოვნებით მწერალი წიგნთა საღმრთოთა.“

თ ა ვ ი X

გიორგი მთაწმინდელის მოღვაწეობა . — იოანე მღვდელ-მონაზონი. — ეფრემ მცირე. — არსენი იყალთოელი. — ტაძარნი: პედიისა, საფარისა, ქუთაისისა ხახულისა, გელათისა და სხვანი. — სკოლანი.

შედა ესთქვათ, რომ ყველაზე დაუღალაფი მშრომელი გამოჩნდა წმიდა ბიორგი, იეროიის მონასტრის არხიმანდრიტი, მღვდელ-მონაზონი ქართლელი, ადგილით ორიალეთით. ამ ბიორგომ შეამსო ნაკლულოვეანებანი წარსულთა თვისთა მოადგილეთა და ხელოვნურად გადმოსთარგმნა ქართულად: 1, სჯნაქსარა დიდი, საფუქველა ეკლესიასთა; 2, ცხოვრება, გამოკრებულა საწელიწადო; 3, პავლე სრული და საქმე მოციქულთა და ეპისტოლენი მოციქულთა; 4, პავლე გამოკრებულა საწელიწადო; 5, თთვენი ათარმეტნივე; 6, სტიქარნი საწელიწადონი... 7, სტიქარნი თვათ ავაჯნა... 8, წიგნი ექესთა დღეთა წმ. კასილის თქმულა; 9, წიგნი ეპისტოლენი წმ. კონსტე დმეტ-შემოსილისანი; 10, წიგნი საფსადმუნე დავითისა, სამკაული და გვარგვინი ყოველთა წიგნთა; 11, დიდი პარაკლათონა, სამკაული ეკლესიასთა, სსვითა მრავლათა კეთილათა ადსაკსე; 12, დიდა მარსკანა; 13, სტრაგი მრავალ

ფერითაჲ კეთილთა ალსაჲსე; 14, წიგნი თეოდორე სტოდე-
ლისა, სწავლანი დიდთა მარსკათა საკითხავი; 15, წიგნი და-
ზადებისა, თარგმანი წმინდა იოანე ოქროპირის თქმულა; 16,
წიგნი მეექვსის კრების; 17, კვისტოლენა წმ. კირილესნი
და სს. წმ. მამათა განკვეთისათვის ნესტორ უსჯულობისა; 18
წიგნი გრიგოლ ნოსელისა, რომლისა მშგებება და ქება ზესთა
არს ყოვლისა მოთხრობისა.

აქვე დაუმატებთ, რომ თუმცა ახალი აღთქმა თარ-
გმნილი იყო მე V საუკუნეშია ღვით და სტეფანოზის მიერ
იერუსალიმში და შემდეგ დედოფალ რუსუდანიისთვის სხვაი
მცხეთას, მაგრამ მაინც წმ. ბიორგიმ ხელ-ახლა შეამოწმა
და ხელ-ახლა სთარგმნა სახარება და სამოციქულო, რად-
გან ეს წიგნები მწვალებლობის ზედ-გავლენით ამ დროს
სამსენი იყვნენ შეცდომილებითა.

მოგვყავს წმ. ბიორგის ანდერძი, რომელი-
ცა სწერია ხელნაწერსა სახარებასა ბაენათის ტაძრისასა;
ეს სახარება თვით წმიდა ბიორგისაგან ნაწერია; ანდერძი:

აქუ საცნაურ იუაგნ ყოველთა, რამეთუ წმიდა ესე ოთხ-
თავი ახლათ გვითარგმნია ჟერიადითა იმულებითა ძმათა ვიეთმე
სუფიერათათა და ბერძნულთა სასარებათა და შეკვიმეწმებისა
ფრიადითა გამოწკალებითა და კინცა კინ დასწერდეთ, თუ ამის-
გან ჟურ გიხნდეთ დაწერეთ ღვთისათვის სიტყვათა ნუ სცვა-
ლებთ, არამედ ვითარცა აქ ჰსწერია ეგრე დაჰსწერეთ და თუ
რამე გშეკნდეს ხეხნი ყოველნი სასარებანი შიკველითგან წმი-
დად თარგმნილნი და კეთილად სან-მეტნიცა და საბა წმადურ-
ნიცა მუნით დაწერეთ და ღვთისთვის ერთმანეთსა, ნუ გაჰ-
რკეთ, ხოლო გლახაკისა გიორგისთვის, რომელმან უსთარგმნე,
ლოცვა ჰქეკთ. »

თვისი შრომა ბიორგიმ გადმოიღო სამშობლო ქვეყანაში და მეფის ბაგრატ IV-ის მოწვევით ხუთი წელი დაჰყო საქართველოში, სადაც იმ დროს „გარდაიწერნეს წიგნი მისნი მრავალთა საეპისკოპოსოთა და მონასტერთა და მრავალი საეკლესიონი წესნი განმართნა“. სამშობლოდამ დაბრუნებისას ბიორგიმ წაიყვანა აღსაზრდელად 80 ობოლი ქართველთ ყრმანი პოსტანტინეპოლეს, შემდეგ იგი ილაშქრა იმპერატორსა და თვით მეორეს დღეს, შემდეგ იმპერატორის ნახვისა, აღესრულა ქართველთ მეტოქსა შინა ძრისტ. 1066 წელსა. წმ. გვამი მისი წაიღეს ათონს და დასვენეს იქ, სადა იღო გვამი წმ. მეთეიმისა. ხსენება ბიორგისა 1) 27 ივნისს.

ბიორგის დროს იყვნენ კიდევ შემდეგი მთარგმნელები: ილარიონ, ბიორგი მლთისელი, მასილი ბაგრატისძე, არსენი, ანტონი მნათე და სხვანი.

შემდგომად ბიორგი მთაწმინდელისა ივერიის მონასტრის სახელოვანნი მოწაფენი და საქართველოს სასიქადულო შეილნი იყვნენ:

ა) იოანე მღვდელ-მონაზონი, ფილოსოფოსი, პეტრიწად წოდებული, შირქიმელი; ამისგან, სხვათა შორის, დაგურჩა სვინაქსარე, რომელშიაც არის გალექსიდნი ისტორიანი; ლეთის-მშობლის შობისათვის, ქრისტეს შობისათვის და სხვ.

1) ოქრო ქანდაკი, სპეკალი მოიჭვილი, ეპისკოპოსთა დიდება, მღვდელთ პატივი ამათ მფლობელთად, მახვილ ორპირ შვეთელი, გიორგი წიგნთ ხარგმანი იმთაწმინდების, მიწას მიწას ჰმართავს, სულსა ასასუფევლებს.

ჭგრეთვე ამანვე გალექსა იამბიკო წმ. მამის იოანე სინელის კლექსისა.

ბ) მფრემ მცირე; ამან სთარგმნა ბერძნულიდამ: 1, წიგნი დიონოსი. არიოპაგელისა «სუცისა იერახისისათვის;» 2, ამმონოსის წიგნი; 3, მოქცევა სქაქრთველოისა და 4, ქადაგება წმ. მოციქულის თომასი.

გ) არსენი იყალთოელი სხოლასტიკოსი; ამან კახელ-მა ზედ-მიწეწით იცოდა არაბული, ასირიული და ბერძნული ენანი და იყო დიდად განათლებული კაცი, ფილოსოფოსი; იყო მოძღვრად მეფის ღვეითისა. კახეთში იყალთოს ჰქონდა სასწავლებელი და ასწავლიდა: ფილოსოფიასა, ღვეთის-მეტყველებასა, ენათა და „სხვათა აზნაურთა სასწავლებელთა“. შემდგომად აღსრულებისა ქათოლიკოზისა იოანესი იქმნა ქათოლიკოზად. ჰმარხია იყალთოშივე. არსენმა აღწერა: 1, ძეგლის წერა კრებისა, რომელიც იქმნა მცხეთის ქადაქსა განკარგულებითა დაჰით აღმაშენებელისა; 2, მოთხრობა მისეუსთა, რომელთა გამოგანსდგუნ სომესნი მართლმადიდებლობისა სარწმუნოებისაგან და 3, გადმოსთარგმნა „ქართოს ნეკტარი“ წმ. იოანე დამასკელისა.

და აგრეთვე იოანე ტარიჭის-ძე, სტეფანე, თეოფორე და მრავალნი სხვანი.

უნდა აღვიაროთ ის ფაქტი, რომელ ივერიის მონასტრის დაარსებიდამ საქართველოს ეკლესია სრულიად განმტკიცდა სჯულსა ზედა მაცხოვრისა ჩვენისა. ხალხში გავრცელებულმა საეკლესიო და საერო ლიტერატურამ ძლიერად კვალი გაინასკვა საქართველოში და ეს იყო მი-

ზეზი, რომ შემდეგ საუკუნოებში საშინელმა ძრისტეს მტრებმა ვერა ლონის ძიებით ივერიაში ვერ დაამყარეს მაჰმადიანობა.

ღელა-ბოძებად ძრისტეს სჯულისა საქართველოში, ივერიის და იერუსალიმის მონასტრებს გარდა, შეიქმნენ შემდეგნი დიდებული ტაძარნი:

ა) ხახულის ღვთის-მშობლისა თოართომის სვესედ; „შაფაქლუს მთის კალთას ახს ეკკლესიას მონასტერი ხახულისა ყოვლად წმიდის ღვთის-მშობლისა, დიდი, გუნბათიანი, დიდ-მშენიერად გუბული, შენიერს კარგს ადგილს; ეს აღაშენა დავით კურატ-პალატმან ბაგრატ მეუვის მამობილმან... აწ ექმ, ცალეკ არიან და სატი მისი ახს გელათს, რომელი შეამგო აღმაშენებელმან, მერმე თამარ მეუემან“ (გეოგრ. ვახუშტ. გვ. 124). ეს ეკკლესია ესლაც არსებობს და აქვს წარწერანი. აქ ბერად შესდგა გამოჩენილი გიორგი მთაწმიდელი.

ბ) ბედიისა. „აქუ ბედიასა აღაშენა მე 54 მეუემან ბაგრატ ეკკლესიას დიდი, დიდ-მშენიერ-გუნბათიანი და შეამგო სიმდიდრითა დიდითა თრიალდ; დასკა ეპისკოპოსი რდიშისა“ (გეოგრ. ვახუშტ. გვ. 400).

გ) საფარისა. «ცუნქეს სვესედ (საათაბაგოში) არს საფარას მონასტერი, მშენიერად დიდ-მთხრო, გუნბათიანი, ყოვლად წმიდისა. ესე იყო შემკული ყოველთა საეკკლესიოთა და წმინაწილებითა და დაეფუნენ ათაბაგნი, და აწ არს სუცის ამარ» (გეოგრ. ვახუშტ. გვ. 90) გარეშემო მონასტრისა ესლაც სტოპორბენ გამაჭმადიანებულნი ქართველები და მხოლოდ შიგა და შიგ ქრისტიანენი და ჭყავთ საფარას მღვდელი.

დ) ძუთაისისა. ეს არის დიდებული შენობა, რომელი ბულია ბაგრატ III-საგან, რომელსაც ცოლად ჰყვანდა

ასული ბიზანტიის იმპერატორის რომანის არგირისა ტაძრის მშენებელს შეხედულობას განცვიფრებაში მოჰყავს კაცი. მის კედელზე დაშთენილა ორი წარწერა; ერთი მათგან იხსენიებს ბაგრატ მეფეს და მეორე კი შესანიშნავია მით, რომ შეიცავს არაბულს ციფირებს 223; ამ ციფირების აღმოჩენით, მსწავლულთ ჰგონიათ, რომ ციფირების ხმარება უწინარეს ყოველთა შემოვიდა საქართველოში, რადგან ამ ტაძრის წარწერის ჯარდა, სხვა წარწერა ციფირებით არსად მოიპოება, რომ ამაზე უწინარეს დროს ეკუთვნოდეს (იხ. Нумизм. Факты Груз. Царс. ბარათა-ევისა). ტაძარი წინაღ იყო საეპისკოპოსო, რომელიც განაგებდა იმერეთსა და ბურჩასა. მხლა დანგრეულია.

ე) გელათისა (ანუ გაენათისა), რომელიც შუთაისს შორავს 6-7 ვერსტით. აშენებულია ღვით აღმაშენებლისაგან (1025). შენობა დიდებულია. მისი კედლები აგებულია მსხვილის ქვით. მრთი ქვა (ცხრა ალაბი სიგრძით) დადებულია კედელზედ თვით ღვითისაგან. საკურთხეველში ასენია ხატი ღვთის-მშობლისა, ნაჩუქები იმპერატორის პლექსი კომნენისაგან. აქვე ასენია ხახულის ღვთის-მშობლის ხატი, ქმნილი წმ. ლუკასაგან და მოკმაზული ძვირფასის ქვებით. აქ იჯდა ეპისკოპოსი—გენათელი, მმართველი ოკრიბისა და არგვეთისა, მსევე შეიქმნა საგვარეულო საეანედ ბაგრატიონთა.

ღა აგრეთვე ტაძარნი სახსრად წამებულის მსტატესი, ღვითის და ძოსტანტინესი, მეფე არჩილისა, სასწაულთ-მოქმედისა ილარიონისა, მობრონისა, რომელიც წამებულ იქმნა 920 წელს 17 ნოემბერს. მასთანავე აწამეს 133 მხედარნი ქართველნი, ესენი და ამათთან სხვა ქართველნი მურვან ყრუმ 28.

დღის ბრძოლის შემდეგ შეიპყრო ციხე ყველში (სამცხე-შია), აწამა და მთელი საქართველო გააოხრა.

უნდა მოვიხსენიოთ ის გარემოებაც, რომ ყველა ამ მონასტრებთან და სობოროებთან იყო გამართული სკოლები, საცა ასწავლიდნენ ყოველ გვარ მაშინდელ დროის მეცნიერებათა, სამღვთო წერილსა, ღვთის-მეტყველებასა, ბერძნულსა და ასირიულსა ენათა და სხ. მასწავლებელნი ამ სკოლებსათვის ბევრნი გამოდიოდნენ ივერიის მონასტრიდამ, საცა მოღვაწეობდა 500 მეტი ქართველი, აგრეთვე იერუსალიმის მონასტრებიდამ და ზოგიერთ საქართველოს განთქმულ მქადაგებელთა სკოლებიდამ (იგულისხმეთ სკოლა არსენი იყალთოელისა და სხ.); მოხარდ თაობაზე დიდი გავლენა ჰქონდა თავისუფალთა ჰაზრთა და მსჯელობათა შესანიშნავთა ბერძენთა ფილოსოფოსებისა: პლატონისა, არისტოტელისა, პორფირისა, ღამასკინისა და სხ. თხზულებების თარგმანთა.

თ ა ვ ი XI

საქართველოს განთავისუფლება სარაცინთაგან.—
ჯვაროსნების ომი.—ქართველნი შველიან ჯვაროსან-
თა.—მოღვაწეობა მეფეთა: ბაგრატ III-სა, ბაგრატ IV-სა
და დავით III-სა აღმაშენებელისა.—ქეგლის წერა.

რა იყო მიზეზი, რომ ამ დროებში მე IX—XII საუკ.
ასეთი წარმოუდგენელი წყურვილი და ლტოლვა აღედგრა
ქართველ ხალხს მეცნიერებისადმი და წარმატებისადმი?

თურქნი, საშინელნი და უღმობელნი მტერნი ქრის-
ტიანთ ერთა, მიილტოდენ ყოვლის მხრიდამ იერუსალიმი-
საკენ დასაცველად პალესტინისა და მოსაგერებლად ჯვა-
როსნებისა, რომელნიც სკდილობდნენ განთავისუფლები-
ნათ სარაცინთაგან (თურქ-არაბნი) ყოველი ქრისტიანისთვის
ძვირფასი საფლავი იესო ქრისტესი. თითქმის მთელი მე-
რობა მოასკდა მცირე აზიასა.

ის ადგილი (პალესტინა), საცა დაიბადა, აღიზარდა
და იმოქმედა მაცხოვარმა, შეიქმნა ქრისტიანების სალოცავ-
სათაყვანებელ ადგილად. მე VII საუკ. იგი დაიპყრეს არაბთა,
რომელნიც არ აბრკოლებდენ ქრისტიანებს წმიდა ადგილების
მოლოცვას. მე XI ს. (1072 წ) კრ. პალესტინა დაიპყრეს
თურქთა (სელჯუკთა), რომელთაც წმიდა ადგილებში სლო-

ცავალ მიმსვლელთა ისეთი დიდი გადასახადი დაადეს, რომ ქრისტიანნი ველარ მილიონდენ პალესტინაში. ჭველა ამას დაემატა აგრეთვე საშინელი ღვენა ქრისტიანებისა, მათი ტანჯვა და წვალება.

ასრეთი მდგომარეობა ქრისტიანებისა პალესტინაში განუმა-რტა ევროპიის ხალხსა, პაპსა და დიდებულთა პეტრე უდაბნო-ელმა. იგი მწვავის სიტყვებით უხატავდა ხალხს ქრისტიანების დამცირებას მაჰმადიანთაგან, ტანჯვას და საშინელ მდგომარეობას და ყველას სთხოვდა, რომ მიშველებოდნენ ქრისტიანებს და გამოეხსნათ წმიდა ადგილი მაჰმადიანთა მფლობელობისაგან. პეტრეს ხმას მიემატა პაპის თხოვნა-ვე-დრებაც და მათი ღალადება არ დაშთა ხმად მღალადებე-ლად უდაბნოსა შინა. თითქმის მთელი ევროპა ფეხზე და-დგა და აღიჭურვა სურვილით წმიდა ადგილების განთავი-სუფლებისათვის. ღაიწყეს მხადება და ჯარების შეკრება.

პირველი ჯვაროსანი ლაშქარი (1096—1099 წ.), რომელიც შესდგებოდა რამდენიმე ათასი კაცით, გაემგზავ-რა ბოდფრიდ ბულონელის წინამძღოლობით. მს. ჯარები ძოსტანტინეპოლიდამ გადავიდნენ მცირე აზიაში, დიდის გაჭირებით აიღეს ანტიოქია და გაზაფხულზე 1099 წ. შემოერტყნენ იერუსალიმსა, რომელიც დიდის სიძინელით აიღეს, ამოსწყვიტეს მაჰმადიანნი და ურჩიანთა დააწესეს თვისი მმართველობა ამ ქვეყანაში. მაგრამ ბატონობა ქრისტიანებისა დიდხანს არ გაგრძელდა. მაჰმადიანნი თან-და-თან მძლავრდებოდნენ და ალაგ-ალაგ ელვტავდნენ ქრისტიანებსა, რომელთა რიცხვი მთელს მცირე აზიაში არ აღემატებოდა 25,000 — 30,000 სულს; ქრისტიანების საშვე-ლად ევროპიიდგან წამოვიდა მეორე ჯვაროსანთ ლაშქარი

(1137 წ.), მაგრამ ამათ ბევრი ვერაფრით უშველეს თვის მოძმეთა, რადგან ამ დროს მძინვარებდა მისირის (ეგვიპტის) სულტანი სალაღინი, რომელმაც ქრისტიანნი საშინლად დააპარცხა ტიბერიალის ტბასთან და შემდეგ ამისა იერუსალიმიც აიღო. ამ ამბავმა საშინლად ააღელვა დასავლეთის ეროპიელნი. ძიდე დაიწყეს მზადება. პირველად გაილაშქრა (1190 წ.) ბერმანის იმპერატორმა შრიდრიხ ბარბაროსმა, რომელმაც ვერ მიაღწია პალესტინამდის და ერთ მდინარეზე (მცირე აზიაში) გადასვლის დროს წყალში ჩავარდა და დაიხრჩო. მეორედ გაილაშქრა საფრანგეთის მეფემ შილიპე-აგვისტომ და რიჩარდ ლომ-გულმა, მაგრამ გზაზედ ამ ორთა შუა უთანხმოება ჩამოვარდა, რისგამო პირველი უკანვე დაბრუნდა და რიჩარდ ლომ-გულმა თუმცა მრავალ ჯერ გაიმარჯვა მაჰმადიანებზე, მაგრამ იერუსალიმი მაინც ვერ წაართო სარაცინთა. ამის შემდეგ კიდევ რამდენიმე ჯერ ევროპიელთ გაილაშქრეს პალესტინის განსათავისუფლებლად, მაგრამ ვერა გააწყეს-რა. პირიქით 1291 წელს სულ მთლად ქრისტიანთ კუთვნილება მცირე აზიაში გადავიდა მისირიის სულტანის განკარგულებაში. (Ист. Шлецера т. I).

ამ ომების გამო სარაცინთა, დასტოვეს შორეული ქვეყნები და გაეშურნენ პალესტინისკენ. აი მიზნები, რომ საქართველოც სრულიად განთავისუფლდა სარაცინთაგან, რომელნიც მცირეოდენად დაშთენილნი საქართველოში, მძლავრის მეფეებისაგან (ბაგრატ III, ბაგრატ IV¹) და

1) ამან შემწეობა აღმოუჩინა აგრეთვე იერუსალიმის ტაძრებსაც, მეტადრე ეგვიპტის მონასტერსა. სახე ბაგრატისა გამოსახულია იერუსალიმის ეგვიპტის მონასტრის კედელზე. ბაგრატს ასრე აწკობს ანტონი I:

ღაერთ III) სრულიად განდევნილ იქმნენ საქართველოდგან. არაბთაგან განთავისუფლების შემდეგ ხსენებულთა მძლავრთა მეფეთა შეაერთეს მთელი საქართველო, და მისცეს ხალხს შეძლება შინაური აღორძინებისა.

ეს გარემოება იყო მიზეზად, რომელ ქართველთ აღმოჩინეს შესანიშნავი ნიჭი ეკკლესიათა და მონასტერთ გამშენებრებისა და განათლებისა.

ქართველნი შინაობაში რომ განმტკიცდენ, ახლა შეუდგნენ საქვეყნო საქმეს, ჩვენ ვამბობთ ქართველთა ჯარის მონაწილეობას ჯვაროსნების ომში. ორ-გზის ქართველნი წარემართნენ იერუსალიმისკენ, მაგრამ ერთჯერ შეემა ზღვამ იმსხვერპლა ქართველ ჯვაროსანნი, ხოლო მეორედ იბრძოლეს მტერთა ზედა მეროპიის ჯართან ერთად. ამით არ იკმარეს ქართველთა. ჩვენი ეკკლესიის წარმომადგენელნი მეფეების (მეტადრე ღაერთ III-ის) მოთავეობით შეუდგნენ ბრძოლას მრავალთა მწვალებელთა სწაელასა და მტერთა შრისტესთა.

როდესაც პალესტინა და, საზოგადოდ, მთელი მცირე აზია

«ბაგრატ მეოთხე, ძე გიორგი პირველის, მეფე აფხაზთა, მშენიერ მორფ-ნაკვეთით თილოსოფოსი, ბრძენი, ქრისტეს მოყვარე, კესარის მზახლე, კურატ-პალატ სევასტის, შვებული ომთა, არ განუცდელ მხედარი. ამისსა დროსა მეფობისთა განბრწყინდეს, გიორგი დიდით, ღვთივ-მეტყვე-თილოსოფოსნი, გარნა ქართველნი, სოფლის კიდეთა მნათნია. (იხ. წყობ. სიტყ. მუხლ. 568 და 569).

ბრძოლის ველად გადაიქცა და ყველას ყურადღება მიქცეული იყო ქრისტეს საფლავისადმი, მაშინ საქართველოში გამოჩნდნენ მრავალი პირნი, რომელთა ყოფა-ქცევა არ შეესაბამებოდა ქრისტიანებრივს სწავლასა. ამ ამათ წინ აღუდგა ღვთისმეტყველთა III. ღვთისმეტყველთა მოახდინა სასულიერო კრება და განწმინდა ქვეყანა მრავალთა ქრისტეს სჯულის წინააღმდეგთა სწავლათაგან; ღვთისმეტყველთა ბრძოლა ჭაუშართა აგრეთვე მონათესავე იტყურ სწავლას სომხის ეკლესიისა და როდესაც სომეხთა წინააღმდეგობა აღმოუჩინეს, თვისის ძლევა-მოსილის ჯარით შევიდა სომხეთში, აიღო სატახტო ქალაქი ანი, ¹⁾ სადაც მოახდინა სასულიერო კრება განათლებული ქათოლიკოზის იოანეს თავმჯდომარეობით და იუალთოს განათლებულის ეპისკოპოზის არსენის, მურემ მცირის და იოანე ტაიჭის თანადასწრებით. ამ კრებას უნდა შეერიგებინა სომეხ-ქართველთა ეკლესია და სომეხნი დაეყოლია ჩვენთა ეკლესიის სწავლის მისაღებად. მაგრამ ეს კრება და აგრეთვე შემდეგში (1147 წ.) ალბანეთის კრებანი უნაყოფოანი გამოდგნენ, რადგან სომხის ხალხი ღრმად იცავდა ბრიგოლ განმანათლებელის ტახტსა და სწავლასა.

დასასრულ ღვთისმეტყველთა, რომ: მეფე ღვთისმეტყველთა III მოღვაწეობდა ქართველთა ივერიის, იერუსალიმის, სინაის, კვიპრის მონასტრებისთვისაც, რომელთაც შესწირა დიდი განძეულობანი და მამულნი; მ. სინაის მთაზე მან აღაშენა წმ. მკატერინეს ტაძარი და დასვა იქ მიტროპოლიტი. ღვთისმეტყველთა აღაშენა ტრაპეზუნტს მონასტერი, დიდი ლავრა, სახელსა

¹⁾ ღვთისმეტყველთა აქ მყოფობის დროს ააშენა დიდი საკრებულო ეკლესია, რომელზედაც არის მრავალი ქართული წარწერა.

ზედა სუმელის მონასტერი, რომელსაცა შესწირა მამულნი და სხ. შემოსავალნი; აგრეთვე ააშენა ეკლესია ალევს და ლომსიას (ღუშეთის მხარეს), მოქეს, ნათლის-მცემლის უდაბნო შარაიასა, მარტო-მყოფისა ანტონისა, ქაეთისხევის მონასტრის საკრებულო ტაძარი და მრავ. სხ.

ღავით აღესრულა ¹⁾ 1125 წელსა ქრისტე-სით. მრავალთა მოღვაწეობათათვის, მამულის მტერთაგან სახელოვანად დაცვისა და განთავისუფლებისათვის, აღშენებისათვის ეკლესიებისა, მონასტრებისა, ქალაქებისა და ციხეებისა. მეფე ღავითი წოდებულ იქმნა აღმაშენებელად და წმიდანად შერაცხილ. ღვობა 28 იანვარს.

¹⁾ იქმნა დასაფლავებული მეტე ესე დაკითრ გაენათის მონასტრის სახარეთის შემოსავლის კარის ბჭესა ქვეშე. შემდეგ, როდესაც შერაცხილ იქმა წმიდათა შორის, მაშინ მისი გვამი მოწიწებით აღმოსავენეს და წმიდა ნაწილნი მისნი დაკრძალეს გაენათის საკრებო ტრაპეზსა ქვეშე. საფლავის ქვა საფლავისავე ადგილსა დაუტევეს. ამ ქვის სიგრძე 4 არშინი და 6 ვერშოკია, სიგანე 1 არშინი და 12 ვერშოკი, ზედ არის წარწერა, რომელიც მოგვითხრობს:

«როს ნაჭარმაგვეს მეფენი შვიდნი შე პურად დამესხნეს,
თურქნი, სპარსნი და არაბნი სამზღვართა გარე გამესხნეს;
თევზნი ამერთა წყალთაგან იმერთა წყალთა შოამესხნეს,
აწე ამათსა მოქმედსა გულზედან ხელნი დამესხნეს».

წმიდისა ამის და განათლებულისა მეფისაგან დაგვშთა:

«გალობა სინანულისა» და «ანდერძი», რომელშიაც, სხვათა შორის. მოხსენებულია შემდეგი: «მივეც (შვილსა დიმიტრის) დროშა ზემი სვიანი და ახფარნი ჩემნი სამეფონი და საჭურჭლენი ჩემნი ზე-მონი და ქვემონი; ხოლო დრჳკანნი კოსტანტინე ცვატას, ხოლო ჩემნი ღალნი და თვალ-მარკალიტნი ნახულის ღვთის-მშობლისად შემიწირავს,

დასასრულად ამ თავისა მოკიყვანთ ცნობებს დაკითხვან მოწვეულს სასულიერო პირთა კრების განაჩენზე ანუ ძეგლის წერაზე წმიდისა კრებისა, «რომელი შემოკრება ბრძანებითა კეთილ-მსახურისა და ლეთივ-დაცულისა მეფისა ჩვენისა დაკითხვასათა და ქართველთა, რანთა და კახთა მეფისა» (ასრეთი სათაური აქვს ამ განაჩენს ისტორიაში).

ამ ძეგლის წერაში ვრცელი შესავალის შემდეგ მოყვანილია ცნობანი სასარების გავრცელებაზე მსოფლიოში საზოგადოოდ და ანდრია და ნინოსაგან საქართველოში კერძოდ: შემდეგ მოყვანილია ცნობანი მსოფლიოთა და კერძოთა კრებათა დადგენილებებზე.

საკუთრად დაკითხის კრებაზე იმავე ძეგლის წერაში არის ნათქვამი: «ესე გვირგვინოსანი, მრჩობლი მარჯვენე და სასურველი დაკით, რომელი ესე ერთბაშად მხნეცა არს და ბძქენ, მართლ და წმიდა, მუედროცა და მშვიდ, სახიერ და ტებიდ, მოწყალე და ძვირ-უხსენებელ და მიმსგავსებულ სახიერებისა ლეთისა. ესე ვინამდგან გარეშეთა ბრძოლათა შინა წინა-დაუდგრომელობით და გარეშისა საქმისა ქმნულებითა სხვათა კაცთაგან შესწორებად შეუძლებელ იყო; ამისთვის მან შემოკრება კრება ღვთის მოყვარეთა უპისკოპოსთა, პატროსანთა მღვდელთა და ღირსთა დიაკონთა, ქრისტეს მოყვარეთა მონაზონთა,

ხოლო დეკატი და ბოტენატი ატენისა საჭურჭლისა, იგიცა ჩემის სიხსლითა მოგებული...» ნიკ. ტფილელი ამბობს წმ დაკითხე:

აოქრო ნილოსით, მრწამსი-სიბრძნით ქართველთა

ღრმად გამომეტყვი, კაპანთ-მინდორ-მყოფელი.

მესხთა მთიები, იმერთა მთოვარე;

მზე გურიულთა, უდიმართა ცისკარი;

სვანთა, აფხაზთა ლიფლიფი, კახთა ნათელი“.

დაყუდებულთა და მეუღაბნოეთა სანახებთა ქართლისათა მახლ-
ბუჯად ორთა სუპისკოპოსოთა: რუისისა და უჩბნისისა...
საეკლესიოთა და სამღვდელთა და საჭრისტიანოთა ძიებათა
თვის... თაჲ და წინამძღვარ კრებისა მის იყო ილანუ, ყოვლად
ღირსი მთავარ-ეპისკოპოსი, ქათოლიკოსი და ყოვლისა საქა-
რთველოისა დიდი მამათ-მთავარი, (საქარტუ, სამოთხე, გურ.
518—528).

თვით განაჩენი კრებისა:

ა. პირველად ეპისკოპოსნი ანა ღირსებით შემოსილნი
ჰატოესს მღვდელთ-მთავარბისასა და უღირსნი ქრისტეს პირ-
ველისა მწყემსთ-მთავრისანი განკვეთებით და უცხო ვევენით
მღვდელბისგან. ხოლო ანა კრულ-ვევენით და ანა შევანვენი-
ნით, ნუ იყოფინ, ანამედ ლიტონია ერბს კაცთა თანა ზა-
რებად ვევენით.

ბ. ამასთანავე განვაწყსეთ, რათა ამიერთგან არღარავან
იყადროს ქმნად, თვინიერ ვითარ იგა განაწყსებს კანონი, რა-
მელ ეპისკოპოსი 25 წლისა, მღვდელი 30 წლისა, დიაკონი
25-სა და წიგნის მკითხველი 8 წლისა ხელ-დასსმულ იქმნებო-
დაინ.

გ. ხოლო წესი ხელ-დასსმადთა სრულებისა ეგრედ აღე-
სრულებოდედ, ვითარცა ახალთა შინა გურთხევეთა ნეტარ-სსუ-
ნებულისა მამისა გიორგი მთაწმინდელისათა დაწერილ არს.
ეგრეთვე გურთხევა ეკლესიისა, დაშუარება საგურთხეველისა და
წმიდა-ყოფა ღმერთ-მყოფელისა მიწონისა, ეგრეთ სრულ იქ-
მნებოდედ, ვითარცა მუნ შინა მოხსენებულ არს.

დ. ხოლო ქრთამისათვის და საჟასისა, რომელსა მიი-
ღებენ ხელთ-დასსმელნი ხელთ-დასსმადთაგან, წმიდათა მოცი-
ქულთა და მამათა მოცემისა მებრ, განჩინებად ვიგადრეთ ჩვენცა

წათა მონაშროს. ეგე ვითარც იგი ეგველსიისაგან და აღიხ-
 ცოს ძღუდელობისაგან, რომლისა ქმნა ნურღაწამცა ვის უკად-
 რებოეს და ნუმცა მიიღებენ ნურცა ქრთამსა. ნურცა ძღვენსა, ნუ-
 რცა ევლოგიასა, ნურცა ქათოლიკოსი. ეპისკოპოსთაგან, გინა
 ხურცეს-დიაკონთა და ძღუდელთა და ქარ-ეპისკოპოსთაგან; ნუ-
 რცა ეპისკოპოსნი დიაკონთაგან, ნურცა რომელიმე სსკათა დასი-
 სავანთა ანუ საეკლესიოთა მნეთაგან.

ე. მერმეცა სამღუდელოთა ჭურჭელთა და ღვთისა შეწი-
 რულთა სიწმიდეტათვის, რომელ არიან ბარძიმ-თეშს-უმი, სა-
 მწიწრობელნი და უოველივე ეგველსიათა შეწირული და ერთგვის
 ღვთისადა მიცემული ოქრო, ვეცხლი, თვალი, მარგალიტი,
 ტიქა, სტავრა ნაქსოვი, სინი, რვალთ, რვინა, ძელი, გეტი,
 ქვა. ამას განვაწესებთ შედგოთა წმიდათა კანონთა, რათა არა
 ვის ხელეწიფოს ხმარებად მისი არა რად, არცა ტყვეთა სა-
 ხსრად, დაღათუ ცუდადცა და უხმარად მდებარე იყვნენ.

ვ. ამასთან ესეც მოვიხსენებთ ვითარმედ თვინიერ ეგველ-
 სიისა და საეუროთხეველისა არცა სათლას, რემა შესამღებულ
 არს, არცა გვირგვინისა გურთხევა, არცა მონაზონისა ეპისკო-
 ლითა, გინა სქემითა გურთხევა გურთხევა და არცა მონაზონისა
 ხურცესსა გვირგვინთა გურთხევად ხელეწიფების, არცა კრისავანსა
 ძღუდელსა მონაზონისა გურთხევად.

ზ. კვლავდ ამსცა განვისაზღვრებთ, რათა ამიერიდგან არ-
 ლარა ეკურთხებოდინა გვირგვინნი ხივილთა ქალ-ურმათა, არა-
 მუდ უკეთუ საჭიროდ რადმე იყოს მშობელთა მიმართ დიდად,
 დაუწინდენ იგი ურთიერთარს და რაჟამს ასაკად მოვიდნენ ორ-
 ნივე, მაშინ იქორწინონ და ქალი ათორმეტისა წლისა უმცროსი
 ნუმცა შეეყოფილ არს ქორწინებით მეუღლისადა.

ზ. ქათოლიკოსი, ეპისკოპოსი და ქორ-ეპისკოპოსი სჯულისა და საღმრთოთა წიგნთა მეცნიერი გამოიჩინოდნენ მღვდელთა ანუ დიაკონთა შიშითა ლუთისათა ემცნებოდნენ მას ფლობად და დაცვად ყოველთავე საჭრისტიანოთა წესთა, რათა არა რა მათგანი განსცეს ქრთამისათვის, არცა რა განუიდოს ვეცხლად.

თ. შემდგომად ამათსა ამასაცა სათანადოდ ვგონებთ მოსხენებად გინადგან მოძღვრად წოდებულთა მათ მონასტრთა ფრადი და აღუწაცხელი არს სიმრავლე და ერთსა მონასტრთა შინა რვანი და ათნი, მრავალ-გზის რცნიცა და რცდა ათნი იპოებიან; დიდი თუ იუოს მონასტერი და მრავლის შიფრთისა და განხეთქილებისა მიზგუსსა შემოიღებს სიმრავლე მათი, ამისთვის განვჩინეთ, რათა დიდთა მონასტრთა შინა რორი, სოლო მცირედთა თვითო ვმა იუოს მოძღვარი.

ი. წესი იგი, რომელსა ვრებულთა დასსმად უწესენ, ნულარამცა კადრებულ არს ქმნად ამიერიდგან, ნუცა მონასტრთა შინა ქმნა სავაჭროთა ერის-ვრებათა, ნუცა რა სხვა სამოქალაქო და სასოფლო წესი ქმნილ არს მონასტრთა შინა.

კ. სოლო ერთსა საგურთხეველსა და მასვე ერთსა წინადაგებასა ზედა წმიდისა შესაწირავისასა მრავალთა სულთათვის მრავალთა მღვდელთა მიერ ქმნა წმიდისა ჟამის წირვისა უწესო არს და განგდებულ, რომელი ესე ნულარამცა სადა ქმნილ არს, უფროსლა თავად საგურთხეველსა დიდისა ეკლესიისა საეპისკოპოსოსსა, გინა მონასტრისსა, ერთისა არავისთვის წეს არს ჟამის წირვად არადეს, არცა ცოცხლისა, არცა მიცვალებულთათვის, თვანიერ აღაშთა და სულისა სახსენებლად განჩინებულთა დღეთსა; არამედ მის ეკლესიისა მასენებულთა და შემომწირველთა და ერთბაშად ყოველთა ქრისტიანეთა ცოცხალთა

და მიცვალებულთათვის ჟერ-არს უძმის წირვა; ხალხ ერთისა კაცისათვის ანუ ერთისა სულისათვის ეკვტერთა სადმე შინა ანუ შტოთა ვკვლესიისათა ჟერ არს თვითულისა ხუცესისაგან უძმის წირვა.

დ. რომელნიცა სომეხთგანნი წმიდასა კათოლიკე ეკვლესიასა შეერთებულან... ესრეთ განვაწესეთ მათთვის: რათა სრულად ნათელ-სტემდენ, კინადგან სხვადა დიდთა ეკვლესიათა კზოკებთ მოჰქედად აძმისა, ვითარ იგი არს სავატრიარქო საყდარი ანტიოქიისა და ყოველნი მიმდგომნი მისნი ეკვლესიანი აღმოსავლეთისანი.

მ. კვლად განვაწესეთ, რათა არცა მართლ-მადიდებელი მამა-კაცი მწვალებულსა, გინა წარმართსა დედა-კაცსა, ანუ დედა-კაცი მამა-კაცსა შეუღლდნენ, კინადგან ყოველნი მართლ-მადიდებელნი ტაძარ არნ ღვთისა; ხალხ ყოველი ბოროტად მადიდებელი ანუ ყოვლად არა მადიდებელი ტაძარ არს ეშმაკისა...

ნ. კინადგან ესეცა უწესოება მრავალთა მიერ აღსრულებად გვესმა უფროსლა დიდთა კიეთთაძე და წარჩინებულთა და არა ლიტონთა კაცთაგან, რომელ არს არა ერთგან კურთხევა გვირგვინთა ჭარწინებით ერთ-სორცა ქმნადთა მეუღლეთა, რომლისათვის განუსაზღვრებთ, რომელნიცა მოაქამდე ესრეთ კურთხეულნი ყოფილ არიან და გარდასრულ არიან, იგინი შენდობილ არიან უმეტრებისათვის; ხალხ უკეთუ აწ სადმე იზოკნენ კინმე ებე ვითარნი, იგინი სჯულთადად ცოლ-ქმრად ნუმცა შერაცხილ არიან.

ა. მერმეცა ღვთიერ-მოძებულისა მის და ღვთის განმამწარებელისა ცოდვათა უბილწესსა საძაგელებისა სოდომელთასა, რომლისა არა ვუწყით, თუ ვითარ შეეთვისა იგი უბადრუკსა

ამას წათესავს და სრულიად განაშორებს და უცხო ჰქვია ღვთი-
საგან... უოველმან სუფიან ქრისტიანემან მართლ-მადიდებელმან,
რომელმან შემდგომად ამის ძეგლისა წარკვიისკისა არა იჴმნას
ბილწისა მის ცოდვისაგან... ჳი, ჩვენდა არღარა გურთსევა,
არამედ კდე მად და მხილება დაიმკვიდროს საუგუნოდ!

თამარის მოღვაწეობა.—აშენება ვარძიის მონასტრისა და სხვათა ტაძართა.—ცნობანი ქართველთა ტაძარ-მონასტრებზე იერუსალიმს, სინას, საბერძნეთს და სხ.—დაარსება ტრაპეზუნტის იმპერიისა.

ბედნიერი დღენი საქართველოს ჰქონდა დიდისა და უძლეველის თამარის მეფობის დროს. მან თვისის გამჭრიახობით და სიბრძნით მტკიცედ შეაერთა და შეაკავშირა ყოველნი ქართველნი. მაჟკაც მხედართა გონიერად მოხმარებით დაიპყრა ყოველნი მიდამონი შავი და ქასპიის ზღვისანი და შიშის ზარი დასცა ოსმალთა (თურქთა), სპარსელთა და სხვათა. თამარმაც დაიპყრო მცირე აზია ¹⁾ და დააარსა აქ ტრაპეზუნტის იმპერია, რომლის

1) შიზეზი ამისა იყო ბერძენთა იმპერატორი ალექსი ანგელი, რომელმაც თვისის სიზარბისა-გამო თამარისაგან დასაჩუქრებულთ ბერძენთა ბერებს წაართვა ყოველივე, რაც მიჰქონდათ საქართველოდგან თამარის ბრძანებით იმერთა ჯარნი მიუხდენ ბერძენთა და ერთი შეტევით აიღეს ტრაპეზუნტი, ლიმონი, სპმსენი, სინოპი, კერასუნდი, ქიტორა, ამასტრია, ღერაკლეა პაფლაღონით და პონტი. აქ თამარმა, როგორც ვსთქვით, დააარსა ტრაპეზუნტის იმპერია (1204 წ.), რომელიც არსებობდა 1461 წლამდე. ტრაპეზუნტი აღშენებულია ბერძენთა—

გამგებელად დასვა თვისი ნათესაეი, ძველადგან საქართველოში გადმოსახლებული ბერძენთა იმპერატორთ ჩამომავალთაგანი ანდრონიკაშვილი. ასეთი სიძლიერე ჰქონდა ოამარსა გარეშე საქმეებში.

რაიც შეეხება ოამარის მოღვაწეობას ქართველთა ერის წინ-სვლისა და წარმატებისათვის, ამის აღწერას და დაწვლილებით გამოძიებას მეტად დიდი ღრო მოუწდება, ამიტომ ჩვენ აქ აღენიშნავთ მხოლოდ ამ საკვირველი დედაკაცის უმთავრეს საქმეთა და მოღვაწეობათა.

ზამეფებისავე თანა ოამარმან, როგორც პატრონმან და მამამან ქვეყნისამან, წინ წამოაყენა და მფარველობა დაუწყო ყოველთა ნიჭიერთა და სწავლა-მეცნიერებით აღჭურვილთა პირთა. რაც ძალი და ღონე ჰქონდა ყოველი მეცადინეობა იხმარა მიეცა მათთვის შეძლება, რათა თვისი სწავლა და გამოცდილება კეთილად მოეხმარათ მამულის წარმატებისათვის. ამნაირის მფარველობის და მამობრივი სუკერულის გამო¹⁾ საქართველოს გამოეზარდნენ შესანიშნავნი და უკვდავნი მოღვაწენი, როგორც სამხედრო წოდებაში, ისე საეროში და სასულიეროშიაც. იოანე და ზაქარია მხარგრძელები—სპასალარნი საქართვე-

გან. იმპერატორმა აღრიანმა გაათხრევიან აქ დიდი ნავთ-საყუდელი. ეს ქალაქი ერთ ღროს ეჭირათ გოტებსა, მემრე ორ საუკუნეს გენულებსა და იყო და არის ეხლაც სავაჭრო ქალაქი.

1) არ შეგვიძლიან აღენიშვნელად დავტოვოთ ის გარემოებაც, რომ ოამარის გამეფებამდის წინა მეფეებისაგან უკვე რამდენათმე იყო მომზადებული ის ნიადაგი, რომელზედაც ნიჭიერმა ოამარმა აღმოაცენა და დაამკვიდრა ძლიერი სამეფო საქართველოსა, ერთად ერთი ნავთ-საყუდელი მაშინდელი ღროის აზიის ყველა ქრისტიან ერთათვის საზოგადოდ.

ლოს ჯარისანი, შოთა რუსთაველი, ჩახრუხაძე, შავთელი და იმ დროინდელი გუნდი სასულიერო წოდებისა უკვდავნი არიან ქართველი ერის ისტორიაში და სახსენებელი მათი საშვილი-შვილოდ გადაიცემის. თამარის დრო (1184—1212 წ.) ოქროს ეპოქად არის ჩაწერილი საქართველოს ერის ისტორიაში.

მს. დრო ჭეშმარიტად იყო დრო ქართველთა სულიერის და ზნეობრივის ზრდისა და წარმატებისა. ამ დროს დაიწერნენ უკვდავი თხულებანი, იქმნენ საკვირველნი ძლევანი მრავალთა საქართველოს მტერთა ზედა, გაშენდნენ ქალაქ-დაბა-სოფელნი, ¹⁾ დიდნი და მრავალნი ტაძარ-მონასტერნი და მათთან ერთად სკოლანი ხალხის გასანათლებლად, გაყვანილ და გათხრილ იქმნენ რუნი, არხნი ²⁾ ურწყავ ადგილების მოსარწყავად და მოსაშენებლად; ქვეყნის დასაცავად მტრების შემოსევისაგან მაღალ მთების მწვერვალთა ზედა აგებულ იქმნენ კოშკნი, ციხენი, თხრილნი, გამოქვაბულნი, საკვირველნი გალავანნი და კარები; ეკლესიის საქმეების განსაწმენდელად და გასაუმჯობესებლად მცხეთაში მოწვეულ იქმნა კრება სასულიერო პირთა,

1) სხვათა შორის, თამარმა ააშენა ქალაქი თამარა-შენი ლიხვის ხეობაში. ეს ეწლა სოფელია. ააგო სამების ტაძარი ალაზნის მარცხენა ნაპირზე, დაბა ალვანში, საცა მას ჰქონდა მშვენიერი სასახლე. დაასრულა აღშენება ვარძიის კლდეში გამოკვეთილი მონასტრისა, აგრეთვე გაამშვენიერა გაენათის მონასტერი და სხ.

2) უველაზე დიდი არხი, მისგან გაყვანილი, იყო ის არხი, რომელიც ალაზნიდამ შირაქის ურწყავ ადგილების სარწყავად გაყვანილი იყო. ეწლა არხი გაუქმებულია და რამდენიმე მილიონი მანეთი დასჭირდება მის განახლებას.

რომელნიც ჩინებულად აღზრდილ იყვნენ ბრძენის ბიორგი მთაწმიდელის სკოლაში—თბილისში.

ჩვენი მონასტერ-ეკკლესიანი იმდენად მდიდარნი და განწყობილნი იყვნენ, რომ თამარი საზრდოს მიაწვდიდა ხალხმე ბერ-მონაზონთა, მონასტერ-ეკკლესიათა უცხო ხალხთათა: ბერძენთა, ასურელთა და სხ. თამარმა აღაშენა, განაახლა და შეამკო ტაძარ-ეკკლესიანი ქართველთა აგრეთვე პალესტინას იერუსალიმს, პეიპრეს, ანტიოქიას, ათონს, საზოგადოდ საბერძნეთს და მცირე აზიას. შველა ამათ ხაზინის მიწვდის გარდა «უყიდნა შესაუალნი და შესწირნა მამულნი და სოფელნი.»

შემდეგი მშენიერი ეპიტაფია მოკლედ გადმოგვცემს მთელს შინაარს თამარის მოღვაწეობისას:

«უბის ჯვგე საყდარი, უწყლასა წყალი ჯადნი;
ისჰანს დავსდევ ბეგაჲ, სტამბოლს ხარაჯა ჯიდე;
თეთრს ზღვაში რკინა ჩავაგდე, სმელეთი ჩემსკენ მოვიგდე;
ამდენი საქმის მოქმედმან ცხრა ადგი ღრღო წავიდე.»¹⁾

1) თამარი აღდგურულა 1212 წ. 18 იანვარსა და ვმარსის გარდაცვალების დღეებულს მონასტერში.

თამარის თულზე აწერია შემდეგი:

«დედოფალი მალაღ-ხარისხოვანი...»

«დიდება სოფლისა და სარწმუნოებისა...»

თამარ, ასული გიორგისა,

ამ თავის დასასრულში მოვიყვან ცნობებს იმ მოწასტერ — ტაძრებზე, რომელნიც აქენდათ ქართველებს გარეშე საქართველოისა. ¹⁾

ა) ჯვარის მოწასტერი იერუსალიმში ¹⁾ აღშენებულს მეოთხე საუკუნეში მირიან მეფისაგან. შობიძებოა მისთვის ადგილი დიდს პოსტანტინეს, ბერძენთა და რომთა მეფესა. მაგვე მოწასტერი და სხვანიცა განამდიდრა მეფე ვახტანგ ბორჯასლანმან და მეფე ბაგრატ III-მან საფუძვლითგან განაახლა, განამშენა და შესწირა მას დიდი მამულები საქართველოში. ამავ მოწასტრისათვის მრავალი იღვანა შავთის მცხოვრებმა ბერმა პროხორემ, რომელიც სიკვდილამდის სცხოვრებდა იერუსალიმში, ჯვარის მოწასტერში. როდესაც მოწასტერი დაძველდა, მაშინ იერუსალიმს მივიდა მოხუცებული შოთა რუსთაველი, დამწერი «მეფისის ძეგლისა» და დაადგრა ჯვარის მოწასტერში;

შემდეგი მესხისა

დემეტრე ადიდოს ძეგვანი მისნი.

(იხ. ნუმизმ. ვარათაევა).

1) მშვენიერი და დაწვრილებითი ცნობანი საზოგადოდ ყველა ტაძრებზე და კერძოდ ქართველებისაზე აღუწერიბ ეპისკოპოსს პორფირის თავის წერილში: „О надписи въ Іерувалимѣ и др. мѣстахъ православнаго Востока.“ ქართველი ტაძრებზე ნაჩვენებ წარწერანი (ამ წერილში) განუხილავს პ. იოსელიანს და აღუბეჭდის „საქართველოს მახარებლის“ ნომერის №-ში 1865 წლისა.

1) ამ მონასტერს დღესაც თბილისში აქვს თვისი კუთვნილი საყდარი (მეტოქი), წოდებული «ჯვარის მამად», აგრეთვე მიიღეს სა-

მას განუახლებია იგი და შეუწირავს მისთვის «მრავალი სიმდიდრე» და „თვითცა ვიდრე გარდაცვალებამდე თვისსა ყოფილ-არს მუნ, ლოცვითა და ვედრებითა ლეთისა მიმართ აღსრულებულ არს და მუნვე ჴვარის მონასტერსა შინა დაფლულ არს, სადაცა სახელიც მისი არს მუნვე კედელსა ზედა დახატული და ჰგიეს ვიდრე მოღღეინდელად დღემდე.

ბ) იაკობ ალფეზის ათორმეტთა მოციქულთა მონასტერი აღუშენებია ბიორგი I-სა, საქართველოს მეფესა. „ზარაფხანა მეფეთა მუნ ყოფილა ამ მონასტერსა შინა... ქრთამის მიცემითა თურქთა ეს მონასტერი წაართვეს ქართველებს და მისცეს სომეხთა.“

ბ) წმ. ნიკოლოზის მონასტერი ძახთ-დედოფლის მღენესაგან (მლისაბედი) არის აშენებული: ტიმოთე მითროპოლიტი თავის მოგზაურობაში (128 გვ.) სწერს ამ მონასტერზე: „წმიდის ნიკოლოზის მონასტერი ძახთა დედოფლისა, მღენე ყოფილისა მლისაბედისაგან ¹⁾ აღშენებულია; წმ. ნიკოლოზ თვით მჯდარა მუნ; სენაკი მისი მუნ ყოფილა.“ მკკლესიის კანკელზე შემდეგი წარწერაა: «წმიდაო ნიკოლოზ, მეოხ-ექმენ წინაშე ძრისტესსა ძახთა

ქართველოში მიწები, ბაღები და მამულები: ყველა ამას განაგებს ბერძენი არხიმანდრიტი, რადგან ჯვარის მონასტერი იერუსალიმში ესტა ბერძენთ ხელშია.

¹⁾ ელენე იყო დედა მეფის გიორგისა, რომელიც აგრეთვე აწოდებოდა ლეონად. ქმრის სიკვდილის შემდეგ ელენე 1492 წ. მოლოზნად შეიმოსა და წარვიდა იერუსალიმს და იქვე აღესრულა.

დედოფალსა შლენეს, ყოფილსა შლისაბედსა (იხ. Родъ княз. Челобаев. გვ. 23, 3. იოსელი.).

დ) წმ. აბრაამ მამათ-მთაერის მონასტერი, სადაც ისააკ შესწირა მამამან მისმან? ტიმოთე ამბობს (157 გვ.), რომელ თავადს აბაშიძეს ბიორგის დარღვეული ესე მონასტერი განუახლებია ახალს საუკუნოვებშიო. ამასვე ჰმომოვობს წარწერა: «ესე მონასტერი მამათ-მთაერის აბრაამისა განახლებულ არს საფასითა იმერლის ბიორგი აბაშიძისათა 1700 წ.»

მ) წმ. იოანე მახარებელისა და მოციქულისა და ლეთის-მეტყველისა მონასტერი აღუშენებიათ საათაბაგოს ათაბაგებს. ეს ყოფილა დედათ მონასტერი და აქ ცხოვრებულან ქართველნი მოლოზხანნი, ხოლო ეხლა ფრანგთა უპყრიესთ. ამაზედ არის წარწერა: «ქრისტე ლმერთო, შეიწყალე იოანე მსანაძე.»

მ) ვასილის მონასტერი ჯვარის მონასტერთან ახლოს აღუშენებიათ ამირინდო ამილახორს და თაყას.

ზ) მეორე წმ. ნიკოლოზის მონასტერი ჯვარის მონასტერთან ახლოს აღუშენებიათ პაატა და ძაიხოსრო წულუკიძეთ,

ც) წმ. თეოდორეს მონასტერი აღუშენებიათ ბეჟანს და ბაადურ ჩოლაყაშვილებს (ტიმ. 157 გვ.). წარწერანი მოგვითხრობენ: «ჩოლაყაშვილსა შადორსა და მათთა ძმათა და ძმ-ს. წულთა ცოდვანი მათნი შეუწინეს ლმერთმან. ამან. წმიდარო თეოდორე შეუწინე ჩოლაყა... ანინ. მათ-

სა ყმასა შიოს შეუნდნეს ლმერთმან. ამინ.“ მეორე წარწერა: «ლმერთო და წმიდაო თეოდორე, შეიწყალე ირუბაქისძე... ლაყას შვილი ცოდვილი ბენა. მსე საყდარი აღუშენა ჩემთა მშობელთა შესანდობელად, რათა იქმოდენ აღაპსა თეოდორობის პირველსა შაბათსა წმიდათა მარხეთასა. ქორონიკონს ტკგ» (1635 წ.).

თ) წმ. პირველ მოწამის ქალწულისა თეკლას მონასტერი აღუშენებია ჯვარის-მამის არხიმანდრიტს ძრისტეფორე ზედგინიძეს და იმის მამეულთ ნათესაეთა.

ი) მონასტერი წმ. ბიორგისა შრიათ უბანში ღადიანთაგან აღშენებულია და «მოსახსენებელი მათი მუნვე არს.»

კ) მონასტერი მირქმისა დედათ მონასტერი აღუშენებიათ რაჭის მრისთაეთა.

ლ) წმ. ღიდისა მოწამისა ღიმიტრი თესალონიკელის მონასტერი აღუშენებია ძნის მრისთავს შალვას და სხ.

მ) მონასტერი დედათი წმ. ღიდისა ქალწულ-მოწამისა ეკატერინასი შანაკერტელის სიციშვილის ამილბარისა და მაჩაბელთაგან არის აღშენებული. თიმოთეს მისელის დროს (მე XVIII საუკ.) ამ მონასტერში უნახავს ილუმენია ანჩაბაძის ასული, ორი მოლოზანი: კახელნი, აგრეთვე იმერელნი და ყოველნივე მას მონასტერსა შინა მყოფნი ქართველნი.»

ნ) ბეთლემს არიან სამწირველონი ქართველთანი.

დ) ძლაქ იერისსოს (საბერძნეთში) ძველის ეკლესიის მარმარილოს ქვაზედ აწერია ქართულად: „წელსა... დეთივ-გვირგვინოსანსა მეფობასა მიხვილ პალეოლოლოსისა... აღიშენა ქართველთაგან.“ აქვე მაცხოვრის ერთ

დაძველებულ ხატზე პ. იოსელიანს წაუკითხავს: „ძრისტე შეიწყალე ცოდვილი წილკნელ ეპისკოპოსი ღვით, რომელმან მოვაწიე აქა ქარონიკონს კლ.წ. (1336 წ.)—1768—1778 წწ. აქ მჯდარა ქართველი ეპისკოპოსი ბაბრიელ ღვანკითელი, იმერელი 1)“.

მ) ათონის მონასტერ-ლაფრა, საცა იბარ გმნა სამღვთო წერილი, როგორც უკვე მოვიხსენიეთ.

აქვე მოვიყვანთ შემდეგ ცნობებს: ზემორე მოხსენებული პროხორეს ლუსკუმა ასენია ჯვარის მონასტერში და თვით პროხორეს სურათი-დახატულია მის კედელზე. აქვე ხატიან: მირიან, მახტანგ ბორგ-ასლანი, ბაგრატ III, ქათოლიკოსი აფხაზეთისა მაქსიმე, თფილისის მიტროპოლიტი ქლისე, მანგლელ არხიეპისკოპოსი სივოლოდორე, ბედიელი, ჯვარის მამა ნიკიფორე, მარიამ ქართლის დედოფალი, ღადიანი ლეონ თვისის მეუღლით, პატა და ძაიხოსრო წულუყიძენი.

აქვე ცხოვრებულან წმიდანი და გამოჩენილნი პირნი: მღვდელ-მოწამე მოსე ქართველი; მღვდელ-მოწამე მარი ქართველი, ღირსი მამა იოანე შირქიმელი, პეტრიწად წოდებული. ამას კახეთში, ქალაქ ბრეშში ჰქონდა სკოლა და ასწავებდა მოწაფეთა: ფილოსოფიასა, ღვთის-მეტყვე-

1) პ. იოსელიანი ამბობს (რედ. ვნ. ჯელ. გვ. 20), რომ ქალაქ იერისსოს შიდაში მე XI საუკუნეში ქართველია მეფეთ დასახლებეს 42 კომლი ქართველნი მონასტერთა ჯოგების მოსაველეად, მიწის შესამუშავებლად და ბაღების მოსაშენებლად. აწ ეს ქართველნი სრულიად შეერთებულნი არიან ბერძნებთან და აღარ გაიჩევიან მათგან.

ლებასა, ელინურსა ენასა, ასურულსა, არაბულსა და სხ. —
აქვე უცხოვრიათ მრავ. სხვათა მოღვაწეთაცა.

წამებულან მუნ:

20 იელისსა სალომე, რომელიც მიუღებლობისათვის
მაჰმადიანობისა შეუპყრიათ სარაცინთა, ცეცხლითა და მ-
ხელითა უტანჯავსთ და მოუკლავსთ.

19 მკტომბერს ნიკოლოზ ღვალი, რომელიც თურ-
ქთა დასწევს ცეცხლითა.

23 იელისსა მღვდელ-მოწამე ლუკა აბაშიძე, რო-
შელსაც მრავალი წვალების შემდეგ წარჰკვეთეს თაფი აფ-
თითა.

ბატონიშვილი თეიმურაზი თავის საქართველოს ის-
ტორიაში (გვ. 294) ჯვარის მონასტერზე მოგვითხრობს
შემდეგს: „არიან მრავალნი წიგნნი ქართულნი, თარგმნი-
ლნი ბერძნულთ, ასურულთ და არაბულთ ჩვენთა ღი-
რსთა მამათა ქართველთაგან, ჯვარის მონასტერსა უმრავ-
ლესნი არიან და იცვიან მუნ ვიდრე მოღვინდელად
დღემდე და სხვათაცა მონასტერთა შინა ქართველთასა იე-
რუსალიმს იპოებიან წიგნნი ქართულნი.“

1) თვით ათონის დიდებული «ივერიის ღავრა» ეხლაც უსამარ-
თლოდ უჭერიან ბერძენთა ბერებს და ქართველებს აღარც კი უშვებენ შიგ.
ქართველნი მოღვაწენი ეხლა იქვე შორი-ახლო ძველი მონასტრისა აშენე-
ბენ ახალს საეანეს. ხოლო ძველი თვისი საკუთრება—ივერიის ღავრა
მამართლით უნდათ დაიბრუნონ. ხელმწიფე იმპერატორმა ყოვლისა
რუსეთისამ, აღიქსანდრე აღიქსანდრეს ძე III-მ ბეჯითად მოისმინა საჩივარი
ქართველთ ბერთა, აღუთქვა შემწეობა და საქმის გათავებამდე დაუნი-
შნა ყოვალ წლიური საჩუქარი.

ჰველა ეს წიგნი, ხსენებულნი მონასტერნი და ეკლესიანი ეხლა უცხო ტომთ ხელშია მართველთ მოღვაწეთა ეს მონასტრები ოსმალთა დევნისა გამო სრულიად დასტოვეს. ღატოვება მათი მოჰხდა არა უწინარეს მე XVIII საუკუნისა. 1523 წელში მოგზაურს ნემეცს ბაუმბარტენს სოლომონის ტაძარში, სხვათა შორის, უნახავს ქართველნი მოღვაწენიც, რომელთაც ხარისხით და პატივით სჭერიათ მეოთხე ადგილი შემდეგ რომაელთა, ბერძენთა და სირიელთა. სანუტ I (Hist. des Croisades) ამბობს, რომ მარტო ქართველებს ჰქონდათ უფლება გაშლილ დროშებით უხარკოდ იერუსალიმში შესვლისა. იერუსალიმის წმიდა ადგილების მოსალოცავად მიმსვლელს ახდევინებდენ (სულზე): ლათინს 14 პიასტრსა (გროშსა), ბერძენსა 7-სა, არაბთა და მისიერიელთ 3, ხოლო ქართველთ და აბსიენიელთ არაფერს (იხ. Орелиг. и полит. соет. Грузии. მე XVII საუკუნეში, წერილი აკადემიკის ბროსესი).

საქართველოს მხარება სპარსთა და მონგოლთა-
 გან.—წამება: შალვასი, ათთა ბევრთა მოწამეთა, მეფე
 დიმიტრი თავდადებულისა.—გადაწვა ქვაბთა-ხევის
 მონასტრისა.—ფრანგობის მქადაგებელნი საქართვე-
 ლოში.—მოღვაწეობა მეფის გიორგი ბრწყინვალისა,
 ალექსანდრესი, დიმიტრისი.—განაწილება საქართვე-
 ლოსი სამ სამეფოდ და ხუთ სამთავროდ.—დამ-
 ხრება ბიზანტიის და ტრაპეზუნტის იმპერიათა.—
 პაპის მხედრეთ მეცბდინეობა ქართველთ გაფრანგე-
 ბისათვის.—სწავთაბავოს გამგებელად ინიშნება ვა-
 მანმაღიანებული ყვარყვარე თაშა.

თამარის მოადგილე მეფეთ ქვეყნისათვის და ქრის-
 ტიანობისათვის ზრუნვა არ ეხალისებოდათ. ეს იყო მიზე-
 ზი, რომ ხალხის მოძღვარნი და მსახურნი, მოკლებულნი
 მეფეთ წყალობას და მფარველობას, ზნეობითად დაეცნენ
 და შეიქმნენ ანგაარ და ვეცხლ-მოყვარენი. საუბედუროდ,
 ამავე დროს საქართველოს აღმოუჩნდნენ ახალნი მტერნი
 —მონგოლნი, რომელთაც ჩინგის-ყენის წინამძღოლო-
 ბით დაიპყრეს, თითქმის, მთელი აზია, რუსეთი და მოად-
 გნენ საქართველოსაც. პატარა ერი თუმცა მამაცურად
 შეებრძოლა გუნდსა მტრისასა, მაგრამ მისის სიმრავლისა-

გან იძლია და შეიხიზნა კავკასიონის მთის კალთებ-ღელე-
ებში. მტერმა გადასწვა და პირქვე დასცა ჩვენი ქვეყანა.
აღარც ერთი ტაძარი, აღარც ერთი შენობა ცოცხალი
აღარ გაუშვა; შიშით დიდებული მცხეთის სამთავრო ტა-
ძრისაგან დარჩა მხოლოდ მისი საძირკველი. პატივისცე-
მისათვის საკვირველის და დიდად ქებულის წმ. ნინოსი
დაუნგრეველ-გაუოხრებელი დასტოვეს მხოლოდ ბოდბის
ტაძარი წმ. მიორგისა ნინოს საფლავზე, შაგრამ ისიც არა
უვნებელად. მინც კი ქრისტიანნი ხელთ იგდეს, თავები
დასჭრეს და მათგან ააგეს სამკუთხიანნი გოდოლნი. ამის-
თანა სამწუხარო და საეალალო დროს, როდესაც, ჩემთვის
ცუნდრუკებდეს ყოველნი მტერნი ჩემნი, ჩემთვის ჰზრახვი-
დეს ბოროტსა“ (ფსალმ. 40—9), მეფე რუსუდანის შემ-
დეგ საქართველო ვაიყო ორ სამეფოდ: იმერეთისა და
ძარბაზისა; მალე დროში იმერეთის სამეფო განაწილდა
შემდეგ დამოუკიდებელ სამთავროებად: ოდიშისა (სამეფ-
რელო), ბურჩისა, აფხაზეთისა, სვანეთისა და ჯიქეთისა. სა-
მეფოს დასუსტებისაგამო შაბარლოში, ჯიქეთში, ოსეთში და
აფხაზეთში სრულიად მოისპო ქრისტიანობა, რომელსაც უფ-
რო მწარე დღენი დაადგა შემდეგში, როდესაც ბრძოლის
სარბიელზე აღმოჩნდა საშინელი მემურა ანუ მემურ-
ლენგი, მონგოლთა წინამძღოლი.

როდესაც მონგოლნი შუა-გულ აზიიდან შემოებრ-
ძოლნენ სპარსელებს და სხ. მაშინ, „ვერ შემძლებელმან
ჰვლადდინ, სპარსთა მეფემან წინა-დადგომად მონგოლთა,
ვითარ ძლეულმან მათგანმან, ელტოლვა კმეულ-ჰყო სპითა
დიდითა, დედა-წულითურთ და მეზავრ მოსრულმან სომ-
ხეთსა შინა, აღაოხრა ყოველი მხედრობაი სომხეთისა“.

მაშინ დედოფალმან რუსუდან წარგზავნა მაშველი ჯარი
იოანე და მისი ძმის შალვა ახალციხელების წინამძღო-
ლობით, მაგრამ ეს ჯარი იძლია და თვით შალვა და-
ტყვევებულ იქმნა. რამდენიმე წელიწადს შალვამ ტყვეობაში
დიდი ტანჯვა და წვალება გამოიარა. მტერნი სცდილობ-
დნენ, რომ მას დაეტყუა სჯული ქრისტესი და მიეღო მაჭ-
მალიანობა, მაგრამ ყოველი მათი მეცადინეობა ამაოდ
დარჩა. მაშინ მოწამესა ჭეშმარიტებისა „ჰგვემდეს უწყა-
ლოდ მოეფარეამ; მერმელა საპყრობილესა შინა შეაყენა და
პირად-პირადითა მძვინვარითა ტანჯვითა განცდილმან ალა-
სრულა სრბაჲ მარტვილობითი“ (1227 წელს). შალვა
ჩვენი ეკლესიისაგან შერაცხილია წჷიდანად ¹⁾. იმავე
წელადლინშა სომხეთში გასწყვიტა, თითქმის, ყველა მცხოვ-
რებნი, მერმე შემოვიდა თბილისში და გასწყვიტა ასიათასი
ქრისტიანე. ავლადბრის ხიდზე გადმოჰკიდა სიონის ლეთის-
მშობლის ხატი; რომელი ქრისტიანიც მას არ შეაფურთ-
ხებდა და არ ჰგმობდა, იმას ხილიდან წყალში—მტკვარში
ჰყრიდა, ქრისტიანთ სისხლი, ისტორიის მოწმობით, ქუჩებს
რუებრ სდიოდა. აღარც ერთი სახლი დაუზიანებელი არ
გაუშვა, თვით სიონის სობოროს გუმბათი ძირსა ჩამოაგდო;
ამ დროს წამებულ იქმნენ ათნი—ბევრნი ²⁾ მოწამენი

1) ანტონ ქათოლიკოზისაგან თქმული იამბიკო შალვაზედ:
«შალვა განმხედრი, უნორცოთა მტურთა;
სიმხნით ალადგენს, ბრძოლათა მრავალ-ფურთა;
მოიღებს ძლევათ ღჷთისადმი და საჭურთა;
ეგ სახედ ფილდოს, ანგელთ საჭურეუტ-სამშურთა;
სისხლით ზიარ-ქმნილ, ქრისტეს შესაფურთა.»

2) იმისაგანვე თქმული ათთა-ბევრთა მოწამეთა ზედა:

თბილისსა შინა. 1289 წ. ძრისტესთვის ეწამა არლუ-
ნისაგან ხალხის სუყვარელი მეფე ღმიტრი თავდად-
ბული, რომელიც ხალხს შეუყვარდა უფრო იმიტომ, რომ
,,ღამით ჩაიკვავდა ხოლმე კაბა-ჯუბასა, წაეა და ინახუ-
ლებდა საწყალის ხალხის უბანსა; მოივლიდა ქერიც და
ოხერს, დაერდომილსა და ობოლსა. თავის ხელით ური-
გებდა მოწყალეებას და საზრდოსა.“ და ამიტომ ,,ერი, ბერი,
ობოლ-ქერივი სულ იმის დღეს ღოცულობდა“.

თვით თემურ-ლენგი შეიდ-გზის შემოვიდა ჩვენს ქვე-
ყანაში და რაც დაშთენილი იყო წინანდელი აოხრების
შემდეგ და რაც ხელახლა აოოოძინებულიყო ყველა
გააოხრა, გაანადგურა. ,,შეიდ-გზის მიილო ქართლმა (სა-
ქართველომ) ვნებაჲ მისგან (თემურისგან) მახვილისა მიერ
ტყვეობისა და ცეცხლისა და შენობითთა საფუძველთა
აღმოყრისა.“ მრთი შემოსევის დროს თემურმა ერთ დას-
ტას თვისის ჯარასას უბრძანა გაეოხრებინა მონასტერნი და
შენობანი, თუ კიდევ დაშთენილ იყვნენ საღმე მიყრუე-
ბულს ადგილებში. ამ დასტამ მიაგნო შებათახევის ლეთის-
მშობლის მონასტერს, რომელშიაც მტრის შიშისა-გამო
ჩაკეტილი იყვნენ: ,,გარემო მახლობელთა მონასტერთა-
განნი მონაზონნი, მრავალნი მამანი და დედანი, აზნაურ-
თზგანნი და მღვდელნი და დიაკონნი და თვით მონასტ-
რისა მის ძმანი.“ მტრის სიმრავლემ შეამტერია კარები

«მარტურთა შენთა რისხჳ ას გზის ათასი;
აღმოჰსჭვირს შენი სასმელი რა მათ ასვი;
მიიღეს სურვილით იგი სასმისათ თასი,
სადაფის ფერად, ჰსპეტეს ფერ სათასი,
ერთად მოიგეს, სამეფოჲ ცათასი.“

მონასტრისა, რომელიც ჯერ გატარცვა სრულიად და მერ-
მე კარები ჩაუკეტა და გადასწვა შიგ მომწყვდეული ხალ-
ხითურთ ¹⁾).

ასრეთი სოფლის ღელვა, სპარსელთა, თურქთა მოწ-
გოლთა შემოსევა იყო მიზეზი, რომ დედოფალი რუსუ-
დანი 1232 წელს მიიქცა მძლავრის რომის პაპა ბრიგორი
მე IX-დმი და სთხოვა შემწეობა. პაპამ უპასუხა, რომ მე
თვითონაც გაჭირებულს მდგომარეობაში ვარო და ძალიანაც
რომ მინდოდეს შეველა, მაინც ვერ გიშველი, რადგან ჩე-
მი ჯარი საქართველოში ვერ შემოვაო: გზები სარაცინთა
აქვთ დაჭერილიო. ამის შემდეგ პაპა რჩევას აძლევს რუსუდანს
დაემორჩილოს მას და შემწეობის მაგიერ ჰგზავნის საქარ-
თველოში 7 ბერს ძმათა მქადაბელთა გუნდისას (*fratres
praedicatores*), რომელთაც მთელი ქართველთა ერი,
პაპის ფიქრით, უნდა დაემორჩილებინათ რომის წმიდა ტახ-
ტისათვის. რუსუდანმა ბრიგორისაც ისეთივე ცივი უარი
განუცხადა, როგორც მის ყოფილ მოადგილეს პაპს მონო-
რიოს III-ს, რომელიც აგრეთვე სცილილობდა ქართველთ
გაფრანგებას.

1289 წ. პაპა ნიკოლოზ მე IV-მ კიდევ გამოგზავ-

¹⁾ ანტონ ქათოლიკოზის მიერ თქმული იამბიკო წამებულფუ-
თვის ქვაბთა-ხევის მონასტერსა შინა:

„ქვაბთა-ხევს წმიდა, სამხოლო ივანი,

ეკლესიისა პირმშობთასა, საგვანი,

საკურთხეველი მსხვერპლთა ზეცად ამყვანი,

დაწულთ ნაბეჭდნი, კედელ-იატაკ-ქვანი,

ჩვენდა საქადულ, მუნ მსხვერპლი საღმრთო დაწვანი.“

ნა. საქართველოში სჯულის მოძღვარნი—ფრანგნი ¹⁾), რომელნიც მეგობრულად მიიღო საქართველოს მეფემ ვახტანგ II და ნება დართო ობილისში დაეარსებინათ საკუთარი საეპისკოპოსო. წინამძღვარი ძმათა მქადაგებელთა იყო შლორენტინის ეპისკოპოსი იოანე.

ბიორგი ბრწყინვალის გამეფებიდამ (1318 წ.) საქართველომ. ცოტა შეისვენა გარეშე მტერთა შემოსევისაგან. მიზეზი იყო ბრძენი მეფე ბიორგი, რომელმაც მთელი საქართველო ხელ-ახლა შეაერთა, მრავალგან დაამარცხა და განდევნა მტრები და გახდა მეფედ სრულიად საქართველოისა, რომელსაც გაშენება დაუწყო. მის შემწეობით მკვირცხლთა და გონიერთა ქართველთა მალე დროში კიდევ ააგეს ტაძარ-მონასტერნი, ციხე-გალავანნი, ქალაქნი. სოფელნი, დასთესეს მინდორ-ველნი და მოაშენეს ვენახნი. ოვით მეფე სცდილობდა ხალხის დაცემულ ზნეობის ამაღლებას-გაუმჯობესებას. მანვე მთიულთათვის შეადგინა საერო კანონნი.

უკანასკნელი შემოსევა თემურ-ლენგისა მოხდა 1395—1400 წწ., რომელიც გათავდა ქართველთა და მონგოლთა შერიგებით ²⁾). ამის მიზეზი უფრო იყო ისა,

1) თუმცა საქართველოს დასავლეთიდან არ მოსდიოდა შემწეობა ქრისტიანთა ხალხთაგან, მაგრამ ქართველნი იმდენად გაბრაზებულნი იყვნენ სარაცინებზე, რომელ დედა-წულითურთ ჰსურდათ აშხენდრება ევროპიის ჯართან ერთად წინააღმდეგ მტერთა დასაცველად სარწმუნოებისა და თვისის ხალხოსნობისა (ვინცენცი).

2) მონგოლნი ანუ თათარნი თუმცა ქრისტიანების დაუძინებელი მტრები იყვნენ, ქართველ ხალხს ვაჟკაცობისათვის, სხვა ხალხებთან შედარებით, პატივისა სცემდნენ. ქართველთა მოგზაურთ წმიდა ადგი-

რომ მონგოლთა აღუჩნდათ საშინელი მტერი—ბაიაზედი, რომლის დასამარცხებლად მონგოლნი გაემშურნენ მცირე ჰზისკენ.

1389—1445 წ. ქართველთა მეფენი, როგორც მხედარხი ქრისტესნი გულ-მოდგინებით ებრძოდნენ მტერთა ქრისტესთა და სცდილობდნენ ეკკლესიის აღორძინებას. ამიტომ ქათოლიკოსებთან ერთად მიფენი: ბიორგი V II, კოსტანტინე, ალექსანდრე I და მახტანგ IV აშენებდნენ ტაძრებსა, ამშვენებდნენ გაოხრებულ მონასტრებსა და სცდილობდნენ ქრისტიანობის დანერგვას იქ, საცა დროთა ბრუნებაგამო ხალხი ვადუდგა ქრისტეს სჯულსა. შველა-ზე მეტი ამ მეფეთაგან იღვაწა ალექსანდრე I. ეს დაუღალავად შრომობდა თვის ქვეყნისათვის. შოველი კუთხე საქართველოსა მას სცნობდა თვის კეთილ მოძღვრად, პატრონად და გამხმეველებლად. მან, სხვათა შორის, აღადგინა დანგრეული სამთავრო, სვეტი ცხოველის მცხეთის ტაძარი. რამდენიმე წელიწადს ხალხს სრულიად ხარჯი არ გამოართვა და თვითონ თავად-აზნაურებით იკვებებოდნენ თვისის საკუთარის შრომით. სასულიერო პირთა ზნეობის აღსადგენად მანვე მოიწვია კრება მცხეთაში და შლორენტინის სასულიერო კრებაზე მიწვეულმა

ღებში არ ართმევდნენ ხარჯსა. ოსმალნი და მისირის სულთანთ იმდენად დაფასებული ჰყვანდათ ქართველნი, რომელ ქართველთ უყვეთაგან ადგენდნენ თვის საკუთარ ამალას ანუ ჯარს, რომელსაც შემდეგში ეწოდა მამელუკის ჯარი. მიხილ ნეანდერი (XVI საუკ.) ჰმოწმობს, რომელ ქართველთა ვაჟაკობა, გულოვნობა, სიმტყიცე ქრისტეს სჯულისადმი ამდენი უბედურებების შემდეგ აკვირებს მოელს დასავლეთსაო (ევროპას).

შესარიგებელად აღმოსავლეთ-დასავლეთის ეკკლესიათა, გაგზავნა მიტროპოლიტი გრიგოლი (ბროსეს თქმით სოფრონი), რომელმაც არ მიიღო დადგენილება კრებისა და გამოიქცა საქართველოში ¹⁾.

ბოლოს ყამს თვისის სიცოცხლისა აღექსანდრე ბერად შედგა, იწოდა ათანასედ; მცხეთის ტაძრის გვერდით აიშენა ეკვედრა, მეფობა გადასცა თავის შვილს მახტანგს (1442 წ.) და თვით ძრისტესთვის დაიწყო მოღვაწეობა. შვილიც და მამაც დაიხრცნენ 1445 წელს. გამეფდა ბიორგი მე VIII, რომლის მეფობის დროს საქართველო სრულიად გაიყო სამ სამეფოდ: ქართლისა, ძაგეთისა და იმერეთისა და 5 სამთავროდ: აფხაზეთისა, ოდიშისა, სვანეთისა, ბურჩისა და სამცხისა (საათაბაგო). ამასთანავე იმერეთისა და ლიხს იქით სამთავროებისათვის დაარსდა ახალი საქათოლიკოსო კათედრა შუთაისში. შუთათელი

¹⁾ ფლორენტინის კრებაზე დაესწრო ტრაპეზუნტის მიტროპოლიტთან საქართველოს მიტროპოლიტი გრიგოლ ერთი თავადითურთ. გრიგოლ, როდესაც ნახა სურვილი პაპისა და გაიგო მისი ჰაზრი საქართველოს ეკკლესიის შესახებ, იდუმალად გამოიქცა საქართველოში და ხელი არ მოაწერა კრების განჩინებაზე (Древ. биб. т. VI. გვ. 33—36). ამასვე ვმოწმობენ დასავლეთის მწერალნი და თვით რუსეთის პატრიარხი ნიკონი (Летоп. по Никонову списку, т. V; გვ. 145) გორაცი ფესტინიანი აბოპს (გვ. 72—73); საბერძნეთის და ლათინთ ეკკლესიების შესარიგებლად მოწვეულს კრებაზე ქართველთაგან გაიგზავნა 1438 წელს იპერიის მიტროპოლიტი და მასთან მეფის სანდო კაცი მჭევრ-მეტყველი; ამათ ხელი არ მოაწერეს გარდაწყვეტილებაზე (იხ. о religioз-сост. Груз. до XVII) გვ. 141, წერ. სროსესი).

აკურთხებდა ჭუთაისში იმერთა მეფეთა და დამოუკიდებლად ჰმწყსიდა იმერთ სამწყსოთა. ამ დროიდანვე ჭყონდიდეღმა ¹⁾, მეფის პირველმა ვეზირმა დაჰკარგა თვისი მნიშვნელობა არათუ ამერთა სამეფოთათვის, არამედ იმერთა სამეფო-სამთავროთათვისაც და ჰმართავდა მხოლოდ ჭყონდიდის ეპარქიას.

ამისთანა უბედურ დროს საქართველოს ეკკლესიის გამაბრწყინებელად გამოჩნდა მეფე ღიმიტრი, რომელიც ბერად შეიმოსა („დაერქვა ღამიანი“); მას თვისის მაღალზნეობრივის ცხოვრებით და მაგალითებით უნდოდა განემხნეებინა სასულიერო წოდება და დაცალიერებულ მონასტრებში ისევე დაესახლებინა ბერ-მონაზონნი. მაგრამ ყოველი მეცადინეობა ღამიანისა და სხვათა ველარ შევლოდა ქვეყანასა, მით უმეტეს, რომ 1454 წ. სრულიად დაიმხო ბერძენთა იმპერია და მაგიერ დაარსდა ოსმალთა სამეფო ანუ სასულთნო, რომლის სატახტო ქალაქად შეიქმნა დი-

1) ჭყონი მეგრულად ჰქვიან მუნასა. წარმართობის დროს სამეგრელოს სოფ. მარტვილში მდგარა ერთი დიდი მუნა. რომლისათვისაც თაყვანი უციათ მეგრელთა. ქრისტიანობის დროს დაუმხიათ ეს მუნა და მის ადგილას აუგიათ საეპისკოპოსო საყდარი და პატრივისცემისაჲვის ქრისტიანობის გამარჯვებისა წარმართობაზე აქვე დაუწესებიათ კათედრა ჭყონდიდეღისა (1001—1015 წ.) ამ კათედრაზე ირჩევდენ იმისთანა კაცს, რომელიც ცნობილ იყო თავის მაღალ-ზნეობით და სწავლა-განათლებით. «ჭყონდიდეღის ხელისაწინი იყვნენ ქვრივ-ობოლნი, დაჯდომილნი, უსამართლო-ქმნილნი, შეწუხებულნი და შეჭირვებულნი. ესე აუწყებდა ამათთვის ყოველსავე მეფესა; ესევე იყო მწიგნობართ უხუცესი და ყოველთა სამეფოთა მწერალი; ესევე მისცემდა მეფისაგან ბრძანებასა ეკკლესია-მონასტერთა და დაშქართა მოწვევად,

დებულის ქოსტანტინეზოლე, სტამბულად წოდებული. როდესაც ოსმალთ მკვიდრად ფეხი მოიღგეს საბერძნეთში, შემდეგ გადმოვიდნენ მცირე აზიაში და 1461 წ. დაამხეს ოსმალთაგან 1204 წ. დაარსებული ტრაპეზუნტის იმპერია და მერმე წამოვიდნენ საქართველომდე ქრისტიანთა ხალხთა გასაწყვეტად ანუ გასამაჰმადიანებლად.

ამისთანა საშიშარ ღრეს კათოლიკეთ ბერნი, ქრისტიანთა ერის შევლის მაგიერ, სცდილობდნენ საქართველოში გაეგრძელებინათ საკათოლიკო სარწმუნოება.¹⁾ მათის ჩაგონებით მეფე ქოსტანტინე მესამე კიდევ შემწეობას სთხოვდა პაპა ალექსანდრე VI, რომელიც შემწეობის მაგიერ უფრო აქებებდა თავის სჯულის მქადაგებელთა საქართველოში და ტიუბინგენის და მარტინე კრუზისთან ერთად სცდილობდა ქართველთა ერი დაემორჩილებინათ თავის ტახტისათვის. მაგრამ ყველა მათი ცდა დაშთა ხმად

და მათთა სამჭირნოთა მოხსენებად მეფისა; ესევე იყო ლაშქრობისა უამსა პატიოსნისა ჯვარისა მძღვანებელი წინაშე სპათა და ბრძოლისა უამსა უკან მსვლელი ანუ ჩახთაული და ახალ წელს მაკვლავი მეფისა (ვახუშტი). პირველ იანვარს, უწინარეს ცისკრის ღოცვისა, უკვლევდა მეფესა ჭყონდიდელი ჯვარსა და ხატსა და სამკაულსა მეფესა და დედოფალსა და სანუგარსა შაქრისასა“ (ვახუშტი ისტ. გვ. 14).

¹⁾ საკათოლიკო სარწმუნოება მართლმადიდებლობითი სარწმუნობისაგან მით გაირჩევა მხოლოდ, რომ იმის წარმომადგენელი არის პაპი, რომელსაც ქრისტეს მოადგილედ ჰხადიან, სარწმუნოების სიმბოლოშია დამატებული: „მრწამს სული წმიდა, რომელი მამისაგან და ძისაგან გამოვალს.“ აგრეთვე მღვდლებს შეუღლების ნება აქვსთ და წვერის დაუყენება კი კანონიერი არ არის.

მლალადებელად უდაბნოსა შინა. მცხეთის საპატრიარქო ტახტი ისევ შეურყეველად დაშთა, თუმცა ზოგიერთთა მისთა მოწაფეთა ირწმუნეს რომის ტახტი. მსენი იყენენ უფრო მეტად საათაბაგაჲს მცხოვრებნი.

ამის მიზეზი შეიქმნა ათაბაგი ჭვარყვარე. 1580 წ. ჭვარყვარე დატყვევებულ იქმნა ოსმალთაგან და აოსტანტინეპოლეთი მან მიიღო მაჰმადიანობა და დაინიშნა ახალციხის ფაშად. ტიუბინგენის მასწავლებელთა დოკტორმა იაკობ, ანდრიამ, გერლახიმ, ანტონიმ, სუევიტურმა და პროფესორმა მარტინე პროუზიმ ჩააგონეს ჭვარყვარეს, რათა ნება მიეცა თვისის ქვეშევრდომთათვის მიეღოთ საკათოლიკე სარწმუნოება. აი იმის მიზეზი, რომელ ეხლა იმდენი ქართველი კათოლიკეა ახალციხის მხარეთი.

თ ა ვ ი XIV.

ქართველნი ჰყვებოდნენ დევნულთა ბერძენთა. — არს-
დება ახტალას ბერძენთ საეპისკოპოსო. — სპარს-
ოსმალნი იყოფენ: საქართველოს. — შაჰმადიანობა
ფენს იდგამს მთის ხალხში და საქართველოს
ზოგიერთ კუთხეებში. — ამისთანა დროს ქრის-
ტიანობას უჩნდებიან თვისნი სვეტნი. — წამება:
გარეჯის მოღვაწეთა, მეფე ლუარსაბისა, ქუთუხან
დედოფლისა და სხვათა.

საბერძნეთის იმპერიის დამხობის შემდეგ საქართვე-
ლოს არა თუ საიდანმე შემწეობა არ მოსდიოდა, არამედ,
თვით უშემწეოდ დაშთენილი, სხვა ხალხებისათვის, შეძლე-
ბისამებრ, უნდა შემწეობა მიეცა. როდესაც ოსმალთა რბევა
და დევნა დაუწყეს ბერძენთა, მაშინ ისინი მოიქცნენ საქარ-
თველოს მეფეთადმი და შეველა სთხოვეს. მეფეთაც მიჰხედეს
მათ გაჭირებულ მდგომარეობას და დაასახლეს იგინი სომ-
სეთში, საცა მათთვის დააწესეს საკუთარი საეპისკოპოსო სო-
ფელ ახტალას (ახტალის ბერძენთა ეპისკოპოსი ემოჩილიე-
ბოდა საქართველოს ქათოლიკოზს და ეს კათედრა არსებობდა
1827 წლამდის და ბოლოს უკანასკნელის ეპისკოპოსის
იოაკიმეს სიკვდილით სამუდამოდ მოისპო საეპისკოპოსო
კათედრა ახტალისა).

როდესაც მონგოლთა ზღვებზე ღელვა შეჩერდა, როდესაც რუსეთი, ოსმალეთი, სპარსეთი და საქართველო განთავისუფლდნენ მათ ხელიდამ, მაშინ ქართველთ მცირე ერთი—ერთი უმშვენიერესი ყოველთა ერთა შორის, მკონებელი უმშვენიერესის და მდიდარის მიწა-წყლისა და უტყვილესის ძრისტეს სარწმუნოებისა, შეიქმნა საცილობელ საგნად სპარსთა და ოსმალთა შორის. ორსავე ამ ურჯულო ხალხსა უნდოდა თვისი გავლენა და უზენაესი უფლება ექონია საქართველოზე, და, რადგან ქართველნი არ ემორჩილებოდნენ არც ერთსა და არც მეორესა, ამიტომ ისინი შემოესეოდნენ ხოლმე საქართველოსა, აზრდენ და აზრებდენ ქვეყანასა. რადგან საქართველოს დამორჩილება, მათი ჰაზრით, შეუძლებელი იყო, თუ ამ ქვეყანაში ქრისტიანობა არ მოისპობოდა, ამიტომ იგინი ყოველ გვარ ღონის ძიებას ხმარობდნენ, რათა მიღებინებინათ მათთვის მარტვიანობა. ნიშნად თვისის გამარჯვებისა მეფეების და წარჩინებული პირების გამაჰმადიანება მიხილდათ. ეს არის მიზეზი, რომ მე XVI საუკუნეიდან მოკიდებული საქართველოში ვხედავთ მრავალ გამაჰმადიანებულ და აგრეთვე წამებულ მეფეებსა.

ცილობა სპარსთა და ოსმალთა 1524 წ. დასრულდა მით, რომ ამჟამითი დარჩა სპარსელთა მფლობელობაში, ხოლო იმერეთი და საათაბაგო ოსმალეთის მფლობელობაში.

ამნაირად ორთავე საქართველოს მტერთა მეცადინეობით მარტვიანობამ ფეხი მოიღვა ღალისტანში, ჩეჩენში, ოსეთში, ჩერქეზეთში, სვანეთში, აფხაზეთში, ლაზისტანში, საათაბაგოში და შაი-აბაზ II-ს შემოსევის (1642—1667 წ.);

მანეთის-აოხრების და 100,000 ქართველის აყრის და შუა-
 გულ სპარსეთში გადასახლების შემდეგ (ამას ჭმარობს მუ-
 სულმანთ ისტორიკოსი ისკანდერ მუხჯა--**ТИФЛИСЬ ВЪ ИСТО-**
РИИ И ЭТНОГР. ОТНОШ. თხზ. დ. ბაქრაძისა და ნ. ბერძე-
 ნაკისა) მაჰმადიანობა გავრცელდა შერეთშიაც (საინგილო)
 და აქ მაჰმადიანობა უფრო დამკვიდრდა მაშინ, როდესაც
 რსმალთ და სპარსელთ ქომავლობილ ლეენი ჩამოვიდნენ
 მთილამ და დასახლდნენ შარ-ბელაქანში ¹⁾ და დააარსეს
 თვისი საკუთარი მმართველობა.

ასრე ქრისტიანობა საქართველოში დარჩა საშინელ
 მტრების ხელში: მსმალთა, სპარსთა, ლეკთა, ჩერქეზ-
 ჯიქთა და მრავალთა სხვათა ქრისტიანობის მოსისხლეთა
 მტერთა ზედ-გაველენაში.

¹⁾ შარი (ფიფინეთი), ბელაქანი, კაკი და მიდამონი მათნი ქ.
 ნუხამდის, რომლის ახლოს სოფ. გიში იდგა ქართველი ეპისკოპოს-
 სი, ძველი დროიდანვე ეუთხოვდნენ საქართველოს და აქ ჰყავოდა
 ქრისტიანობა. ამის დასამტკიცებელ საბუთად, გარდა მრავალთა და
 სავკირველთა ნაოხრთა და ეკლესია-მონასტერთა ნაშთთა, დაშენილ-
 თა ყოველთა წიაღთა და კალთაჲთ კავკასიისათა და აგრეთვე მიდამო-
 თა და ტყე-ღრუთა ალაზნის ველისათა, ჩვენ აქ მოვიყვანთ ცნობებს
 ამ ადგილებზე აგრეთვე ქათოლიკონის მეღქმისედექის სიგელნიდჲმ, და-
 მტკიცებულებადი დიდისა მეფის ბაგრატ მეოთხისაგან (1027-1072 წწ.)
 და სხვათაგან.

სიგელი ასრე იწყობა: *... და შევსტედე სვეტი ცხოველნი ოქროთა და ვეცნლითა და*
შევსტედე წმიდა საკურთხეველი ოქროთა და ვეცნლითა, თვალით და
მარგალითითა, და მოვსტედენ კანკელნი და კარნი საკურთხეველისანი
ოქროთა და ვეცნლითა, და შევსტედე ძელნი ცხოველებისანი ოქრო-

ბანაწილებული და რამდენიმე ნაწილად გაგლეჯილი საქართველო ამისთანა საშინელ და სამწუხარო მდგომარეობაში არასდროს არა ყოფილა, რადგან იმ ადგილებშია, საცა ქრისტიანობა ჯერ კიდევ არსებობდა, სპარსთა და ოსმალთ პოლიტიკურმა მოქმედებამ კეთილ-მარწმუნეთა მეფეთა, მთავართა, სამღვდელოთა და ერისთავთა შორის ჩამოაგდო შუღლი, ურთი-ერთ სიმძულვარე და დავიდარაბა.

თუმცა ასრეთი იყო მდგომარეობა ამ დროისა, მაგრამ მაშინ საქართველოს ერს მაინც მოეძეოდა მრავალნი პირნი, რომელნიც კეთილად და ერთგულად ემსახურებოდნენ მამულსა, სარწმუნოებასა და თვის გვარ-ტომობასა და მით სძლევდნენ და აქარწყლებდნენ ბოროტ-განზრახვათა და მოქმედებათა საქართველოს მტერთა.

სანი ყოველნი თვალითა და მარგალიტითა და შევსჭედე წმიდა ესე სამარტვილო ოქროთა და ვეცხლითა, თვალითა და მარგალიტითა და იმას შიგან დაუსვენენ ყოველთა წმიდათა ნაწილნი და ძელი ცხოვრებისა და დაუსვენე ხატი ოქროისა, რომელი მიბოძა კოსტანტინე ბერძენთა მეფემან და სამარტვილოსავე შიგან დაუსვენე ხატი ესე წმიდისა ღვთისმშობლისა, შემკობილი ოქროითა, და მარგალიტითა, რომელი მიბოძა ვასილი ბერძენთა მეფემან და (ჩამოთვლილია ხატთა რიცხვი) , ქათოლიკოზს შეუწირავს კიდევ წმ. ჭურჭელნი, წიგნნი, რომელთა რიცხვი მისი მოწმობით ,,ესე წიგნები, რომელ შე დამიწერია ჯემლად არს თავი კე.“ შეუწირავს აგრეთვე შესამოსელნი და შესამოსავლად მცხეთის ტაძრისათვის მრავალთა ტაძართა, სოფელ-ქალაქთა შორის შეუწირავს ,,ჰერეთის მონასტერი დიდითა ძალითა და ჰერეთსვე კატეხისა ეკლესია შესავალითა მისითა და კაკს ვაჭარნი და ზიარი სოფელი დიდი.“ (იხ. ჩუბინოვის ქრისტ. ჯგ. 203-208).

ამ გვარნი პირნი იყვნენ:
სხვათა შორის, მთელი გუნდი ბარეჯის მოწამეთა.
წმიდანი ესე ძმანი ბარეჯისანი ეწამნენ წმ. ალღომის
დღესა სპარსთა ჯარის დანაშთენთაგან. „დამწყებელთა
ლოცვისა ცხსკრისათა იწყეს ლიტანიობად გარემო ეკლესიისა
სიმრავლემან წმიდათა მამათამან და ხელთა შინა
მათთა სანთელი აღნთებული და იხილეს შორს მდგომარე
და დამალულ ბარბაროსებმა სანთლის შემწეობით
კრებული იგი საღმრთოი, წარვიდეს მათ ზედა. მსრეთ
ზედა—დამსხმელთა ბარბაროსთა ეკლესია გარეშეიცვეს და
წმიდა იგი კრებული უწყებულ-ჰყვეს ვითარმედ, ანუ დაუ-
ტევთ ძრისტე, რომელსა აღიარებთ და მოსულნი ჰსჯუ-
ლისა-დებისა მომართ მოციქულისა ჩვენისა დამეკვიდრე-
ნით ჩვენთათა... შეკეთუ არა ისმინოთ ჩვენი, აჰა მახვილ-
ნი, აღმოხდილნი ხელთა შინა ჩვენთა, რომლითა აღისპ-
ნეთ, თვინიერ ერთისაცა თქვენგანისა განრომით ცოც-
ხალ-ადრე.“—მამასა მონასტრისასა და სხვათაცა ძმათა
მტრისათვის მოუხსენებიათ, რომელ „ჩვენ სჯულის-დება-
თა ცრუისა მის მოციქულისა თქვენისათანა არა შევიწყნა-
რებთ და არცა დაუტევებთ მეუფესა ჩვენსა და შუალსა
ძრისტესა“... ზეცადეთ „ჰამად პასექისა მის უკედავისა...
იპყრენით უკვე კარნი ამის ეკლესიისანი ძლიერად... შე-
მდეგ დასრულებისა საღმრთოისა ლიტურლიისა, რაიცა
გნებაესთ, ჰკეთ.“ მართლაც, ბარბაროსთა დაუცლიათ
მათთვის და ლიტურლიის შემდეგ ყველანი დაუკლავთ და
დაუხოციათ ტამარსავე შინა, რომელიც სრულიად გაუ-

ცარცვავთ და წასულან. ძვალნი ამა წმიდანთანი ეხლაც
ინახებიან. ბარესჯის ეკლესიის ეკვედერის გამოქვაბულის სა-
წნახელსა შინა ¹⁾).

აქვე მოვიხსენებთ წამებასა ნეტარისა მეფისა
ლუარსაბისა.

ლუარსაბი იყო ძე მეფისა ბიორგი X ²⁾ და გამეფ-
და 1605 წ. ამ დროს სპარსეთში ხელმწიფობდა შაჰი-
აბაზ I, რომელიც საშინელი მტერი იყო ქრისტიანობისა
საზოგადოდ და ქართველებისა კერძოდ. მას ამ დროს
აქეზებდა და უფრო ამხნეებდა ლუარსაბის მტერი მოუ-
რავი: სააკაძე. 1615 წ. შაჰი ურიცხვი ჯარით წამოვიდა
საქართველოზე. მეფენი ყაზეთისა თეიმურაზ I და ქართ-
ლისა ლუარსაბ II მიიქცნენ იმერთა მეფისადმი, საილამაც
შაჰმა თვისის მლიქვნელობითა და მეგობრობის გამოცხა-
დებითა გამოიხმო ლუარსაბი, „მეფე თეიმურაზი კი ვერ
აღუთნა.“
„ზახარებულმა აბასმა ქვეყნის აოხრება მიანდო

¹⁾ ეკლესიასა პირ-მშობასა ნეტარნი,
აქა ზადიკობად მოსრულნი ეკლესიად,
აღფრინდეს ფრთითა წამებისათა სიბრძნით,
მუნასა მიმართ ზადიკისათვის აქათ
და შეერთნეს ზენათა იერ-არხთა.

ანტონ ქათოლიკოზი.

²⁾ გიორგის ზეჟანდა სამი ასული: ელენე, ივორეშან და თინა-
თინ. ელენე მიუთხოვა ირუსთა მეფის გოდუნოვის ძეს თეოდორეს; სო-
რეშანი მიუთხოვა კახთა მეფეს თეიმურაზსა, თემცა ანდო ნათესავი
ყო მისი, მაგრამ ესრე ჰსურდა შაჰსა; თინათინი წარმოეფლ იქმნა
აბაზისაგან თვის საცოლედ (საქართ. სამოთხე)

თვისი ჯარის მეუფროსეთჳ და თვითონ კი ლუარსაბი წაიყვანა ისპაანში და ლიქნითა ესე ჰრქვეა: „უკეთუ უარჳყო ჰაჯუელი ძრისტესი და იქმნე მოსახელე მაჰმადისა, დიდითა პატივითა პატიე-გცე და მრავლითა დიდებითა განგიტეო ქვეყანად შენდა.“ ლუარსაბმა უარი უთხრა, რის გამო შაჰის ბრძანებით მეფე შირაზის საპყრობილეში ჩასვეს და, შვიდი წლის პყრობილობის შემდეგ, გამოიყვანეს მოედანზე და თავი მოჰკვეთეს ¹⁾ (1622 წ.).

წამება წმიდისა დიდისა მოწამისა ქეთევან კახთ-დედოფლისა.

ქეთევან იყო ასული აშოთან ბაგრატიონისა, მეფის ქოსტანტინეს ძის წულისა. ღედაკაცი ესე იყო განსწავლული ფრიად და ბრძენი. მმარი მისი დავით იყო ძე მეფისა ალექსანდრესი.

ბოროტსა შაჰ-აბაზსა ჰსურდა ქახეთის გაოხრება. მისი ხელშემწყობი გამოჩნდა. ეს იყო ძე ქახეთის მეფისა ალექსანდრესი, ანუ მაზლი ქეთევანისა—ქოსტანტინე, რომელიცა პატარაობითვე სპარსთა ხელმწიფის კარზე იზ-

1) „ეგვლესიათა უცვილი მეფე ქართლისა,
ლუარსაბ მთიებ, საჩინოდ აღმომზეობს,
ყოვლად-წელ ტანჯული, გულაბს პყრობით მარტოებს,
მშვილდის თჳთ ხმე წვით თჳსთა განაკეროებს,
მძიმეს მძიმეთ ჳრთავს, სულსა აღა-ღვთის-კარეებს.

ნიკოლოზ ტფილელი

ღლესასწაული მისი 21 ივნისსა. წმიდა გვამი მეფისა ჳმარნია შირაზს. საფლავისა მისისაგან ეხლაც „სნეულნი მიიღებენ კურნებასა“ (ქართლ. ცხოვ).

რდებოდა და იქვე გამაჰმადიანდა. **თუ** რათ ემტერებოდა ქოსტანტინე ქახეთის მეფესა და ძმსა თვისსა, ამას დავინახავთ შემდეგში.

ასრე აბაჰმა დიდ-ძალი ჯარით გამოისტუმრა ქოსტანტინე ქახეთსა და უბრძანა მოეკლა თვისი მამა, ძმა და გამეფებულიყო ქახეთში. ქოსტანტინემ, მოსრულმა კახეთს, დაიბანაკა ჰერეთის (საინგილოს) ქალაქ ბაზარს (ეხლა გაოხრებული სოფელია) და აცნობა მასვლა თვისი მეფეა ალექსანდრეს.

ბახარებული მეფე თავის ძით დავითათურთ მიეკება ძესა თვისსა ქოსტანტინეს, რომელმაც თვისსავე კარავში ლალატით დაახოცინა: მამა თვისი ალექსანდრე, ძმა ~~მეფე~~ და მხლებელნი მათნი: აბელ ანდრონიკაშვილი შორჩიბაში (მამა ადამ სულტნისა) და ძმა აბელისა მისკობოსი რუსთველისა. მერმე „სხეულნი იგი მართალნი აღჰკიდნა აქლემთა ზედა და წარგზავნა დაფლვად ალავერდს და შეჰათვალა მისდა (მეთევანისად) სიტყვანი ყოვლად უღმრთოესა-მებრ ნებისა თვისისა შეერთებისანი,“ ესე იგი მეთევანსა, რძალსა თვისსა შეუთვალა, ჩემზე გამოთხოვდიო. წმიდამან მეთევანმა, დიდად შეწუხებულმა ამა უღთოისა საქციელისაგან, დაასაფლავა ქმარი და მამამთილი თვისი და მერმე წარგზავნა ჯარნი დასასჯელად ქაენისა. მართლაც, ქახეთის ჯარისაგან იძლია უღეთო ქოსტანტინე და მოკლულ იქმნა. მეთევანმა „ძალთა მიგდებადი იგი მძორი დაყროლებული ქოსტანტინესი ჰატივად თვისებისა თვისისა და გვარ-მალლობისა მის უკეთურისა დაფლვად უბრძანა“ და დიდი საჩუქრები გაუგზავნა შაჰსა, რომელთანაც მძევლად იყო ძე დედოფლისა

თეიმურაზი და მიუწერა: „ეთარმედ, მეფეო, მომეც ძეგ
ჩემი თეიმურაზ, რამეთუ სახმარ არს მეფობისა შენისა
მკვიდრი განგებად მეფობისა, რომელიც დამორჩილებულ
არს შენდა, თუ არა სამეფო ესე განუდგეს ნებასა მეფო-
ბისა შენისასა და ერჩდეს სულთანსა საბერძნეთისასა.“
შაჰი, რომ არ დაკარგოს გავლენა ძახეთზე, ისტუმრებს
თეიმურაზს სამშობლოში იმ მოსაზრებით, რომ წემდეგში
შაინც სამაგიეროს გადუხდის კახელებსა.

მართლაც, მალე შაჰი დიდის ჯარით მოვიდა და,
განჯაში დაბანაკებულმა, „მიაეღინა მოციქულნი და
სთხოვა წინდი და წარუგზავნა თეიმურაზ ერთი ძეთა თვის-
თაგანი, ჰსთხოვა კვალად წინდი და წარუგზავნა თეიმუ-
რაზ მეორეცა, შეჰძინაო კვალად მესამედ ყვენმან და ით-
ხოვა წინდი და წარუგზავნა დედა თვისი.“ დედა გაგზავნა
მეფემან დასაწყნარებლად შაჰისა, რომელიც უმეტეს გან-
ძვინდა, ტყვენი გაგზავნა სპარსეთში და თვითონ წამოვიდა
ძახეთის ასაოხრებლად. ძახეთს დაადგა საშინელი წამება.
თეიმურაზი გაიქცა იმერეთად და სპარსთა აღაოხრეს სო-
ფელ-ქალაქნი, მოსწყვიდნეს ეპისკოპოს-მღვდელ-დიაკონნი,
გაჟლიტეს მრავალნი ქრისტიანენი, პირქვე დახცეს ეკლე-
სიანი და მრავალი ხალხი აჰყარეს და გადაასახლეს სპარ-
სეთში, საცა ძის ძენი შეთევეანისანი საქურის ჰყენეს და
შეთევეანიცა უარ-ყოფისათვის მაჰმადიანობისა აწამეს: „მო-
ვიდეს უკვე მტარვალნი იგი დედოფლისად, თანა მექონნი
მრავალ-ნაკვეთთა რკინათანი, აღატყინეს ცეცხლი და შთა-
ყარნეს მას შინა რკინანი განხურვებად... შანჭიმნეს ხელ-
ნი და მაჯანი, გლახაკთა გამომხრდელნი... დაჰგლოჯნეს
მარწყუხთა მიმართ ძუძუნი და დასდევს წყლულთა მათ ზე-

და საჯანი, ლურსმანნი იყენეს მრავალნი ქვეშე წმიდისა და მათ ზედა განრთხმულ-იყო და ზედაცა დაჰქარნეს იგი იგი მრავალნი... ბანავლეს მკერდით ზურგამდე შამფური... ჰაჭყცა შემოარტყეს... ბარნი შემოსდევს და აღმოახეოქეს თხემი... ქება რვალისა დაჰსდგეს განხურეებული თავსა ზედა... სხეული წმიდისა დაწურვილი ძვირად შთაადგეს მწვირეთა შინა... საკმელად ძაღლთა ჯა მხეცთა. იქვე დასაფლავებული მისი სხეულის ნახევარი, წლის თავზე იტალიანელთა მონაზონთა მოართვეს ოციმურაზსა და მანცა ქართლ-კახეთის სამღვდელოებითურთ დიდის პატრივით დასაფლავა პლავერდის სობოროს ტრაპეზსა ქვეშე ¹⁾. ღლეობად წმიდანისა დანიიშნა დღე აღსრულებისა მისისა 13 სექტემბერი. 1724 წელსა (ვახუშტი).

მეფეთა და წარჩინებულთა თავადთა გვარში იყენენ აგრეთვე მრავალნი, რომელნიც ბერად შედიოდნენ და თავის კეთილ-გონიერებით და ქრისტიანებრივის უმწიკვლო

1) ეს ქრისტეს სძალი, იასპ მჭარავალი ლალი,
არ ნათელ მცხრალი, არ ყვავილ ფერიო მზრალი,
აქეს საღმრთო ალი, ვითა ცხოველი წყალი,
გული უძს სალი, მით დასცა მძლავრი მწყრალი;
ამას იქმს ქალი, ბუნებით ჭირთა მკრთალი.
თხემსა ლამაზს ჰყოფს, სიაკი ცეცხლ-მსროლელი,
ქედს ზედ სადგარი, მანიაკ საუკვდავოდ,
ძუძეთა საჯანი, ნახერწყალ მკლითოღვარენი,
გულს ბარი, წელსა დაჰჯე განცხელებული,
მუსკულოთ მარწყუხნი, შამფურნი მხურვალენი.

ჰკახენ ქეთევანს შესაბამ სიძე სძლობის.

ანტონ ქათოლიკოზი.

ცხოვრებით მაგალითს აძლევდნ მტერთა და მტარ-
ვალთაგან შეიწროვებულ ქრისტიანეთა. ამგვარნი პირნი
იყვნენ: მეფის ძე იმერეთის სამეფოისა სიმონი, შემდეგში
ბიჭვინტის ეპისკოპოსი, ქათოლიკოსი აუხაზეთისა და იმე-
რეთისა მალაქია აბაშიძე, ბენათის ეპისკოპოსი მელქისე-
დექი, ძე მეფის ძისა ბაგრატიანა ლავითი, რომელიც ბერად
შედგა, მეფის ძე ბიორგი, რომელსაც ბერობაში ერქვა
ბერასიმე, მეფის ლავითის ძმა ბაგრატი, ბერობაში ბარნა-
ბად წოდებული, მეფე ქართლისა ბიორგი, რომელიც
სპარსელებმა მოსწამლეს, რადგან მან არ ირწმუნა მაჰმა-
დი, მეფე სიმონი, რომელიც მოსწამლეს ოსმალთა სტამ-
ბულში, წამებული მღვდელი მანგლისისა თეოდორე და
სხვანი.

²⁾ ცხოვრება და წამება ამა წმიდანისა დაწერილ იქნა ქეოვეანის
წამების მხილველთა ბერთაგან (იხ. მოთხრობა სპარსეთის და სა-
ქართველთა არეულობის თაობაზე მ. დე პეისიონელისა „ივერია 1879 წ.
№ 7); შემდეგ მისივე ცხოვრება აღუწერიათ: წამებულის ძეს თეიმუ-
რავ I-ს, კახეთის მეფეს არჩილს, გიორგი მღვდელ-მონაზონს გარე-
ჯისას, ქათოლიკოს პესარიონს, პატრიარქს ანტონი I-ს და ბოლოს
1833 წელს ქეოვეანის ისტორია გამოიცა პარიჟში.

სპარსელები შამოდან საქართველოში, იჭერენ კან-
ხეს და სახლდებიან აქ 80,000 კომლამდე.—
მტარვალობა სპარსთა.—პიძინა, ელიზბარ, შალვა
და სხვა მოღვაწენი.—მოგზაურობა საქართველო-
ში პატრიარქების პაისისა და დოსითეოსისა.—ქა-
რთველნი იერუსალიმის ტაძრებს სწირავენ 150,000
პიასტრამდე.

შმწარესნი დღენი დაადგა ქრისტიანობასა და საქარ-
თველოს ჟამსა ყვენობისასა სპარსეთს უღმრთოისა შაჰ-აბას II
მცირისა და მის შემდეგ ვიდრე 1744 წლამდის, ე. ი.
მთელი საუკუნის განმავლობაში იწიწკნებოდა საქართვე-
ლო, რომელიც მრავალთა ტანჯვა-აოხრებათაგან უკვე
ემსგავსებოდა წამებულსა გვამსა.

როდესაც შაჰ-აბაზ პირველისაგან აოხრებულთ ქვეყ-
ნის შენება დაიწყო ქართლ-კახეთში, მაშინ შაჰ-აბაზ II-მ,
არა მსურველმა საქართველოს კეთილდღეობისა, „წარმო-
გზავნა ურიცხვი ულუსი თათარნი დედა-წულითურთ მა-
თით და ფალანგებითა მათითა და ყოვლითა სიმდიდრითა
მათითა და თავად მათდა უჩინა სულტანი არდალალისა
და იგიცა ყოვლით სახლევლით მისით, რათა სრულიად
აღხოცონ ქრისტიანობა. მყის აღიძრნეს და მოიწვიენეს
კახეთად და დაიბანაკეს მუნ და დაემკვიდრნეს იგინი და

აღივსო სრულიად კახეთისა თემი (ქვეყანა), რამეთუ ვერა-
ვინ შემძლებელ იყო წინა აღდგომად მათდა სიმრავლისა-
თვის მათისა. იწყეს-რა შენებად ზემო ბახტრიანით ¹⁾ ...
ვიდრე ლანუხამდე (აწ ღიდი და პატარა ბონიუგი ნუხის
მაზრაში), რომელსა აწ ფაროპით უხმობენ, იმიერ და ამე-
ერ პლაზნის პირსა და ყოველთა აღგილთა ძახეთისათა.
შველა ამ აღგილებში დასახლებულთა სპარსელთა სახლე-
ულობანი იყენენ 80,000 კომლამდე.

ამ დროს ძახეთის მმართველად დროებით იყო ქარ-
თლის მეფე მაჰმადიანი როსტომი, პატარაობიდანვე გა-
ზრდილი სპარსეთში, მერმე როსტომის სურვილისამებრ-
დანიშნულ იქმნა (1657 წ.) სპარსელი სალიმხანი, კაცი
სასტიკი, უდიერი, მტარვალი. ქრისტიანობა ჩაეარდა სა-
შინელ მდგომარეობაში. მკკლესიანი, მოზნატერნი დან-
გრეულ, გაოხრებულ იქმნენ. ისლამთა მასწავლებელნი
სდევნიდნენ და აწვალებდენ მოვდელთა, ეპისკოპოსთა,
ქრისტიანეთა, აგინებდენ და სტანჯავდენ მათ. ღიდი, ძვე-
ლი და შესანიშნავი პლავერდის ტაძარი შეიქმნა მაჰმადიან-
თა სამლოცველოდ. მისი ძვირფასი ხატი გაცარცულ და
წაღებულ იქმნა. მოისპო ქრისტიანობა პლაზნის ველზე
და მხოლოდ ძენი მუშეთისანი, შამე-ხეესურ-თიანეთისანი,
ჩაკეტილნი მალალთა კალთათა შინა კავკასიისათა, კი-
დევ აღვიარებდენ (რასაკვირველია ცხადლივ) ქრისტესა.

¹⁾ „უტოს ხევის შესართავის პირის-პირ, პლაზნის აღმოსავლუ-
თის კიდესა ზედა არს ციხე ბახტრიანი ანუ მადრანისა, ესე ყოფილ-
არს დიდ-შენი და მაგარი განა აწ უქმი (ვახუშტი გეოგრ. გ.ვ.
320).

მაგრამ ამისთანა სავალალო დრომაც ქართველნი სასოწარკვეთილებაში ვერ შეიყვანა. ძიდვე იყვნენ მრავალნი ქრისტეს მხედარნი, რომელთაც იმედო ჰქონდათ გამოცხნათ მამული და ჰსჯული განსაცდელისაგან. ამგვარ პირთაგან, სხვათა შორის, იყვნენ მლიზბარ და შალვა ჭანის ქრისთაენი და ბიძინა ჩოლაყაშვილი, მმართველი ზემოისა ძახეთისა. ამათ იღუმალად ეხმარებოდა აგრეთვე არაგვის ქრისთაეი ზაალი.

ბამოჩენილთა ამა მამულის შეილთა შეჰკრიბეს ჯარი, მოუწოდეს ოსმ-შშავ-ხევსურთაცა, გადავიდნენ ძახეთს და დაეცნენ მტერსა და დაუწყეს სრვა და ხოცვა და ესოდენ ასწყვიტეს, ვიდრე სრულიად მოსპობადმდე და აოტეს და განაპნიეს და მოსრეს პირითა მახვილისათა და თვით სულთან იგი, მთავრად მათდა ჩინებული, ძლიეს-და შეესწრა ცხენსა და მცირედითა ოდენ კაცითა ივლტოდა, დამტყვებელი ცოლთა და შეილთა თვისთა; ხოლო მათ ყოველთავე აწყვიდეს და იავარ ჰყვეს და სრულიად მოსპვის და განაპნიეს.“ სპარსელნი; დაშთენილნი თ ცოცხლად, ლტოლვილნი თუკუნ სპარსეთად, ყოველივე მოახსენეს შაჰ-აბაზსა, რომელმაც უბრძანა მეფესა ქართლის შაჰ-ნაოზსა (ამ დროს მეფედ ქართლისა იყო მახტანგი—გამაჰმადიანებული შაჰ-ნაოზი), რათა შეიპყრნჳს ბიძინა, მლიზბარ და შალვა და წარუგზავნოს მას. მახტანგიც მოიქცა ბრძანებისა მეგრ ყვენისა. სამნივე ესე მხედარნი „განაშიშვლეს და სიცხესა შინა მხისასა ჰაერსა ქვეშე განყარნეს, შეკრულნი ხელით და ფერხით და დაკლებულნი შიშვილისა და წყურვილისაგან განკათულნი და ბუზთა და ბზიკთა მიერ უწყალოდ წერტილნი“. შემდეგ ამისა მლიზბარს და შალ-

ვას ,,წვივთა მათთა უხებქნეს მახვილნი და მუხლოთა ზედა დასცნეს ქვე და ეგრეთლა წარჰყვეთეს თაენი მათნი.“ ბიძინა ჩოლაყაშვილს კი, მრავალის გამოცდისა და წვალების შემდეგ, ასო-ასო დასჭრეს სხეული და ისრე მოჰკლეს (1661 წ.). საქართველოს ეკლესიამ სამწივე ესე სანატრელნი აღიარა წმიდანებად. ღლეობა მათი დღე აღსრულდებისა მათისა—18 სექტემბერი: სხეულნი წმიდათანი ¹⁾ სამწივე ჰმარხიან იკორთას ტაძარში.

არა უკეთეს მდგომარეობაში იყო ქრისტიანობა ქართლში. ჯერ როსტომის დროსვე მრავალნი ქრისტიანნი სპარსთა ზედ-გაელენისა და შიშისა გამო იღებდენ მაჰმადიანობასა. თვით მეფე მფარველი იყო მაჰმადიანთა. ეს იყო მიზეზი, რომელ მეფეს მკიცხავი, ქრისტიანეთ მჟარველი, შართლის ტახტზე თეიმურაზ I მსურველი, განათლებული ქათოლბუკოზი მედემოსი შეპყრობილ იქმნა როსტომისაგან და, რამდენიმე ხნის პყრობილობის შემდეგ, მალალის ციხიდან ჩაგდებულ მტკვარში. მაგრამ ჯერ არს აღენიშნოთ რომელ როსტომისაგანაც და მანტანგ—შაჰ-ნაოზისაგანაც ბევრი საქრისტიანო საქმე გაკეთდა. ამათ შემდეგ გამეფე-

1) სამნი მარტვირნი, სამებისად მსრბოლობენ;
ერის მთავარნი ორნი, ქსნის მძანებნი,

შალვა თვით იფრეებს, ელისბარით აღისუფევენ.
მატაკარანი ბიძინა, მათ წინა-მსწრობი,
ასოთ განთვისით, სპარსთაგან იაკბარს,
შტრიდით ნაჭვრად ნასხამთა კზმობს სიხარულით.

ბულმა მრეკლე I ¹⁾ გადააყენა სწავლული ქათოლიკოზი ნიკოლოზ და ბევრი ანო ქრისტიანობასა.

ჩვენი ეკლესიის მასწავლებელნი მაინც არა სცხრებოდნენ და ყოველ ღონისძიებას ხმარობდნენ ქრისტიანობის დასაცველად. იგინი, როგორც შინ, ისე გარეშე საქართვე-

1) 1658—1669 წლამდის საქართველოში უმოგზაურნია იერუსალიმის პატრიარქს პაისის, რომელსაც თან ჰქვამდა მთელი სინკლიტი და გამომჩენილი დოსითეოზი, რომელიც შემდეგ პაისის მოადგილის ნეკტარიოზისა აღვიდა ტახტსა ზედა იერუსალიმის პატრიარქისა. პაისი ღაზიკით, გურით შამოსულა იბერიაში, ყოფილა მცხეთას, თბილერში, გელათში, ქუთაისში, მოქვში და ყველგან უმოგზაურნია. მისი მგზავრობა დაწვრილებით აუწყრია დოსითეოზს თვის შესანიშნავს თხზულებაში «ისტორია იერუსალიმის პატრიარქთა» (Bulletin Scientifique თარგ. მ. ს. სეფეზნევისა). ამას გარდა შესანიშნავნია ეპისტოლენი თვით პატრიარქის დოსითეოზისა საქართველოსადმი. პირველი ეპისტოლე იწყობა ასრე: უებრწყინვალესო, უუდიდებულესო, უუმაღლესო და მრავალ-მშვენიერო, მეფეო ქართლისაო, და ყოვლისა ზემოსა იბერიისაო, ბატონო კირ-ნიკოლოზს (ე. ი. ერეკლე I)... (პატრიარქი მოიკითხავს, კურობევას უგზავნის, ჰსურს მისთვის სიცოცხლე და დღე-გრძელობა). შემდეგ ამბობს: ბაგრატიონთ შთამომავლობა, ესე იგი კეთილ-მსახურნი მცუენი ივერიისანი ძველადგანვე იყვნენ მთარველნი და კტიტორნი წმიდისა და ცხოველს მყოფელისა ქრისტეს საფლავისა. მთარველები იმიტომ, რომ ბერძენთ მეფეო, მისირის მეფეებთან ომების დროს, იერუსალიმის მონასტრები დაშთენ აღუგველნი მხოლოდ ივერიელთ მეფეთ წყალობით; კტიტორები იმიტომ, რომ ბერძენ-ფრანგთა სარაცინებთან ომების დროს ეს მონასტერნი სრულიად დაძველებულნი იყვნენ და ინგროდნენ, მაგრამ, როგორცა სჩანს ერთი ქართული სიგელიდამ, შენახულიდამ წმ. გოლგოთაში, ქართველთ მეფეთ განუახლებით და დაუცავთ იგინი. შემდეგ დოსითეოზი ჩამოსთვლის ყველა შეწირულებათა ქართველთასა, რომელიც მისივე ჩვენებით აღე-

ლოისა, ეკლესიის საქმეებში იღებდნ მონაწილეობას. მაგ. მოწოდებისამებრ პლექანდრიის პატრიარქის პაისისა საქართველოდგან მოსკოვში წინააღმდეგ ნიკონისა იგზავნებიან მიტროპოლიტი შვიფანე და არხიმანდრიტი პახომი.

შატეა ვიდრე 150,000 პიასტრსა (გროშსა); კიდევ სხოვს მეფესაც და ერსაც, რათა მიაწოდონ იერუსალიმის მონასტრებს საჩუქარი, რადგან მათ დასდებიან 100,000 პიასტრი ვალი. იერუსალიმის ტაძრებში წირვის დროს იხსენებიახო: მეფე დავითი, დედოფალი ელენე, მეფე ერეკლე I, დედოფალი ანა, ქათოლიკოზი ევდემოს, თეკლე, ლუარსაბი და სხ. ერეკლეს თავის დედა ელენესთან გაუგზავნია იერუსალიმის მონასტრებისათვის ერთხელ 1667 პიასტრი, მეორეთ 1,000 პიასტრი (იხ. ბროშ. Послания Иер. Патр. Досиѣ въ Грузію გვ. 1—26).

მოღვაწეობა ვახტანგ მე VI-სა. — ტიპოგრაფიის დაარსება და ბეჭდვა მრავალ-გვარ წიგნებისა. — დავა სპარსთა და ოსმალთ შორის საქართველოს ფლობისათვის. — ქრისტიანობა საშინელ მდგომარეობაში. — თეიმურაზ II მშვიდობიანობას ამყარებს. — იმერეთი-დგან იღვევებიან ოსმალნი. — ქუთაისში ტიპოგრაფიის დაფუძნება. — თელავსა და თბილისს არსდება სემინარიანი. — საქართველოს მოღვაწენი: ანტონი I, გაიოზი და სხვანი. — ქართველთ ბერნი აშენებენ ტაძრებს დარუბანდში, აშტრახანს და ყიზლარს, საცა დაარსეს სასწავლებელიცა.

უკეთესნი ღღენი დაუდგა საქართველოს მეფე ვახტანგ მე VI ღროს. თვით ვახტანგი იყო ღვთის მოყვარე, კეთილი, სწავლული კაცი. მან შეადგინა სჯულის კანონი ¹⁾, დამყარებული ქრისტიანებრივ სარწმუნოების სწავლაზედ და ამან ღიღად ღაიფარა ხალხი გარყენილობისაგან და მაჰმადიანთა სწავლისაგან. მეფემ აღიყვანა ქათოლიკოზის ტახტსა ზედა ხარისხ ჩამოხღილი ქათოლიკოზი ნიკოლოზ, (ღვთისმეტყველი და ფილოსოფოსი) რომლის სიკედილის შემდეგ ქათოლიკოზობა მისცა ძმასა თვისსა ღომენტი III, რომლის დახმარებით შეუდგა ეკკლესიების აგებას, დანგრეულთა და გაოჯრებულთა მონასტერთა განახლებას. ქრისტიანობის დასამკვიდრებელად და სასულიერო წოდების

1) ესე კანონნი შეიცავენ:

1. თვით ვახტანგისაგან შედგენილ 276 მუხლთა.
2. ბერძენთა კანონებს — სულ 420 მუხლი.

გასამხნევებელად შედგენილ იქმნა კრება სწავლულთა პირთაგან. ამისთანავე პირთაგან შესდგა კომისია, რომელმაც გამოიკვლია და შეადგინა ისტორია საქართველოისა ზიორგი ბრწყინვალისად მახტანგის დრომდის. მრავალნი საღმრთო და საერო წიგნნი¹⁾ აღბეჭდილ იქმნენ პირველად საქართველოში მახტანგისაგან დაარსებულ სტამბაში. აღბეჭდილნი სასულიერო წიგნნი იგზავნებოდენ საქართველოს ყოველ კუთხისკენ ეკკლესია-მონასტრებში სახმარებლად. მახტანგმავე დააარსა სასწავლებელნი, საცა ასწავლიდნენ ყველასა, განურჩეველად წოდებრსა და ხარისხისა: საღმრთო წერილსა, ფილოსოფიასა და სხვ. ამგვარის მისის მოღვაწეობით, საქართველოს მონასტრებიდამ მალე დროში სწავლა-მეცნიერება დატრიალდა მთელს საქართველოში და ხალხი, ცოტა არ იყოს, მოსულიერდა, როგორც ზნეობრივის მხრით, ისე ნივთიერის. მახტანგმა იერუსალიმის ტაძრებსაც მიაწოდა თვისი წვლილი. მან იერუსალიმის ქართველთ ტაძრებს გაუგზავნა 2,000 თუმანი (20,000 მანეთი). ძეხილთა ბერ-მონაზონთა ამისთვის მე-

3. სომეხთა კანონებს—სულ 431 მუხლი.
4. მეფის გიორგი VI კანონებსა—46 მუხლი.
5. აღბუღას კანონებსა, დაწერილთა 1446 წ.—სულ 176 მ.
6. მოსეს სჯულთა, გამოკრეფილთა დაბადებიდამ—სულ 52 მ.
7. ქათოლიკოზთა კანონთ, შედგენილთ იმერეთის ქათოლიკოზის ევდემოს II-საგან 1667 წ.—სულ 24 მუხლი.
8. ადგილობრივთა ჩვეულებათა, ძველებური დროიდგანვე დაშენილთა ხალხში—სულ 74 მუხლი და სულ 1499 მუხლი.

¹⁾ ეს წიგნები არიან: სახარება, სამოციქულო, დავითნი, დაბადება, ლოცვანი, ქართლის ცხოვრება, ვეფხვის-ტყაოსანი, სჯულის

ფეს გამოუგზავნეს სასწაულთ-მოქმედი ოქონის ლეთის-მშობლის ხატი, რომელიც ბოლო დრომდის ინახებოდა ბაენათის ტაძარში.

სამწუხაროდ ეკკლესიისა და საქართველოშია, ოსმალნი, რომელთაც ეპყრათ დასავლეთი ივერია, გაღმოვიდნენ აღმოსავლეთის ნაწილშიაც, გაიმარჯვეს სპარსელებზე და აღიყვანეს ქართლის ტახტზე გამაჰმადიანებული იესე, წოდებული მუსტაფა-ფაშად. მახტანგი კი, ფრიად შეწუხებული საქართველოს უნუგეშო მდგომარეობით, წავიდა რუსეთში ¹⁾ შემწეობის სათხოვნელად წინააღმდეგ სპარსთა და ოსმალთა. იესემ ხელ-ახლა გააერცელა მაჰმადიანობა. ააგო მეჩეთები და მფარველობა დაუწყო მაჰმადიანთა. ქრისტიანთა მფარველნი და უღეთო მეფის გამციცხაენი იყენენ ქათოლიკოზი ლომენტი და ლავით-ბარესჯის უღაბნოს წინამძღვარი იოანე სააკაძე.

ოსმალთა სრულიად საქართველოს ჯერ-ჯერობით მულობდენ ოსმალნი, მაგრამ სპარსელთ ფიქრადაც არ მოსდიოდათ მათთვის დაეთმოთ ეს ქვეყანა. იგინი ხშირად ეცემოდნენ საქართველოს, აოხრებდენ ეკკლესიებს და ატ-

წიგნი და მრ. სხვანი. ეს უკანასკნელი შემდეგში გადათარგმნილ იქნა რუსულად და 1837 წ. დაიბეჭდა პეტერბურღში, სენატის ტიპოგრაფიაში (პ. იოსელიანი).

¹⁾ ვახტანგისაგან რუსეთისადმი მიმართუა პირველი მაგალითი არ იყო შემწეობის სათხოვნელად კახეთის მეფეთ: ალექსანდრე I-მა (1492 წ.), ალექსანდრე II (1587 წ.), თეიმურაზ I (1619 წ.) მიჰპარეს რუსეთის ხელმწიფეთ იოანე III, თეოდორე იოანეს ძეს და იმანაც აღუთქვეს თვისი მფარველობა და შემწეობა (იხ. Ист. Рос. Рос. Карам. т. VI, გვ. 250, т. X, გვ. 63).

ყვევებდნენ ქრისტიანებს. ამასობაში ოსმალნიც განდევნეს ამერეთიდან, მაგრამ მალე (1723 წ.) ოსმალთ დიდი ჯარი წამოედგა სპარსელთა, დაამარცხა და განდევნა იგინი, გამოაცხადა თვისი მფარველობა ამერეთზედ და მას განუჩინა მმართველად — ფაშა, რომლის სატახტო ქალაქად გახდა ობილისი. სპარსელნი ხელ-ახლა წამოედანენ მათ. წაიკიდნენ დევები და შუაში კოზაკი გაჭყლიტესო, რომ იტყვიან, სწორეთ ისრე მოუვიდა საქართველოს რომლის ნიადაგზე ბრძოლამ ამ ორთა ხალხთა შორის ქვეყანა სრულიად გააოხრა, ზნეობით დასცა და გაალარიბა. მძლავრნი ოსმალნი ხარჯს გარდა კიდევ სხვაფრივაც ჰყველევადნენ არა თუ ხალხსა, თვით ეკლესიებსაც, მონასტრებს და ეპისკოპოსთაც. იმერეთის ხალხისაგან ყოველ წლივ, ფულს გარდა, იღებდნენ ხარჯად რამდენიმე ყრმასა და ქალსა; ამერეთზედაც გააწერეს ეს სამარცხენო ხარჯი. ზოგიერთი იმერეთის წარჩინებულნი იმდენად ზნეობა დაცემულნი იყვნენ, რომ ქრისტიანთა ჰყიდდნენ ოსმალთ ბაზრებში ¹⁾. ამერეთის ქათოლიკოზი დომენტი III ცხადლივ ჰკიცხავდა ოსმალთა. მაგრამ იგინი არას უგონებდნენ; მაშინ დომენტი ვაჟკაცურად წარსდგა სტამბოლის კარზედ სულტნის წინაშე, რათა აღხადოს საქართველოს

¹⁾ იერუსალიმის პატრიარქი თავის ეპისტოლეში იმერეთის, ოდიშის, საქართველოს, სვანეთის, ახაზეთის და სრულიად ქვემოის იმერეთის ქათოლიკოზს გრიგოლს (დორთქიფანიძე), სხვათა შორის, სთხოვს მოახდინოს კრება, რომელმაც აღუკრძალოს ყოველთა გაყიდვა ქრისტიანთა. ვინც არ დაიშლის, ის შეჩვენებო. ქრისტიანთ გამყიდავ მღვდლებს და ბერთ ჩამოსდეს ღირსება და შეჩვენებულ იქმნენ. (იხ. ქართ. სასულ. მახარ. მაისი 1866 წ.).

მწარე ესე სასმელი. ხოლო თბილისის ფაშის დაბეზლებით ღო-
მენტის არა თუ შეუსმინეს, არამედ ქათოლიკოზი დამწყვედელ-
იქმნა საბერძნეთის ერთ კუნძულზე. მცხეთის ტახტზე მოქრთა-
მეობით აღვიდა ძირილე. ამისთანა უნუგეშო მდგომარეობაში
იყო ივერია და, მაშასადამე, ქრისტიანობაც. ჭვეყანას ეჭი-
რებოდა მშველელი და კიდევ აღმოჩნდნენ. მსენი იყენენ
თეიმურაზ II და პრეკლე მეორე.

თეიმურაზი პატარაობიდანვე აღიზარდა სპარსეთის
კარზე. იგი იყო ახოვანი, მხნე და ერთგული სპარსეთის
შაჰის ნადირისა. თეიმურაზი ერთგულობისათვის დანიშნულ
იყო სპასეტად სპარსეთის ჯარისა. ზანძვინებულმა ნადირ-
მა თვით წამოიყვანა სპარსეთის მხედრობა, შეებრძოლა
ოსმალთა ჯარსა (80,000 კაცს), სახელოვანად დაამარცხა.
იგი და აიღო ზანჯა, თბილისი, პრევიანი და სხ. აქედგან
წავიდა სპარსეთში და იქ გაიწერა ძე თეიმურაზისა პრეკ-
ლე, გამოჩენილი და განთქმული თვისის ვაჟ-კაცობით,
მისი მამა თეიმურაზი კი დანიშნა მეფედ კახეთისა. — 1744 წ.
პრეკლეს მისცა ნადირმა სამეფო ძახეთისა და თეიმურაზს
სამეფო ძირთლისა.

მამა და შვილი შეუდგნენ ჭვეყნის შენებას. მათ
ჰმველოდა განათლებული ქათოლიკოზი ანტონი I, რო-
მელსაც შეუჩნდნენ ქათოლიკეთ მისიონერნი; მათთან
დაახლოვებისა გამო შესწამეს ანტონს ქათოლიკობის მიღე-
ბა და თეიმურაზმა განდევნა ¹⁾ იგი. საქართველოდგან-

¹⁾ ამასთანავე თეიმურაზმა ქართლიდგან სრულიად განდევნა
ქათოლიკეთ მისიონერნი და მათი ეკლესია შართლ-მადიდებლობით
უაპრად გახადა (შარდენ).

ანტონი წავიდა რუსეთსა, თავი იმართლა შუწმიდეს სინოდის წინაშე და დანიშნულ იქმნა არხიეპისკოპოსად პლადიმირის ეპარხიისა (1757 წ., 27 ნოემბერს.—*Бутк. ტ. I*).

მალე ნადირის წყალობა მოაკლდათ ქართველთ მეფეთა, რადგან ენის რიგიანად არ ემსახურებოდენ მას და სცდილობდნენ მის მფარველობილად გამოსვლას და რუსეთის ერთგულებას იჩენდენ. ნადირი იმუქრებოდა ქვეყნის აკლებას, რის გამო. *თეიმურაზი წავიდა რუსეთში შემწეობის და მფარველობის სათხოვნელად, ქართლ-კახეთის მეფედ კი დაუშთა მრეკლე II (1762 წ.)*.

სპარსეთში მოჰხდა არეულობა. ამით ისარგებლა მრეკლემ და შეუდგა ხალხისთვის და სარწმუნოებისთვის ზრუნვას. თბილისის ტაბოგრაფიაში აღბეჭდა ყოველ-გვარი სასულიერო წიგნები და დაურიგა ეკკლესიებს სახმარებლად. ღიწყო განახლება ზოგიერთის ეკკლესიებისა. რუსეთიდან გამოიწერა ანტონი I და ისევ ქათალიკოზობა მისცა. დაუღალავმა ამ პირმა, მეფის დახმარებით, მონასტრებში დაარსა სკოლანი ყრმათა სასწავლონი, მათთვის შეადგინა სახელმძღვანელონი და აგრეთვე შეთხზა და გადმოსთარგმნა მრავალი სხვა წიგნები ¹⁾ და ყოველ მონასტერს ბიბლიოთეკისათვის გაუგზავნა თითო ცალი.

1) ანტონ I შრომანი:

1, ღვთის-მეტყველება, 2, წყობილ-სიტყვაობა, 3, მზა-მეტყველება, 4, განმარტება მოციქულის პავლეს ეპისტოლისა რომაელთა მიმართ, 5, განმარტება 50 ფსალმუნისა, 6, სვინაქსარი, 7, ისტორია ეფესოს მსოფლიო კრებისა, 8, კატელორიანი არისტოტელისა, 9, ფილოსოფია ბაუპეისტრისა, 12 ქართული დრამატიკა და სხვანი.

ამწიარის მოღვაწეობით ანტონმა ბერ-მონაზონნი გაანათ-
ლა და სასულიერო წოდება შეიქმნა ღირსეულ მწყემსად
ხალხისა. მონასტერთა სკოლებში სწავლობდენ ყოველი
წოდებიდამ. ანტონის გამხნეებამ და მფარველობამ საქა-
რთველოში დაჰბადა მრავალნი განათლებულნი პირნი.
დეკანოზი ზაქარია მამაშვილი, ავტორი „ქატის ომისა“,
თბილისის მთავარ-ეპისკოპოსი ტიმოთე, ავტორი «მოგზაუ-
რობისა წმიდა ადგილებში», მთავარ-ეპისკოპოსი ბთანასე,
რომელიც მეფე მრეკლემ 30 მაისს, 1752 წ. გაგზავნა
რუსეთში იმპერატრიცა ელისაბედისაგან შემწეობის სათხო-
ვნელად. ბთანასე იქვე რუსეთში დარჩა და 21 დეკემბერს
1761 წ. უწმიდესის სინოდის ნება დართვით მოსკოვში
გახსნა ქართული ტიპოგრაფია და დაიწყო სასულიერო
წიგნების ბეჭდვა¹⁾ მისივე თხოვნით (20 ოქტომბერს
1769 წ.) უწმიდესმა სინოდმა ნება დართო გაეგზავნოს
საქართველოს ვედრონახევარი მირონი ეკლესიებში მოსახმა-
რებლად²⁾ (სინ. არხ. საქმე 1769, № 297). აგრეთვე ღვეითი
თბილისის სემინარიის რექტორი; ბაიოზი რექტორი ტე-
ლავის სემინარიისა. ამ განათლებულმა მოღვაწე-მთავარმა

1) კორრექტორად ბთანასეს ჰყვანდა მეღქმისედექ კავკასიძე. ტი-
პოგრაფიაში აღიბეჭდენ: დავითნი, ლოცვანი, ყამნი, სამოციქულო და
ანბანი სამს ენაზედ: ლათინურზე, ბერძნულზე და რუსულზე.

2) ამ დრომდის მირონს ან საქართველოშივე ჰზარშავდენ, ან იწერ-
დენ საბერძნეთიდან. ეხლა კი არეულობისა და შიშინაობისა გამო ვერც
საქართველოში მოხარშეს და ვერც საბერძნეთიდან გამოიწერეს. 1774
წელს მირონი უკანასკნელად მოხარშულ იქმნა მცხეთაში.

დაგვიტოვა მრავალი მეტად სასარგებლო შრომანი ¹⁾.
ამავე დროს გავრცელდა და მონასტრების სკოლებში შემოვიდა შესანიშნავი ლექსიკონი ²⁾ სულხან საბა ორბელიანისა, პაპა კლემენტი მე XI მეცადინეობით გაფრანგებულია. ამან მოიძვინჯა მეროპა, იყო იტალიაშიაც და სხ. საქართველოში დაბრუნების შემდეგ დასწერა აგრეთვე «სიბრძნე სიცრუის» წიგნი და სამოთხის კარი.»

იმერეთის საქმენი უნუგეშო მდგომარეობაში იყო. ოსმალთა მეცადინეობით წარჩინებულ გვართა და მთავრებ შორის ჩამოვარდა უკმაყოფილებანი, შინაური უფოთი. ოსმალთა და ახალციხის ფაშის ჯართა გააოხრეს მრავალნი ეკკლესიანი, მრავალი ქრისტიანე გააპაჰმადიანეს და ხალხში გაავრცელეს ვაჭრობა ქრისტიანებითა. ამ მდგომარეობაში მეფე სოლომონ პირველი ითხოვს შემწეობას რუსეთისაგან. რუსეთის ჯარი დაეცემა ოსმალთა იმერეთში, ამარცხებს მათ და შუთაისის ციხეში ჩაკეტილ ოსმალთაც მუსრს აღენს და ამნაირად ანთავისუფლებს იმერეთს მათ მფლობელობიდან.

ამის შემდეგ მეფე სოლომონ I მოიწვევს სასულიერო კრებას და ამკრებაზედ აღუქრძალავს ხალხს ტყვეთა

1) საეკკლესიო ისტორია, თარგ. რუსულიდან, სასულიერო რელიგიონტი პეტრე დიდისა, ღვთის-მეტყველება მიტროპოლ. პლატონისა, ისტორია ძველთა სამეფოთა, როლლენისა, ქართული დრამატიკა, შენიშვნანი საქართველოს ისტორიაზედ და სხვანი—სულ 13 წიგნი, გარდა ქადაგებათა.

2) ეს ლექსიკონი 1884 წელს საფასითა გორის ეპისკოპოსის ალექსანდრესი და რ. ერისთავის რედაქტორობით აღიბეჭდა თბილისში და იყიდება ოთხ მანეთად.

და ქრისტიანეთ ყიდვას. პინც არ დაემორჩილებოდა ამ ბრძანებას, იმას შეაჩვენებდნენ. მევე ზრუნავს და მოლვაწიობს ხალხისათვის და აგებს ეკლესიებს. მსმალნი, რუსთა წასვლის შემდეგ, ეცემიან სოლომონს და ამარცხებენ მას ჩაქეთან.

მევე სოლომონ II აგრეავე სცდილობს და მოლვაწიობს ხალხის ზნეობის გასაუმჯობესებლად. სამეგრელო-იმერეთ შუა მშვიდობიანობის ჩამოსაგდებად იგი ირთავს სამეგრელოს მთავრის ასულს მარიაშს, მრავალგან ხსნის სკოლებს. ქუთაისში აარსებს ტიპოგრაფიას და ჰბეჭდავს სასულიერო წიგნებს ¹⁾.

სამეგრელოს, მურჩას, იმერეთს, ამერეთს და, საზოგადოდ, მიელს საქართველოს, როგორც ვხედავთ, ჰყვანდნენ თვისნი მოღვაწენი და კეთილნი მწყემსნი, რომელნიც ხშირად შეფეთ და მთავართ ჩამომავალნი იყვნენ და ამ მრავალ ტანჯულ ქვეყანაში იყვნენ სვეტნი სარწმუნოებისა. სახსოვრად შთამომავლობისა აქ მოვიხსენებთ რამდენიმე მათგანს:

ა) ანტონი ჰყონდიდელი (დადიანი), რომელმაც დაჰსწერა: რამდენიმე სიტყვა საუფლის წულო დღეთათვის, ცნობანი თავის დროინდელ ჟამისა, სია იმერეთის, მურჩის და სამეგრელოს მღვდელ-მთავართა.

ბ) ძათოლიკოზი საქართველოისა ზაქარია, მწერალი თავის დროინდელი (1617 წ.) ისტორიისა.

¹⁾ სოლომონის ტიპოგრაფიაში აღიბეჭდნენ: სახარება, სამოციქულო, უაზნი, დავითნი და სხ.

გ) ლოსითეოზი, ნეკრესის ეპისკოპოზი, ფილოსოფოსი (1671 წ.).

დ) მედომოსი აბხაზეთის კათოლიკოზი (1662 წ.), შემადგენელი კათოლიკოზთა კანონებისა (ნომოკანონი).

ე) არსენი ნიკორ-წმინდელი, ლეთის-მეტყველი, ფილოსოფოსი, განმმარტებელი საღმრთო წერილისა. უბიწო, უმანკო ცხოვრებით განთქმული და წოდებული ანგელოზად.

ვ) მეფის ოციმურაზის და მკრინე, სამშობლო წმიდანთათვის საგალობლების შემადგენელი.

ზ) იოანე ჩხატაურელი (ბურიილამ), ბერ-მონაზონი, გამლექსავი ისტორიისა და შესხმათა წმიდანთათვის, აგრეთვე მომთხრობი საქრისტიანო ისტორიისა ჭობულეთში და დასავლეთ ბურიაში (1698 წ.).

ც) იოზი, არხიმანდრიტი შიღარეთისა, წამებულთათვის საგალობლების დამწერი (1691 წ.).

ო) იმერეთის კათოლიკოზი ნიკოლოზ, განმმარტებელი საღმთო წერილისა და საღმთო ისტორიისა (1710 წ.).

ი) საქართველოს კათოლიკოზი ზესარიონ (1724 წ.), ისტორიკოსი და ლეთის-მეტყველი.

ია) ლომენტი III, კათოლიკოზი, რომელმაც შეადგინა საბერძნეთის ეკლესიის წმიდანთა ცხოვრების აღწერა.

იბ) ბედეონი, იშხანის მღვდელ-მთავარი.

იგ) თბილისის მთედელ-მთავარი იოსები, სწავლული, განათლებული კაცი, მწერალი და ფილოსოფოსი.

იღ) იაკობ I, იმერელი, მწერალი; მოიგზავრა პალესტინა.

იე) ღეკანოზი მიხეილ, რომელიც ჰბეჭდავდა წიგნებსა თბილისში.

ივ) პროველის ეპისკოპოსი ნიკოლოზ, მბეჭდავი სასულიერო წიგნთა თბილისში.

იზ) მცხეთის მღვდელ-მთავარი ბრიგოლ, რომელიც შრომობდა მანტანგის «სწავლულთა კომპისიაში».

იბ) იოსებ სამეხელი, რომელმაც მოსკოვში განიხილა დაბადება და მეფის ძის ბაქარის ბრძანებით იგი აღსაბეჭდავად დაამზადა.

ით) იერომონაზი ბრიგოლ (მახვახიშვილი), აღმწერი მეთევანის წამებისა და სხ.

კ) საბა ნინოქმინდელი, ღვთისწიერი და განათლებული ეპისკოპოსი.

ამათ გარდა თვისის მაღალ-ზნეობრივის ცხოვრებით და მოღვაწეობით განითქვენენ: მანგლისის ეპისკოპოსი იოანე ¹⁾, სასწაულო-მოქმედი; ნეკრესის ეპისკოპოსი ზე-

¹⁾ ეს იყო ძე გიორგი სააკაძისა (პ. იოსელიანი), დაიბადა 1666 წ. იყო გარესჯის ბერთ-უბნის იერომონაზად. მიიღო მანგლულობა. შემდეგ მიიღო წინამძღვრობა ხირსის მონასტრისა და ქადაგებდა ქრისტიანობას საინგილოში და კახეთში. 1724 წ. წავიდა დარუბანდში, საცა აიშენა ეკლესია და დაიწყო ქადაგება დაღისტანში. 1730 წ. უუწმიდ. სინოდის ნება-დართვით ააშენა იქვე ქვის ეკლესია მარიამ დედის შობისა და ერთიც ზღვის პირზედ წმ. მოწამისა ევატერინასი. 1737 წ. წავიდა აშტარხანში და დადგა ტროიცკის მონასტერში. აქ მან ააშენა წმ. ღვთის-მშობლის ეკლესია, რომელიც 1746 წელს უუწმ. სინოდმა ტონასტრად აღიარა. წინამძღვრად დაინიშნა ქართველი გერ-

ნონი, გენნადი, პლავერდის მღვდელ-მთაფარი ზენონი,
ხარჭაშნელი ეპისკოპოსი მიქტორი, სერაპიონი
და სხ.

მანოზი. იოანესავე მოთავეობით ყიზლარში აშენდა ფვართ-ამაღლების
ეკლესია ქართველთათვის და იქვე 1737 წ. ქართველმა არხიმანდრი-
ტმა დანიელმა დააარსა სასწავლებელი. აქვე აღესრულა იოანე 1752 წ.
სხეული მისი მოტანილ იქმნა საქართველოში და სიფხვის სობოროში
დასაფლავებულ. ნათლის-მცემლის უდაბნოს იერომონაზი იოანე თვისა-
გან შედგენილს წიგნში (ფვარ. მოსილი) ჳმოწმობს. რომელ სიკვდი-
ლის შემდეგაც იგი აზღენდა სასწაულებსა Цут. Зап. по Дагест-
гв. 51 და Оп. Др. г. Тифл. 160—162 ვლ. იოსელიანისა).

საქართველოს მდგომარეობა მე XVIII საუკ. დასასრულს.—ქრისტიანობა ამ დროს.—საქართველოს შეერთება რუსეთთან.—გავრცელება ქრისტიანობისა საინგილოში, სამცხე—საათაბაგოში.—უკანასკნელი ქათოლიკოზი საქართველოსა.—სია ყველა ქათოლიკოზთა.—ნინოს ვაზის ჯვარი.—პირველი ექსარხოსი.—დაყოფა საქართველოსი ახალ ეპარქიებად.

არა უმცირეს ხსენებულთა გვამთა ერისა და ქრისტიანობისათვის იღვაწეს შემდეგთა პირთა: მეფეთა: თეიმურაზ I, თეიმურაზ II, არჩილმა, ბატონიშვილთა: მახუშტიმ (ძე მახტანგ მეექვსისა), ბაქარმა, იოანემ, ლავითმა და მრავალთა სხვათა. ჰველა ამათგან ერს დაშთა სასულიერო და საერო თხზულებანი, რომელთაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდათ ხალხის ქრისტიანებრივად აღზრდისათვის და გონებრივად ამაღლებისათვის.

ნუ ვინ იტყვის, რომ ქართველნი ამ დროს მოსვენებით ყოფილიყვნენ. პირიქით ეს დრო საშინელი დრო იყო საქართველოსათვის. მრავალნი გარეშე მტერნი: ოსმალნი, სპარსელნი, ლეკნი, განძენებულნი საქართველოზე მოწვევისათვის რუსის ჯარისა ქავკასიაში და მათ მთა-

რველობაში შევლისათვის, შუოთი და დავი-დარაბუ სამეფო გვარში და მეფუსადმი ორგულობა ზოგიერთა მებატონეთაგან — აი სურათი საქართველოს მაშინდელი მდგომარეობისა. თვით მეფე მრეკლე იყო მოხუცებული. მისი ბასრი ხანჯალი ისრე ველარა სჭრიდა, როგორათაც წინად. მას აღარ შეექლო ერთსა-და-იმავე დროს პასუხი ეგო ხ.ნ.თათვის, კარელთათვის, სპარსთათვის, ლეკთათვის, ოსმალთათვის და ოსთათვის. ქრისტეს მტერნი იერიშით მოდიოდნენ ქვეყნის დასაზრბევად. ამ მდგომარეობაში მრეკლე ხელ-ახლა მაიქცა რუსეთის ხელმწიფისადმი და სთხოვა შემწეობა და უზენაესი მფარველობა. ამასობაში შაჰი ალა-მაჰმად-ხანი დიდის ჯარით შემოდის საქართველოში ქრისტიანობის ამოსაფხვრელად. მოხუცებული მრეკლე მას მცირე ჯარით უმაგრდება თბილისში, პირველად კიდევ ამარცხებს მტრის ჯარს, მაგრამ ბოლოს მარცხდება, მტარვალი შემოდის ქალაქში 10 სექტემბერს, 1795 წ. მრეკლე მიილტვის ანანურისკენ. — მთელი ქალაქი გაცარცვეს მტერთა. ქრისტიანნი დახოცეს. მკვლესიანი შეურაცხ. ჰყენეს. თბილისის მღვდელ-მთავარი ღოსითეოზი მისის სასახლიდამ ჩააგდეს მტკვარში. დახოცეს სხვა მღვდელნიც. ღეთის-მშობლის ხატნი: სიონისა და მეტეხისა ამ დროს დაიკარგნენ სამუდამოდ. თვით საფლავნიც აღმოთხარეს და საყდარნი და ქალაქის შენობანი პირქვე დასცეს. ამნაირივე დღე დაადგა თითქმის მთელს საქართველოსაცა.

მოხუცებული მრეკლე II 1798 წელს გარდაიცვალა და უკანასკნელმა მეფემ ბიორგი XIII (ძე მრეკლესი), ქვეყანაში მშვიდობიანობის ჩამოსაგდებად, საქართველო დაუ-

თმო რუსეთის იმპერატორსა (1800 წ.) და მის შთამომავლობას წარსამართავად ქვეყნისა; დასაცველად ერისა და მისის საყვარელი სჯულისა. ასრე მოიქცნენ აგრეთვე მეფე იმერეთისა და მთავარნი: სამეგრელოსა, ბურჯინისა, სვანეთისა და აფხაზეთისა. 1829 წ. რუსეთმა დაიპყრო საათაბაგოს ერთი ნაწილი, 1878 წელს კი მთელი საათაბაგო, გარდა ლაზისტანისა, რომელიც ისევ დაშთა მსმალეთსა. 1850—1863 წლამდის სრულიად დაპყრობილი იქმნა ძველი ქალაქი, ჰერეთი და პლზანია, ე. ი. ზაქათალის მაზრა (საინგილო) და ღალისტანი. ღროთა ვითარებისა გამო ღალისტანში სრულიად მოსპობილი იყო ქრისტიანობა და საინგილოში, თუქცა ხალხი საჯაროდ აღვიარებდა მაჰმადიანობასა, ხოლო ჩუქად კი ისევ სწამდა ქრისტე. რა წამს რუსებმა დაიპყრეს ეს ქვეყანა, იმავე წამს შეიღთა ინგილოთა ¹⁾ მოთავეობით ქრისტიანობა მიიღეს, თითქმის, ყველა გამაჰმადიანებულთა ქართველთა. სამწუხაროდ, საათაბაგოში უფრო ღრმად გაედგა თესვი მაჰმადიანობასა, სიახლოვისა და დიდი ხნის მფლობელობისა გამო ოსმალთა. თითქმის მთლად ხალხი გამაჰმადიანებულ იყო და ეხლაც უმეტესი ნაწილი ხალხისა მაჰმადიანია და ზიზლით უყურებს ქრისტიანობასა. ღიდნი და მშვენიერნი ტაძარნი ამ ქვეყნებში (ოფიზისა, სათლელისა, საფარისა, მარძიისა და სხვ.), მოწამენი წარსულის ღროისა, ეხლაც

1) ესენი იყვნენ: ი. ბულულაშვილი, გიორგი ჯანაშვილი, კ. ბულულაშვილი, ს. დარეჯანაშვილი, ნ. თამაზაშვილი და სხ.

გაოხრებულნი არიან ¹⁾. ხალხი, მცირე ნაწილის გარდა, ისევ ლოცულობს მეჩეთში. ძველ არანში (ბანჯის მხარე) ქრისტიანობის ხსენებაც აღარ არის. თუშეთში, ხევსურეთ-შავეთში, სვანეთში, აბხაზეთში ქრისტეს ეკლესია შეი-რყა... ამ ქვეყნებში ზოგიერთი არიან მაჰმადიანნი, ზო-გნი კი, თუმცა ქრისტიანობენ, მაგრამ ქრისტიანებრივს წესებს არ აღსრულებენ ისე, როგორც ჯერ არს...

საქართველოს უკანასკნელ ქათოლიკოზად ²⁾ იყო

1) იხ. ამისთვის ძვირფასი შრომა დ. ბაქრაძისა «Археол. пу-теш. по Гурин и Адчарб.»

2) არჩიეპისკოპოსნი და ქათოლიკოზნი საქართველოსანი:

ა. არჩიეპისკოპოსნი.

ა, იოანე I 318-364 წელს.	ვ, იოანე II 434 წელს.
ბ, იაკობ 364-379 —	ზ, გიორგი — —
გ, იობი 379-405 —	შ, ვასილი — —
დ, ილია 405-408 —	თ, მოზიდანნი 434-446 წ.
ე, სიმეონ 408 —	ი, მიხეილი (მიქელ) 446-457

ბ. ქათოლიკოზნი:

1, პეტრე 457 წ.	9, სამუელ II 587 —
2, სამოელ I 499 —	10, სიმეონ II 600 —
3, თავბეჩალ 541 —	11, ბართლომე 603 —
4, ჩილირმან 542 —	12, იოანე I 620 —
5, საბა 555 —	13, ბაბილე 629 —
6, ევლავიოზ 560 —	14, თაბორი 663 —
7, მაკარი 572 —	15, იოანე II 717 —
	კლემენტი 900-903
8, სიმონ I 581 —	16, იოანე III 1089 —

ანტონი II (ძე შრეკლე II-სა), რომლის დროს საქართველოს დაუბრუნდა ძვირფასი საუნჯე — ნინოს ვაზის ჯვარი

17, ნიკოლოზ I 1150 წ.	38, აბრამ II 1494 —
18, მიხეილ (მიქელ) I 1160 წ.	39, ვასილი II — —
19, თეოდოსი I 1169 წ.	40, დოროთეოზ II 1522 —
20, იოანე IV 1171 —	41, მელქისედეკი 1525 —
21, თეოდოსი II 1202 —	42, გერმანოზ 1532 —
22, ნიკოლოზ II 1209 —	43, ნიკოლოზ V 1548 —
23, ევთიმე I 1216 —	44, დომენტი I 1559 —
24, ნიკოლოზ III 1240 —	45, მალაქია 1580 —
25, აბრამ I 1279 —	46, ზაქარია 1603 —
26, ევთიმე II 1301 —	47, ევდემონ II 1634 —
27, ვასილი I 1345 —	48, ქრისტეფორე 1642 —
28, დოროთეოზ I 1357 —	49, დომენტი II 1660 —
29, გიორგი I 1375 —	50, ნიკოლოზ VI 1675 —
30, ელიოზ I 1391 —	51, იოანე V 1688 —
31, მიხეილ (მიქელ) II 1396 წ.	52, ევდემონ III 1704 —
32, დავით I 1407 წ.	53, დომენტი III 1705 —
33, ელიოზ II — —	54, ბესარიონ 1724 —
34, თეოდორე — —	55, ნიკოლოზ VII 1741 —
35, შიო 1430 —	56, ანტონი I 1744 —
36, დავით II 1462 —	
37, ნიკოლოზ IV — —	57, ანტონი II 1788-1811 წ.

ქათოლიკოზნი აბხაზ-იმერთანი:

ა, არსენი 1390 წ.	ი, სიმონ 1666 წ. (მოკვდა)
ბ, იოაკიმე 1472 —	კ, ევდემონ II — —
გ, მალაქია I 1533 —	ლ, დავით 1680 წ.
დ, ევდემონ I 1582 —	მ, გრიგოლ II 1731 —
ე, ევთიმე — —	ნ, გერმანოზ 1742 —
ვ, მალაქია II 1628 —	ა, ნიკოლოზ — —

რი ¹⁾ (განკარგულებისამებრ იმპერატორისა ალექსანდრე I-სა 15 ოკტომბერს, 1801 წელსა). ანტონი II ჰმართავე და სამწყსოს 1788 წ. 1811 წლამდე. მისივე გამგეობაში

ზ, მაქსიმე I — — — — — ო, იოსებ 1779 —

ს, გრიგოლ I 1631 — — — — — პ, მაქსიმე II —

თ, ზაქარია 1658 — — — — —

კირონი (V საუკ.), ილია (XI საუკ.), არსენი (XI საუკ.)

¹⁾ სივრძე ჯვრისა არის $I\frac{1}{4}$, სიგანე $\frac{3}{4}$ არშინი. შეკრულია თმებითა ნინასითა. ჯვრისთვის გაკეთებულია ძვირფასი გვადრუცი (კიდობანი) ქართველთა მეფეთაგან. შემდეგ აღსრულებისა მოციქულთა-სწორის, ჯვარი ინახებოდა მცხეთის სამთავრო ტაძარში. 457 წელს წმ., შუშანიკის განკარგულებით შიშისა-გამო ცეცხლთაყვანის-მცემელთა, იგი წაღებულ იქმნა ტაოში და აქედგან რამდენიმე ხნის შემდეგ გადიტანეს სპერში და იქიდგან კაპოეტის ციხეში. შემდეგ ამისა ჯვარი ესე გადაჭმონდათ ერთი ადგილიდგან მგორეში: ვანანდში და ქალაქ ანს. ჯვარი ვაზისა მცხეთის სობოროში იმყოფებოდა 175 წ., კაპოეტის ციხეში და ვანანდში 459 წ., ყარსში 164 წ., ანში 142 წელს. ანის აღების შემდეგ მონგოლთაგან დედოფალმა რუსუდან და ეპისკოპოსთა გამოითხოვეს იგი და დასდვეს ისევ მცხეთის ტაძარში. შემდეგში, როდესაც შიშეანობა იყო საქართველოში, ჯვარი ვაზისა დამალეს წმ. სამების ეკლესიაში — ყაზბეგში, მემრე ანანურში და შემდეგ არშის ციხეში. 1749 წელს საქართველოს მიტროპოლიტმა ტიმოთემ საიდუმლოდ წაიღო იგი რუსეთში და მიართო მეფის ძეს პაქარს. 1801 წ. პაქარის შვილის-შვილმა გიორგი ალექსანდრეს ძემ მიართო ჯვარი იმპერატორს ალექსანდრე I, რომელმაც მგორე წელიწადსვე გამოუგზავნა ქართველთა. ანტონიქათოლიკოზი ღიდის ამბით მიეგება ჯვარს თბილისის გარე, მიიღო ჯვარი კოვალენსკისაგან, წაიღო და დასდო სიონის სობოროში, საცა ეხლაც ასვენია.

1795 წლიდან იყო სამწყსო მთელი საქართველოსა ¹⁾. 10 იელისს, 1811 წელს ანტონი დათხოვნილ იქმნათვისის თანამდებობიდან ²⁾; უქაზისამებრ იმპერატორისა ქათოლიკოზობა გაუქმდა და მაგიერ ამისა დაწესდა ექსარხობა. ამასთანავე ექსარხობებს მიენიჭათ უფლება წოდებულ იყვნენ წვერად უწმინდესის სინოდისა. პირველი ექსარხობის საქართველოსა იყო ვარლამი (მრისთავი). საეკლესიო საქმეების წარსამართავად დაარსდა დიკასტერია. იმერეთის ეკლესიას კი ჯერჯერობით 1811 წლიდან დამოუკიდებლად განაგებდენ იქაური არქიელნი. 1815 წელს თბილისში დაარსდა „საქართველო-იმერეთის სინოდის ძანტორა.“ 1814 წ. ვარლამის ³⁾ მაგიერ ექსარხობად დაინიშნა რიაზანისა და ზარაის არხიეპისკოპოსი თეოფილაკტე ⁴⁾. აჰან გახსნა თბილისში სასულიერო სემინარია, თელავში, ბორში და სიღნაღში კი სასწავლებელნი. ამგვარივე სასწავლებელი გახსნა ქუთაისშიაც. ამავე დროებში დაწესდა „ოსეთის სასულიერო კომისია“ გასაერცვლებ-

¹⁾ 1795 წ. კიევში გარდაიცვალა უკანასკნელი ქათოლიკოზი აბხაზ-იმერეთისა მაქსიმე II.

²⁾ ქათოლიკოზი ანტონი II გარდაიცვალა ნიჟნი-ნოვგოროდში 1828 წ. 21 ნოემბერსა, 66 წლისა.

³⁾ ვარლამი, გაწვეული რუსეთში, გარდაიცვალა მოსკოვში 1830 წელსა.

⁴⁾ ვარლამის და თეოფილაკტეს გარდა საქართველოს ექსარხობებად იყვნენ შემდეგნი: მიტროპოლიტი იონა, არხიეპისკოპოსნი: მოსე, ევგენი, ისიდორე, აწ მიტროპოლიტი პეტერბურლისა, ევსევი, თონაივე, აწ მიტროპოლიტი მოსკოვისა და 1882 წლიდან სუფევს აწინდელი ექსარხონი, მაღალ-ყოვლად უსამღვდელოესი არხიეპისკოპოსი შავლე.

ლად და აღსადგენად ქრისტიანობისა მთებში. ამერეთში დაწესდა თანამდებობა ეპისკარისა, სახელ-წოდებით „ეპისკოპოსი ზორისა.“ ბოლბეში დატოვებულ იქმნა 1830 წლამდე მიტროპოლიტობა შიზიყისა. 1819 წ. იმერეთი-დამ რუსეთში გაწვეულ იქმნენ: ჭუთათელი ღოსითეოზი და ზენათელი მეთიმე (პირველი ჰმარხია ანანურში, მეორე ნოვგოროდის გუბერნიაში, ალექსანდრესვირის მონასტერში); იმერეთში დაწესდა ერთი ეპარქია—ჭუთაისისა. აწ ჰყონდიდის ეპისკოპოსი ანუ სამეგრელოსა და ეპისკოპოსი ზურჩისა ემორჩილებიან ჭუთაისის ეპისკოპოსს და მასთან ერთად საქართველოს ექსარხოსს, რომელიც თავის მხრით ემორჩილება უწმინდესს სინოდსა. სამწყსოის გარდა, ექსარხოსი განაგებს ობილისის სემინარიასა, თელავის, ობილისის, ზორის, ჭუთაისის და სამეგრელოს (ე. ი. ჰყონდიდის) და ზურჩის სასულიერო სასწავლებელთა.

დაგათმვა.

მირონის კურთხევა—სასახლის წესნი.—ხარის-
ხნი სასულიერო წოდებისა.—ღირსება სასულიერო პი-
რთა.—საეკლესიო გალობა ქათოლიკოზ-პატრიარქ-
თა შესამოსელი.—ქათოლიკოზ-პატრიარქთა შესა-
მოსელი.—ქორონიკონი.—დღესასწაულნი წმიდან-
თათვის.

მირონის კურთხევა. წესნი მირონის კურთხევისა
დაადგინა სრულად საქართველოს მეფემ არჩილ შირველმა,
446—450 წლებში. მირონი იხარშებოდა მცხეთის სამთავ-
როს ტაძარში. ამ დროს ესწრობოდნენ: მეფე, ერისთავნი, ყვე-
ლა ხელთ-უთვალნი და არჩიელნი. როდესაც დიდ ხუთშაბათსა
ყველანი წესისამებრ შეიკრიბებოდნენ, მაშინ სამთავროს მიტ-
როპოლიტი უნდა მდგარიყო მირონის მოსახარშავ მასალებთან.
ქებაებს საკურთხეველიდამ გამოიტანდა სოლომ სამთავროს მიტრო-
პოლიტი; მირონის მოხარშვის შემდეგ ბეჭედს ასომდა ქადაგი.
ამ დროს ყველა ეპისკოპოსთა უნდა სჭეროდათ თითო ჭურჭე-
ლი მირონი, მგალობელნი კი, დამდგარნი გარეშემო სვე-
ტის-ცხაკელისა, გალობდნენ საღმრთო საგალობლებსა.

სასახლის წესნი. ,,მეფის კურთხევის დროს, როდესაც
მეფე დაბრძნდებოდა ტახტსა, მაშინ მბრძანებლობდა ქათოლი-
კოზი საქართველოსა; იგი დაჯდებოდა მარჯვენით მეფის ტა-
ხტისა ბაღიშთან სავარძელზე. შემდეგ შემოვიდოდა ჭურჭლი დიდ-

ლი და ბალიშის სავარძელზე დაჯდებოდა მარცხნივ ტახტისა; შემოვიდოდა მიტროპოლიტი დიდისა სამცხისისა და ბალიშის სავარძელზე დაჯდებოდა ქათოლიკოზის გვერდით. შემოვიდოდა სამთავროს აჩხუბისკოპოსი და დაჯდებოდა იმისთანავე სავარძელზე მიტროპოლიტის გვერდით. შემოვიდოდა ალავერდელი და დაჯდებოდა ჭყონდიდელის გვერდით სავარძელზე უბალიშოთ. ქიზიყელი დაჯდებოდა ალავერდელის გვერდით უსავარძლო უბალიშოთ. ქუმურდელი დაჯდებოდა ქაზიყელის ქვემოთ; ნინოწმიდელი ამის ქვემოთ, იშხნელი ნინოწმიდელის ქვემოთ, ანჩელი იშხნელის ქვემოთ, მტბეკარიელი აჩხუბის ქვემოთ, წურწყასელი მტბეკარელის ქვემოთ, წყაროსთაველი წურწყასელის შემდეგ, ერბუნიისელი წყაროსთაველის შემდეგ, მანგელი შემდეგ ერბუნიელისა, წინწყარელი შემდეგ მანგელისა, რუსთაველი—წინწყარელისა, წიღენელი—რუსთველისა. კაწარიელი—წიღენელისა, ურბნელი—კაწარელისა, რუისელი—ურბნისელისა, სამთავრნელი—რუისელისა, ნიქოზელი—სამთავრნელისა. შემოდიოდნენ აგრეთვე არქელნი ცხუმისა და ბუდიისა. შემდეგ ამისა სხდებოდნენ მუარე სარისხის არქელნი (მამათ მთავარნი) ამ ნაირად: კალაშკეტიისა შემდეგ ნიქოზელისა, ბოლნელი—კალაშკეტელისა, ანელი—ბოლნელისა, კარისელი—ანელისა, ხარჭაშნელი—კარისელისა, თბილისელი—ხარჭაშნელისა, წალკელი—თბილისელისა; ბანელი—წალკელისა, ჭეკემელი—ბანელისა, დმანე-

ლი — ჭერქემელისა, დ მ ა ნ ი ს ე ლ ი — დადაბენდელისა, გ ი შ ე ლ ი
 (ნუხის მარცხში) შემდეგ დადაბენდელისა. შემოდოდნენ
 აგრეთვე მონასტერთა წინამძღვარნი და უფროსნი და სხვებოდნენ
 ხარისხისა-მებრ თავ-თავიანთ არქელებთან. (იხ. მცხეთის გუ-
 ჯარი № 286).

ხარისხნი სასულიერო წოდების. უმაღლესს მწყემსს
 საქართველოში იწოდებოდა „ქათოლოგოზ-პატრიარქი“
 და არა პატრიარქი, როგორც სხვა ქვეყნებში (მთელს
 მსოფლიოში პატრიარქნი იყვნენ სუთნი); ამის გარდა საქარ-
 თველოში დაწესებულნი იყვნენ შემდეგნი სასულიეროებისანი ანუ
 ხარისხნი სასულიერო წოდებისანი:

ა) მთავარ-ეპისკოპოსი. ამ ხარისხით აღჭურვილნი
 იყო მხოლოდ არსიებისკაცისი მცხეთისა, პირველი პირნი
 შემდეგ ქათოლოგოზ-პატრიარქისა; ყველა სხვა ეპარქიათა გამგე-
 ბენი იწოდებოდნენ არსიებისკაცისებად, რომელთა ქვემდგ-
 ბარებოდნენ ეპისკოპოსნი და ქორ-ეპისკოპოსნი.

ბ) ქორ-ეპისკოპოსნი ანუ სოფლის ეპისკოპოსნი,
 რომელნიც სშირად იწოდებოდნენ მიკროპოლიტებად ანუ მცირე
 ქალაქთა და სოფელთა სამწყურების გამგებლად.

გ) მიტროპოლიტი ანუ ეპისკოპოსი უმთავრესის
 და პირველის ქალაქისა მარცხში. ესენი იყვნენ მწყემსნი ქალაქ-
 ბისა და ემორჩილებოდნენ ქათოლოგოზ-პატრიარქსა და არ ემორ-
 ჩილებოდნენ არსიებისკაცისთა, როგორც ეპისკოპოსნი.

დ) ჭყონდიდელი (ამაჲედ იხილეთ ზემოთ გვ. 106)

ღირსება სასულიერო პირთა: ქათოლოგოზისა პატრიარქ-
 მუფისა თანა; ეპისკოპოსთა — ერისთავთა თანა, მღვდელთა აზ-
 ხაურთა თანა, მონასტერთა მამათა და წინამძღვართა მთავართა
 თანა (ისტ. ვახუშტისა გვერ 12).

საეკლესიო გაღობვა გადმოინერჯა საქართველოში
ხანიიდან და საბერძნეთიდან. ეს გაღობვა ნოტებსე დაწყო-
ლი და მტკიცებულთა გუნდის საგალობელი კი არ იყო, არა-
მედ კი თხვა-გალობა. ამ გვარში კითხვა-გალობა გავრცე-
ლდა ჯერ ანტიოქიაში და აქედან მთელს აღმოსავლეთში.
ესი ამნაირის გალობას მდგომარება იმაში, რომ დიაკონი
საგალობლებს ჰკითხულობ-გალობდა და მის შემდეგ იმსკუ-
თმეობრება მლოცვაკი ხალხი. გუნდთა და დასთა გალობა შე-
ძობდა საქართველოში შემდეგში. ამნაირი გალობა ამერეთში
დავიწყებული იყო და ქათალიკოს ანტონ I-გადმოიტანა იგი
ამერეთიდან

ქათალიკოს-პატრიარქთა შესამოსელი: შავი ბარტ-
ყულა, რომელსედაც ჩაკრებული იყო ორი სურათიმი მარგა-
ლიტობითა და სხვა ძვირფასი ქვებითა, იმსუდგე ძვირფასი
ჯვარი. წამოსასხამი (მანტია) ხვერდისა კურცხლის წინწყლე-
ბით, მიტრა ჯვრითა და კბილებიანი კვირკინით. მღვდელ-
მოქმედების დროს ორი პანაგია ჯვარდინად.—1800 წ. იმჟ-
ნატომმა პავლე I-მა ანტონი II-ს უბოძა თეთრი ბარტყულა
სურათიმიებითა.

ქორონიკონი (ხრონოს—დრო) ანუ წელთა და
დროთა აღრიცხვა, რომელსეც რომელსედაც ინდიკტი ანუ ინდი-
კტიონი ჰქვანს. ქორონიკონის ერთი კვკლოსი (ციკლი) უდრის
532 წელსა. რომელსეც ერთი კვკლოსი დასრულდება და დაიწ-
ვება შემდეგი კვკლოსი, მაშინ პლანეტნი ჩადგებიან ისევე იმ
კვალში, რა კვალშიაც იყვნენ გასრული კვკლოსის. დამდგეს,
ესე იგი პლანეტნი 532 წ. დასასრულს ისევე მოიქცევიან ხო-
ლმე. ამ მოქცევას ჰქვანს მზის დიდი მოქცევა, რომელიც შეს-
დგების 19 მთვარის წლის გამრავლებით 28 მზის წელიწადზე.

როდის დაიწიეს ქართველებმა წელთა აღრიცხვა ქრონიკონით ჯერ ისტორიამ ნამდვილად არ იცის. ქართველები ქრონიკონის გარდა წელთა აღრიცხვადან დასაბამიდან სოფლისა და განხორციელებიდან ქრისტესი. ესლა ჩვენი ქრონიკით მე XV ეკკლოსისა, მე XIV გათავდა 1844 წელს, მე XVI დაიწიება 2,376 წელს განხორციელებიდან ქრისტესი.

დღესასწაულნი საპატიოდ ქართველთა წმიდანთა.
ა) უძრავნი:

იანვრის	8	წმ. აბო წამებულისა.
	14	წმ. მარტოქელთა სწორის ჩინასა.
	19	წმ. ანტონი მარტოქელისა.
	26	ხსენება წმიდისა და კეთილმისახურისა მეფისა და ვით III-ის აღმაშენებელისა.
აპრილის	15	წმიდათა წამებულთა მესუბეგელთა სუჭიასა და რაზმისა მისისა.
მაისის	7	წმ. იოანე ზედაზნელისა და 12 მისთა მოწაფეთა.
	9	გარდაცვალება შიო მღვიმელისა.
	13	წმ. კეთიმე ათონელისა, მთარგმნელისა საღმთო წიგნებისა.
ივნისის	21	წმ. წამებულთა მეფეთა: აჩჩილისა და ლუარსაბისა.
	27	წმ. გიორგი მთაწმიდელისა.
ივლისის	12	წმ. მამათა ათონელთა: იოანე და გაბრიელისა.
	29	მოწამისა ეგსტატე მცხეთელისა.

- აგვისტოს 3 წმ. მოწამის რაყდენისა.
28 წმ. მოწამის შუშანიკისა.
- სექტემბრის 13 წმ. დიდისა მოწამისა ქეთევან კახთა დედოფლისა.
15 წმ. მამისა აბიბოსი.
16 ორთა ძმათა ისაჲსა და იოსებნსა.
18 წმ. მოწამეთა ბიძინასი, შალვა და ელბრახარისა.
- ოქტომბრის 1 აღმოჩენისათვის უფლის კვარტისა ქ. მცხეთაში.
2 წმ. მოწამეთა არკუეთისათა: დავითისა და კოსტანტინესი.
5 წმ. მამისა გრიგოლ ხანჭოელისა.
28 წმ. მღვდელმოწამისა ნეოფიტესი, ურბნისის ეპისკოპოსისა.
- ნოემბრის 10 წმ. მოწამე კოსტანტინესი და გიორგი მთავარ-მოწამისა.
17 წმ. მოწამისა გობრონისა და 133 მისთა მხედართა.
19 მამისა ილარიონ სასწაულთ-მოქმედისა.
29 მღვდელ-მოწამისა აბიბოს ნეკრესის ეპისკოპოსისა.
- დეკემბრის 2 წმ. იესე წილკნელ ეპისკოპოსისა.

ბ) მოძრავნი:

ა) უგელერის სუთნაბათს წმ. შიო მღვიმელისა.

ბ) აღდგომის სამშაბათსა ვარკესჯის უდაბნოს წმ. მამათა, წამებულთა აღდგომის დღეს სპარსთაგან.

ბ) აღდგომის მეშვიდე კვირეკეს ოთხშაბათს წმ. დი-
დოსი, დავით გარესჯელის მონაწილსა.

დ) იმავე კვირეკეს ხუთშაბათსა წმ. მამა დავით გარესჯე-
ლისა.

ამას გარდა ძველად დადგენილი იყო დღესასწაული მათე-
შის (მცირე აზიასში) ეპისკოპოსის, ქართველთა მეფის კარაზ-
ბაქარის მისი პეტრესათვის 2 ქრისტეშობისთვის, მაგრამ მე
XVIII საუკ. იგი პეტრე გამორიცხულ იქმნა ქართველთა წმიდან-
თაგან. 22 თებერვალს იყო დღესასწაული 9 ძმათა კოლაელთა,
წამებულთა მტკვრის პირზედ.

სარჩევი

თავი I. ქრისტეს მოციქულნი. — წმ. სულის მოფენა. — აჩსდება ეკკლესია. — მოციქულების შემოსვლა საქართველოში, რომლის განათლება წილად სუდა ღვთის-მშობელსა. — მაძინება ქალწულისა. — დასრულება მოციქულთა მოძღვრებისა. — ქრისტეს მედროვე საქართველოს მეფე. — ქრისტიანობის დეკან საქართველოში.

I - 9

თავი II. წმიდა ნინო. — ჯვარი ვასისა. — ნინო შემოდის საქართველოში. — გუბ-თაყვანის მტემლობა სამსოფლიოში და საქართველოში. — ღმერთნი ქართველთა — ქრისტიანობის გამაჩვენებ. — ამ დროის პოლიტიკური მდგომარეობა საქართველისა და მოქცევა ქართველთ ერისა.

9 - 19

თავი III. პირველი ეკკლესიას აგება საქართველოში. — ჯვრების დადგმა. — მოქცევა შთაუღთა, კასელთა და სიკედილი ნინასა. — მირიანის იერუსალიმში გამგზავრება და აგება იერუსალიმის ჯვრის ეკკლესიისა და სსუათაგა მონასტერთა აგება. — ქრისტიანობის გავრცელება კლარჯეთ-ჯავახეთში.

19 - 27

თავი IV. სწავსელთ ჭსურთ დაამხონ ქრისტიანობა ს.

ქართულში. — ბერძენიც მტრობენ ქართულთა. — მარცხდება სპარსულთ ჯარი და საქართულში ქრისტიანობა ისევე მყარდება. — ერეტიკოსი მობიდანნი და განდევნა მისი. — სპარსულნი ისევე აუშაფნენ ქართულთა. — აჩიოზი. — ჰირველი და შესამე მსოფლიო კრებანი. 27 — 33

თავი V. ვახტანგ მეფე ანთავისუფლებს საქართველოს და მის ეკლესიას გარეშე ხალხთა დამოკიდებულებისა და გაკლებისაგან. — ეკლესიას ენიჭება „ავტოკეფალია“. — ჰირველი მოწამე რაქდენი და შუშანიკი. 33 — 42

თავი VI. ბიჭვინტის ტახტი. — მოსულა 13-თა მამათა ასურეთით. — სად და როგორ იღვაწეს მათ. — ბრძოლა წინააღმდეგ მწვალებლობისა. — დაბადება მატმადისა. — შემოსევა არაბთა საქართველში. — წამება მეფის არჩილისა. 42 — 52

თავი VII. გამეფება ბაგრატონთა. — წამება ესტატე მცხეთელისა და აბოხი. — გაძლიერება ქადაგებისა საქართველში. — სარკინოზნი იპყრობენ მრავალ ქვეუნიებს. — საქართველოს ერთობა ირღვევა. 52 — 58

თავი VIII. მტერნი იპყრობენ საქართველოს. — ხატია ბრძოლა. — ეკლესიას ქრისტესი იყოფება ორ ეკლესიად. — აღმოჩენა „ივერიის ღვთის-მშობლისა ხატისა“. — დაფუძნება ქართულთა მონასტრისა ათონს (საბერძნეთს). 58 — 63

თავი IX. თორნიკე ამარცხებს მუჰამედთ და კონსტანტინეზოლს ანთავისუფლებს განსაცდელისაგან. —

ქართუელნი მთაწმინდაზე და მრავალგან აშენებენ
ტაძრებს და მონასტრებს. — შთარგმნიელი საღმთო
და საფილოსოფოსო წიგნებისა: იოანე, ევთიმი,
ანსენი და სხ. 63—69

თავი X. გიორგი მთაწმინდელის მოღვაწეობა. — იოანე
მღვდელ-მონაზონი. — ეფრემ მცირე. — ანსენი იფა-
თელი. — ტაძარი ბუდიისა, საფარისა, ქუთაი-
სისა, ხახულისა, გელათისა და სხ. — სკოლანი. 69—75

თავი XI. საქართველოს განთავისუფლება სარაციინთა-
გან. — ჯვაროსნების ომი. — ქართუელი ჭშუელიან ჯვარ-
ოსანთა. — მოღვაწეობა მეფეთა: ბაგრატ IV-სა და
დავით III-ის აღმაშენებელისა. — ძეგლის წერა. 75—87

თავი XII. თამარის მოღვაწეობა. — აშენება ვარძიის მონ-
ასტრისა და სხ. ტაძრთა. — ცნობანი ქართველთ
ტაძარ-მონასტრებზე იერუსალიმს, სინას, საბერძ-
ნეთს და სხ. — დაარსება ტრაპეზუნტის იმპერიისა.
87—98

თავი XIII. საქართველოს აღსრება სპარსთა და მონ-
გოლთაგან. — წამება: შალვასი, ათთა — ბეგრთა მო-
წამეთა და მეფე დიმიტრი თავდადებულისა. — გადაწვა
ჭაბთა სევის მონასტრისა. — ფრანგობის მჭადაგე-
ბელნი საქართველოში. — მოღვაწეობა მეფის გიორგი
ბრწყინვალისა, ალექსანდრესი და დიმიტრისი. — გა-
ნაწილება საქართველოსი სამ სამეფოდ და სუთ სა-
მთავროდ. — დაძვობა ბიზანტიის და ტრაპეზუნტის
იმპერიათა. — საათაბაგოს გამგებლად ინიშნება გამაჭ-
მაღიანებელი ყვარყვარე ფაშა. 98—109

თავი XIV. ქართველნი ჰშეკლდნენ დეკნუღთ ბერძენთ. — არს-
დება ანტალას ბერძენთ საეპისკოპოსოს. — სპარს-ოს-
მალნი იყოფენ საქართველოს. — მჰმადიანობა ფეხს
იდგამს მთის ხალხში და საქართველოს ზოგიერთ
კუთხეებში. — ამისთანა დროს ქრისტიანობას უზნდუ-
ბიან თვისნი სუეტნი. — წამება: გარესჯის მოღვა-
წეთა, მეფე ლუარსაბისა, ქეთევან დედოფლისა და
სხვათა. 109 — 120

თავი XV. სპარსელნი შემოდინს საქართველოში, იტე-
რენ კასეთს და სახლდებიან აქ 80,000 სულამდე.
— მტარვლობა სპარსთა. — ბიძინა, კლიზბარ, შალვა
და სხვა მოღვაწენი. — მოგზაურობა საქართველოში
პატრიარქების პანისისა და დოსთოეოზისა. — ქართ-
ველნი იერუსალიმის ტაძრებს სწირავენ 150,000
პასტრამდე (პასტრი ოთხი გრამია) 120 — 126

თავი XVI. მოღვაწეობა ვახტანგ VI-სა. — ტიზოგრაფიის
დაარსება და ბეჭდვა მრავალ გეარ წიგნებისა. — დავა
სპარსთა და ოსმალთ შორის საქართველოს ფლო-
ბისათვის. — ქრისტიანობა სამხელ მდგომარეობა-
ში. — თეიმურაზ II მშვიდობიანობას ამყარებს —
იპეტოიდგან იდეგნების ოსმალნი. — ქუთაისში ტი-
ზოგრაფიის დაფუძნება. — თულავსა და თბილისს
არსდება სემინარიანი. — საქართველოს მოღვაწენი:
ანტონ I, გაიოზი და სხვანი. — ქართველთ ბერნი
აშენებენ ტაძრებს დარუბანდში, ამტარხანს და ეი-
ზლასს, საცა დაარსეს სასწავლებელიცა. 126 — 138

თავი XVII. საქართველოს მდგომარეობა მე XVIII
საუგ. დასასრულს. — ქრისტიანობა ამ დროს. —

საქართველოს შეერთება რუსეთთან. — გავრცელება
 ქრისტიანობისა საინგილოში, სამცხე — საათაბაგო-
 ში. — უგანასენელი ქათოლიკოზი საქართველოსა.
 — სია ყუკლა ქათოლიკოზთა. — ნინოს ვაჟის ჟჳა-
 რი. — პირველი ექსარქოსი. — დაყოფა საქარვე-
 ლოსა ახალ ეპარქიებად. 138 — 145

დაბეაბება. მირონის გურთხევა. — სასახლის წესნი. —
 ხარისხნი სასულიერო წოდებისა — დიშსება სასუ-
 ლიერო შირთა. — საეკლესიო გალობა. — ქათოლი-
 კოზ-პატრიარქთა შესამოსელი. — ქორონიკონი. —
 დღესასწაულნი წმიდანთათვის. 145 — 152

ბეჭდვის უმთავრესნი შეცდომანი:

	დაბეჭდილი	წაკითხე:
11	ჭეშ. ეკლა	ეკალ
42	ჭე. (იმერეთ	იმერეთი
81	ჭეშ. უდიშართა	უდიშართა
87	მონასტრები	მონასტრებისა
91	ნახევრები	ნახევრები
95	ზეშ. სამღეთ	სამღეთ
100	ჭეშ. ძაღსა	ძიღს
104	ზ. ზონისკენ	აზონისკენ
—	ზ. მისკენი	მეფენი
110	ჭე. ყოველ გვარ	ყოველგვარ
111	ჭეშ. ტყე ღრეთა	ტყე ღრეთა
120	ზეშ. კომლამდე	სულამდე
139	ჭეშ. გარდაიცვალ-	გარდაიცვალა
—	ჭეშ. ჭეაყანა	ჭეაყანა